საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

№269 (12 339) 17 ნოემბერი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი

# გამარჯვებებს დავეჩვიეთ




გუშინ, დოჰაში. ყატარი-საქართველო. ხალიდ საიფის ფოტოები

16 ნოემბერი. დოჰა.
ჯარაფა სთედიუმი. 300 მაყურებელი

**ყატარი 1:2 საქართველო**

0:1 კანკავა (46), 1:1 კონე (56), 1:2 სალუქვაძე (64)

ყატარი: საქრი, ალ გამიმი, დილალი (77. მოჰამედი), ს. ალ შამარი, კონე (77 ვ. ალ შამარი), რეზქი, სორია, ვ. მოჰამედი (46. იასერი), მოშუდი (62. ქარიმი), ალ ზან ბაბაქარი (62. მუშაბა), ფ. ალ შამარი

საქართველო: მაკარიძე, ხიზანიშვილი (61. სალუქვაძე), ასათიანი, კალაძე, სანაია (61. შაშიაშვილი), გრიგალაშვილი, კანკავა (80. კვახაძე), კვირკველია (85. დეკანოსიძე), ცქიტიშვილი, ყენია (68. გელაშვილი), მჭედლიძე (46. ჯაკობია)

გაფრთხილება: ალ ზან ბაბაქარი, გრიგალაშვილი, კონე, კვირკველია, შაშიაშვილი, გრიგალაშვილი

გაძევება: გრიგალაშვილი (89)

არბიტრი: ალ გაბაზი (ბაჰრეინი)

„მოხარული ვარ, რომ მოვიგეთ. მართალია, ამხანაგური მატჩი იყო, მაგრამ მოგება გვჭირდებოდა როგორც საკუთარ ძალებში დასარწმუნებლად, ისე რეიტინგის გასაუმჯობესებლად. დღეს რამდენიმე ახალი ფეხბურთელი ვათამაშეთ. ხვალიდან უკვე ლიტვასთან თამაშზე გადავერთვებით", - მატჩის შემდეგ **კლაუს ტოპმიოლერი** კმაყოფილი იყო.

სასიამოვნოა, როცა ნაკრები იგებს. მერე რა, რომ მეტოქე ყატარია, მოგება მოგებაა. ძნელია, არ დაეთანხმო ტოპმიოლერს. თანაც, ზედიზედ მეორე თამაში ხომ მოვიგეთ და ასევე ზედიზედ მეორედ მოვიგეთ მეორე ტაიმი. ამას ტოპი ადრე ვერ ახერხებდა. ჩანს, მან მეტ-ნაკლებად მიაგნო იმ შემადგენლობას, ვის მხრებზეც გადაივლის მომავალი შესარჩევი ციკლი. ყველაფერთან ერთად, 25 ნოემბერს დურბანში გასამართი 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წილიყრის წინ ნაგება არაფრის დიდებით არ შეიძლებოდა - მეოთხე კალათაში გვაქვს შესანარჩუნებელი ადგილი.

გუშინდელი თამაში ჩვენი უპირატესობით დაიწყო და შესვენებამდე ძირითადად ასე გაგრძელდა. მხოლოდ რიგ ეპიზოდებში გვჯობდნენ მასპინძლები და ამ მომენტებში ისეთი ხიფათები შექმნეს ჩვენს კართან, რომ **მაკარიძეს** მოუწია გუნდის გადარჩენა **რაჯაბ დილალისა** და **სორიას** დარტყმების შემდეგ.

იმ პერიოდში კი, როცა თამაში ქართველებს მიჰყავდათ, ორჯერ შეექმნათ სტუმრებს დაწინაურების შესაძლებლობა, მაგრამ **ლევან მჭედლიძეს** ორივეჯერ მეკარე **მოჰამედ საქრიმ** აჯობა.

სტადიონზე შეკრებილი 300 მაყურებლიდან, 10 ქართველი იყო. იქ მომუშავე ჩვენებურებმა აქტიურად დაუჭირეს მხარი თანამემამულეებს და მატჩის შემდეგ დიდადაც გაიხარეს.

თამაში ახალი განახლებული იყო, **ჯაბა კანკავამ ლევან ყენიას** ჩინებული გადაცემა რომ გამოიყენა და ანგარიში გახსნა. მასპინძლებმა 10 წუთში კი გაათანაბრეს, მაგრამ საერთო ჯამში მეორე ტაიმი მთლიანად ჩვენების იყო. გოლი კი ყატარელმა **კონემ** თავით გაგვიტანა - თანაგუნდელის მიერ საჯარიმოდან ჩაკიდებული ბურთი გადაგზავნა კარში. საბოლოო ანგარიში შეცვლაზე შესულმა **ლაშა სალუქვაძემ** დააფიქსირა - ისეთი დაარტყა, საქრი ბურთიანად აღმოჩნდა კარის ხაზს იქით.

ერთადერთი, რაც იყო უსიამოვნო, **შოთა გრიგალაშვილის** გაძევება გახლდათ. ჩვენი ნახევარმცველი ბაჰრეინელმა არბიტრმა პირველი ტაიმის მიწურულს გააფრთხილა უხეშობისთვის, მატჩის მიწურულს კი საერთოდ მიაბრძანა მოედნიდან.

საქართველოს ნაკრები გვიან ღამით დაბრუნდა ყატარიდან და დღეიდან ლიტვასთან მატჩისთვის მოემზადება.

დავით ცაბაძე
დოჰადან







**იტალია და ინგლისი ბეწვის ხიდზე**
UEFA EURO2008 Austria-Switzerland
დღეს შესარჩევი მატჩებია 6-7

**ფაჩულია ოლ სტარის კანდიდატია** 11

**ორი ქართველი მოკრივე ამერიკაში დარჩა** 13

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ლეგიონერი

# მხოლოდ ფეხბურთი თუ ისევ კირკიტაძე-ნამგალაური?



ლადო ბურდული

22 აგვისტოს საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა სტუმრად ლუქსემბურგთან 0:0 ითამაშა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დიდმოხელეები და ტოპი იმაზე ალაპარაკდნენ, რომ რამდენიმე ფეხბურთელი უპასუხისმგებლოდ მოეკიდა ამ თამაშს. მინიშნება სამ ფეხბურთელზე კეთდებოდა - **ლადო ბურდულზე, დავით მუჯირსა და დავით კვირკველიაზე.**

**კლაუს ტოპმიოლერმა** განაცხადა, კვირკველიას კიდევ მივცემ შანსსო და ასეც მოიქცა. ლუქსემბურგის მატჩის შემდეგ ერთხელ მუჯირიც გამოიძახა ნაკრებში, ბურდული კი მას მერე აღარ გააკარა ეროვნულ გუნდს.

27 წლის ბურდული ლუგანსკის „ზარიას" ძირითადში სისტემატურად თამაშობს. ხოლო მას შემდეგ, რაც საქართველოს ნაკრები ტოპმიოლერმა ჩაიბარა, თითქმის ერთი წელიწადი ლადოს ნაკრებში არ იწვევდნენ.

ახლა კი ისე ჩანს, რომ ტოპის მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, ბურდული ნაკრებში აღარ ათამაშოს. რა არის ამის მიზეზი? ამაზე აზრის გამოთქმა თვითონ ბურდულს ვთხოვეთ.

*„ლუქსემბურგთან ვერმოგება ფაქტობრივად სამ ფეხბურთელს დაგვბრალდა - მე, მუჯირს და კვირკველიას. ლუქსემბურგთან მატჩის მიმოხილვა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდზეც წავიკითხე და იქ წერია, რომ ბურდული მეკარესთან პირისპირ გავიდა, ბურდულს საგოლე მომენტი ჰქონდა, ბურდულმა თამაში გაამწვავა... თუ საქმეს უპასუხისმგებლოდ მოვეკიდე, ყველაფერი ეს როგორღა შევძელი?! ისიც ითქვა, ამ ფეხბურთელებს დასაფიქრებლად დროს მივცემთო. მე დასაფიქრებელი არაფერი მჭირს, ეროვნულ ნაკრებში ყოველთვის მთელი სულით და გულით ვთამაშობდი. ისიც ვიკითხოთ, რატომ არ აჩვენეს ხალხს ლუქსემბურგი-საქართველოს მატჩის ვიდეოჩანაწერი. ლუქსემბურგთან თამაშის შემდეგ ჩემს გარდა ყველას მისცეს ნაკრებში თამაშის შანსი. თბილისში რომ ჩამოვალ, ყოველივე ამაზე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს და ტოპმიოლერს დაველაპარაკები"* - გვითხრა ლადომ, ვისაც უკრაინაში შევეხმიანეთ.

ბურდული „ლუგანსკის" სასტარტოში რეგულარულად ხვდება, თუმცა მატჩის ბოლოს ხშირად ცვლიან ხოლმე.

*„ნორმალურ ფორმაში ვარ. ასეთი შეცვლები კი იმითაა განპირობებული, რომ, როცა ვიგებთ, მწვრთნელი დაცვას აძლიერებს ან შეცვლებით დროს გაჰყავს"* - განგვიმარტა ბურდულმა და იქვე იკითხა, ვინმე იყო ჩამოსული უკრაინაში ჩემი თამაშის სანახავად? სხვანაირად როგორ უნდა დაადგინონ, თუ რა ფორმაში ვარო.

*„ნაკრებში ყოველთვის თამაშიდან თამაშამდე მიხდებოდა ჩემი შესაძლებლობების დამტკიცება. საქართველოს ნაკრებში არის რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი, რომელთაც გარანტირებული აქვთ ადგილი ძირითადში, მე მათში არ შევდივარ და თუ გადაბმულად არ ვითამაშე რამდენიმე მატჩი ნაკრებში, სხვანაირად იქ ადგილს ვერ დავიმკვიდრებ. შოტლანდიასთან გლაზგოში ჩემი საუკეთესო თამაში ნამდვილად არ მიჩვენებია, თუმცა ჩემი ზონიდან მეტოქეს არ გაუტანია. საფრანგეთთან მატჩის შემდეგაც ტოპმიოლერს ჩემთვის საყვედური არ უთქვამს, ლიტვასთან კი არ მათამაშეს"* - გვითხრა ლადომ და მერე ისიც ვკითხეთ, ევროპაში, მაგალითად, მეორე ბუნდესლიგაში რომ თამაშობდე, უფრო მეტი შანსი ხომ არ გექნება ნაკრებში თამაშისა-თქო.

*„დააკვირდით, ნაკრებში ჩემს პოზიციაზე მოთამაშე ფეხბურთელები რომელ გუნდებში თამაშობენ და იმასაც, თუ ნაკრებში გამოძახებულთაგან რამდენი ფეხბურთელია უკრაინიდან".*

ბურდული მარჯვენა ნახევარმცველია და ამ პოზიციაზე ტოპმიოლერს დიდი არჩევანი ნამდვილად არ აქვს. ლადოს ეროვნულ ნაკრებში რომ აღარ იწვევენ, ამაზე ათას ჭორს და მართალს გაიგებს კაცი. ის კი ნაღდია, რომ ბურდული **დავით კირკიტაძის** და **დავით ნამგალაურის** მეგობარია, ხელისუფლების იმ ფლანგის, რომელიც ფეხბურთის ფედერაციის წლევანდელ არჩევნებში **გიორგი ნემსაძეს** უჭერდა მხარს.

**დავით თავართქილაძე**

# მეტოქეთა თბილისური კადრები

ლიტვის ეროვნული და რუსეთის ახალგაზრდული ნაკრებების შემადგენლობა რამდენიმე დღის წინათ კი გაგაცანით, მაგრამ მას შემდეგ ამ გუნდებში საკმაო ცვლილებები მოხდა და ამიტომ იმ დაზუსტებულ კონტინგენტს გაგაცნობთ, რომლითაც მეტოქეები თბილისში მოდიან.

### ლიტვის ეროვნული ნაკრები

მეკარეები: **ჟიდრუნას კარჩემარსკასი** (დინამო მ.), **პაულიუს გრიბაუსკასი** (ოცელული), **მარიუს ლაპარისი** (ჟალგირისი).

მცველები: **ანდრიუს სკერლა** (კორონა), **მარიუს სტანკევიჩიუსი** (პარმა), **ტომას ჟვირგჟდაუსკასი** (ჰალმსტადი), **იგნას დედურა** (სპარტაკი მ.), **არუნას კლიმავიჩიუსი** (დინამო მ.), **ვიდას ალუნდერისი** (ზაგლებიე), **გედიმინას პაულაუსკასი** (ეკრანასი), **ტადას პაპეშკუსი** (გურნიკი).

ნახევარმცველები: **აუდრიუს კშანავიჩიუსი** (ჰართსი), **მინდაუგას კალონასი** (ყუბანი), **იგორის მორინასი** (ჟალგირისი), **აურიმას კუშუსი** (დაუგავა), **მანტას სავენასი** (ეკრანასი), **საულიუს მიკოლიუნასი** (ჰართსი), **ვიტაუტას ლუკშა** (ვილნიუსი), **ტადას ლაბუკასი** (ოცელული), **დარიუს მიჩეიკა** (მეტალურგსი), **გედიმინას ბუტრიმავიჩიუსი** (ვეტრა), **დარვიდას შერნასი** (ვეტრა).

თავდამსხმელები: **ტომას დანილევიჩიუსი** (ბოლონია), **ანდრიუს ველიჩკა** (ჰართსი), **ედგარას იანკაუსკასი** (აიკ), **ტომას რაძინევიჩიუსი** (ბუდეოვიცე).

### რუსეთის ახალგაზრდ. ნაკრები

მეკარეები: **მიხაილ კერჟაკოვი** (ზენიტი), **სოსლან ჯანაევი** (კამაზი).

მცველები: **სერგეი ეფიმოვი** (ლოკომოტივი), **იური ლებედევი** (ზენიტი), **ვლადიმირ გრანატი** (დინამო მ.), **ფიოდორ კუდრიაშოვი** (სპარტაკი მ.), **ანდრეი ლუკანჩენკოვი** (მოსკვა), **ივან ტარანოვი** (ცსკა), **რომან შიშკინი** (სპარტაკი მ.), **ანდრეი ნაგუმანოვი** (ტექსტილშჩიკი), **კირილ ნაბაბკინი** (ცსკა).

ნახევარმცველები: **კირილ კომბაროვი** (დინამო მ.), **დმიტრი კომბაროვი** (დინამო მ.), **ვიქტორ ფაიზულინი** (სპარტაკი ნ.), **ოლეგ სამსონოვი** (სპარტაკი მ.), **პაველ გოლიშევი** (მოსკვა); **დმიტრი იატჩენკო** (სპარტაკი ნ.), **იური როდენკოვი** (სპარტაკი ნ.).

თავდამსხმელები: **არტიომ ძიუბა** (სპარტაკი მ.), **ალექსანდრ პრუდნიკოვი** (სპარტაკი მ.), **ოლეგ კოჟანოვი** (ურალი), **ნიკიტა ტალალიჩინი** (ცსკა).

საქართველოსა და რუსეთის ახალგაზრდულები ერთმანეთს 20 ნოემბერს, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე 19 საათზე დაუპირისპირდებიან, საქართველო-ლიტვა კი 21 ნოემბერს, ეროვნულ სტადიონზე, საღამოს 8-ის ნახევარზეა დანიშნული.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

# მენთეშაშვილი ლატვიის საუკეთესო ნახევარმცველია

საქართველოს ნაკრების მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ **კლაუს ტოპმიოლერი** თვალდახუჭული ენდობა ნახევარმცველ **ზურაბ მენთეშაშვილს.** დრომ გამოაჩინა, რომ ფეხბურთელს ნდობა შემთხვევით არ მოუპოვებია. მენთეშაშვილს საიმედო და სასარგებლო ფეხბურთელის რეპუტაცია გულშემატკივარშიც უყალიბდება. M

მან ბევრჯერ დაამტკიცა, რომ საქართველოს ნაკრებისთვის საჭირო მოთამაშეა. გუშინ ქართველი ფეხბურთელი ლატვიაშიც აღიარეს. ზურა დასრულებულ სეზონში ქვეყნის ჩემპიონ "ვენტსპილსის" შემადგენლობაში გამოდიოდა. სეზონის დასრულების შემდეგ ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის მწვრთნელთა საბჭომ ჩემპიონატის შედეგები შეაჯამა და 22 საუკეთესო მოთამაშე დაასახელა. ლატვიის საუკეთესო ნახევარმცველად ზურა მენთეშაშვილი დაასახელეს.

გაგიკვირდებათ და ქართველი ფეხბურთელი "ვენტსპილსის" ფლეიმეიქერია, როდესაც საქართველოს ნაკრებში ის საყრდენ ნახევარმცველად გამოდის და შავ სამუშაოს წარმატებითართმევს თავს.

*"მენთეშაშვილს თავდაპირველად "ვენტსპილსის" შემადგენლობაშიც არ აყენებდნენ, მაგრამ, როგორც კი ძირითადში გამოჩნდა, გუნდის შეტევებს გაცილებით მეტი აგრესიულობა შემატა და შედეგიანობაც გაზარდა. ყველამ იცის, რომ მენთეშაშვილს დროული და მწვავე გადაცემის გაკეთება შეუძლია"* – წერს ლატვიაში გამომავალი რუსულენოვანი გამოცემა "ნაშა გაზეტა".

**მერაბ მამულაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ინტერვიუ გიორგი დევდარიანთან

# ვისი ახირებაა მავნე კალენდარი?

## ეს შენება კი არა, ნგრევაა

რა ხდება ჩვენს ფესვებში - ბავშვთა ფეხბურთში? ამ თემაზე სასაუბროდ გიორგი დევდარიანი ავირჩიეთ, ვინც 2003-04 წლებში უმაღლეს ლიგაში მოთამაშე „თბილისი" ძალიან საინტერესო და სიმპათიურ გუნდად აქცია, არაერთი საინტერესო და ნიჭიერი ფეხბურთელი წარმოაჩინა იქ, მაგრამ მერე ეს გუნდი დაიშალა და დევდარიანიც იქაურობას გაეყარა. ახლა ის ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „საბურთალოში" მუშაობს.

რა არის ჩვენს ბავშვთა ფეხბურთში უმთავრესი პრობლემა? დევდარიანთან საუბარი ამ კითხვით დავიწყეთ.

-ᲓᲐᲮᲔᲓᲔ, რა ხდება ბავშვთა ლიგებში – კვირაში სამი თამაშია. ასეთი გადატვირთული კალენდარი არც ერთ ქვეყანაში არ არის, ბავშვთა ლიგებში კვირაში ერთი ტური ტარდება, ჩვენთან კი – სამი. სამი წელიწადია, საქართველოში ასეთი ვითარებაა, რომლის შეცვლაც არავის უცდია.

**- ეს ფეხბურთის ფედერაციის პრეროგატივაა - ნუთუ არ გისაუბრიათ ამაზე ფედერაციის რომელიმე წარმომადგენელთან?**

- როგორ არა, მაგრამ არაფერი შეცვლილა. დამისაბუთონ, რატომ ვთამაშობთ კვირაში სამ ტურს და ხმას აღარ ამოვიღებ.

**- როგორ ფიქრობთ, უშუალოდ ვისი ახირება უნდა იყოს ეს?**

- არ ვიცი, მაგრამ ჩვენს ასაკობრივ ნაკრებებს ცუდი შედეგი რომ აქვთ, ამას მნიშვნელოვნად განაპირობებს ასაკობრივი ლიგების გადატვირთული კალენდარი. არ შეიძლება სულ თამაში, სავარჯიშო პროცესის ნორმალურად ჩასატარებლად დრო აღარ რჩება.

**- კიდევ რა პრობლემებს ხედავთ ბავშვთა ფეხბურთში?**

- ცუდი მოედნები, ერთ მოედანზე შეყრილი ბევრი ბავშვი, მწვრთნელთა კვალიფიკაცია...

**- როგორც უნდა იყოს, ბოლო დროს საქართველოში არც თუ ცოტა ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდა - ლევან ყენია, ლევან მჭედლიძე, დავით თარგამაძე...**

- ისინი ნიჭიერები არიან და შეუძლიათ, კარგი ფეხბურთელები გახდნენ, თუმცა კარგი განვითარების პირობებში ამ დროისთვის უკეთესები იქნებოდნენ. ბავშვთა ფეხბურთში ყველაფერი რიგზე რომ იყოს, კიდევ უფრო მეტი ნიჭიერი ფეხბურთელი გამოჩნდებოდა. ცუდ პირობებში ვარჯიშით და თამაშით მოზარდები ბევრს კარგავენ. ჩემს გუნდში გადატვირთული კალენდრის გამო 7-8 ფეხბურთელს ტრავმა აქვს, მოზარდებს დრო აღარ რჩებათ აღდგენითი პროცესისთვის. ერთი სიტყვით, შენების ნაცვლად ნგრევა მიდის.

**- უმაღლეს ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ჩამოაყალიბეთ, ახლა კი ბავშვთა ფეხბურთში ხართ - სად გადის თქვენი ამბიციის ზღვარი?**

- სადაც ვარ, ჩემი ამბიციის ზღვარი ახლა იქ გადის, მაგრამ თუ იქნება შემოთავაზება მაღალ დონეზე სამწვრთნელოდ, სიამოვნებით ვიმუშავებდი - ჩემს გაწვრთნილ გუნდს ფეხბურთს ნორმალურად ვათამაშებ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ უნაკლო, სრულყოფილი მწვრთნელი ვარ - სასწავლო კიდევ ბევრი მაქვს.

**- ახლა თუ ხედავთ საინტერესო გუნდებს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში? ისეთ გუნდებს, პროგრესულ, ევროპულ ფეხბურთთან მიახლოებულ თამაშს რომ აჩვენებენ?**

- „დინამო" და „ზესტაფონი" სხვა გუნდებზე უკეთეს თამაშს აჩვენებენ, თუმცა საქართველოს ჩემპიონატში არც ერთი მაღალი დონის ფეხბურთელი არ თამაშობს. ჩვენთან ისეთი ლეგიონერები ჩამოდიან, თავიანთი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში რომ არ თამაშობენ, ან ისეთები, რომლებსაც უკვე მოლეული აქვთ კარიერის საუკეთესო წლები. საშუალოზე დაბალი დონის ლეგიონერები ქართულ გუნდებში ლიდერები არიან - საქართველოს ჩემპიონატში პროგრესს ვერ ვხედავ.

**- ბავშვთა ფეხბურთის ერთ-ერთ პრობლემად მოედნები ახსენეთ. ფაქტია, ბოლო წლებში საქართველოში რამდენიმე მოედანი გაკეთდა, მათ შორის ბავშვთა საფეხბურთო სკოლებშიც...**

- რამდენიმე მაგალითს მოვიყვან. თამაში გვაქვს „დინამოსთან", ოქმის მიხედვით მატჩი მინდორზე უნდა ჩატარდეს. მივდივართ მატჩზე ბუცებით და გვეუბნებიან, ხელოვნურ საფარზე უნდა ითამაშოთო და ბიჭებიც მინდვრის ბუცებით გავიდნენ ასეთ მოედანზე. მეორე შემთხვევა: 35-ე სკოლას ვეთამაშებით უინვალში, სადაც ისეთი მინდორი დაგვხვდა, გუთანს თუ გაატარებდა კაცი. ამ მატჩზე 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი ჰერბერტ ცანკერიც გახლდათ ჩამოსული, მაგრამ ის ვერ ნახავდა ფეხბურთელებს, რადგან ასეთ მოედანზე ფებურთელი ფეხბურთს ვერ ითამაშებს.

**- როცა „თბილისს" წვრთნიდით, არაერთი ნიჭიერი ფეხბურთელი გყავდათ, მაგრამ მათგან მხოლოდ გოგიტა გოგუამ და ზაალ ელიავამ მიაღწიეს ეროვნულ ნაკრებამდე. ეს ლოგიკურად მიგაჩნიათ?**

- კი, ეს კანონზომირია. მარტო ნიჭით ფეხბურთს ვერ ითამაშებ. გოგუა არ იყო ყველაზე ნიჭიერი „თბილისში", მაგრამ ყველაზე მოტივირებული იყო, სულ უფრო და უფრო მეტი უნდოდა, მან და ელიავამ ნიჭის გარდა მონდომებითაც მიაღწიეს ეროვნულ ნაკრებამდე.

**- ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის წლევანდელ არჩევნებზე გიორგი ნემსაძის მხარდამჭერი იყავით. ახლანდელი გადმოსახედიდან როგორ ფიქრობთ, ნემსაძის გამარჯვება ქართული ფეხბურთისთვის უკეთესი იქნებოდა?**

- ახლაც მგონია, რომ ნემსაძე საკუთარი ადამიანური თვისებებით სხვაზე უკეთესად მოახერხებდა დაქსაქსული ქართული საფეხბურთო სამყაროს გაერთიანებას, თავის ოპონენტებს მტრად არ ჩათვლიდა.

**- უმაღლესი ლიგის შეძლებული კლუბებიდან შემოთავაზება ჯერ არ გაქვთ - „საბურთალოთი " შეუძლებელია უმაღლეს ლიგამდე მისვლა?**

- ამ საკითხზე უკვე მიდის მუშაობა. ვაპირებთ, რომ „საბურთალოში" ისეთი მოდელის გუნდი შევქმნათ, როგორიც პირველლიგელ „გაგრას" აქვს.

**- თუ ხედავთ ისეთ ახალგზარდა ფეხბურთელს, ვისაც გულშემატკივრები ჯერ არ იცნობენ, მაგრამ მიგაჩნიათ, რომ ძალიან დიდი პერსპექტივა აქვს?**

- ცხინვალის „სპარტაკში" არის ასეთი ფეხბურთელი - 17 წლის გიორგი თექთუმანიძე. მისმა ზოგიერთმა თანატოლმა უკვე ბევრს მიაღწია, მაგრამ მან ამის გამო გული არ უნდა გაიტეხოს. გამოვარჩევდი „ცხინვალის" კიდევ ერთ მოთამაშეს - კახა ზამთარაძეს.

**დავით ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲥᲘᲚᲐᲫᲔ**




გიორგი დევდარიანი

# ლოკომოტივი ჩემპიონობას უმიზნებს

## ორი ახალი კონტრაქტი მომავლისთვის

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ "ლოკომოტივმა" საქართველოში საუკეთესო ბაზის მშენებლობა დაიწყო. პირველი ეტაპი დასრულებულია და გულშემატკივარს ამ მშვენიერი შენობის ხილვა ტელევიზიით შეეძლო. პრეზიდენტმა სააკაშვილმა სწორედ "ლოკომოტივის" საგურამოს ბაზაზე მოაწყო ქართული ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის პრეზენტაცია.

საგურამოში უკვე გაკეთებულია ორი მშვენიერი მოედანი, ორსართულიანი შენობის პირველი სართული კეთილმოწყობილია - გასახდელები, საშხაპეები, ტრენაჟორების დარბაზი და ა.შ. მალე ფეხბურთის ფედერაციაც ჩაერთვება მშენებლობაში და ორ ხელოვნურსაფარიან სტანდარტულ მოედანს გააკეთებს. ამასთანავე, ცენტრალური მოედნის გარშემო 5 ათას მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნების აშენებაა გათვალისწინებული.

საგურამოში უკვე გადავიდა "ლოკომოტივის" საფეხბურთო სკოლა და ბავშვები ზღაპრულ პირობებში ვარჯიშობენ. არსებობს მოსაზრება, რომ მოსამზადებელ ეტაპზე ეს ბაზა ოთხთა ტურნიურის მოსაწყობად გამოიყენონ. ასეთ ბაზაზე ნებისმიერი რანგის მეტოქის მიღება, დაბინავებაა შესაძლებელი და ასევე შესაძლებელია, საკმაოდ მაღალი რანგის მატჩების მასპინძლობა.

გუშინ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე შევიტყვეთ. რაკილა თბილისის "ლოკომოტივის" ხელმძღვანელებმა მშენებლობის მნიშვნელოვანი ეტაპი დაასრულეს, ახლა ფინანსების დიდ ნაწილის გუნდის გაძლიერებას მოახმარენ.

*"გათვლა მომავალ სეზონზე კეთდება, გუნდის ამბიციები მნიშვნელოვნად გაიზარდა. საქართველოში საუკეთესო ბაზა ავაშენეთ და დღევანდელი მდგომარეობა აღარ გვაკმაყოფილებს. მომავალ სეზონში უკვე სერიოზული გუნდის გაკეთება და ჩემპიონობისთვის ბრძოლა გვსურს. ჩანაფიქრიდან გამომდინარე, ძლიერი გუნდის შესაქმნელად მუშაობა უკვე დავიწყეთ. რაც მთავარია, გადაწყვეტილია, რომ დაფინანსება მნიშვნელოვნად გაიზრდება, ბევრი საინტერესო ფეხბურთელის გადმოყვანას ვაპირებთ. გაძლიერებას უკვე ზამთრის მოსამზადებელი ეტაპის დაწყებამდე შევეცდებით"* – გვითხრა "ლოკომოტივის" გენერალურმა დირექტორმა **დიმიტრი ობოლაძემ.**

ობოლაძემ კონკრეტული სიახლეებიც გვაცნობა. "ლოკომოტივმა" გუნდის ლიდერების დაბევება გადაწყვიტა - ცენტრალური მცველის **ნიკა გუშარაშვილის** და ფლეიმეიქერ **ირაკლი სამხარაძის.** ორივე მათგანმა გუშინ ახალი, ხანგრძლივი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მოქმედებაც 2010 წელს დასრულდება. ამით მათ დაადასტურეს, რომ "ლოკომოტივის" ახალი გუნდის წევრობა და რთული გზის მასთან ერთად გავლა სურთ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ თბილისის "ლოკომოტივის" გაზრდილი ამბიცია მისი მთავარი სპონსორის, კომპანია "სილქროუდის" მეპატრონეთა ფეხბურთისკენ რადიკალური შემობრუნებით აიხსნება და დაფინანსების გაზრდაზე გადაწყვეტილება ამ კომპანიის მმართველებმა მიიღეს.

ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ქართულ ფეხბურთს წაადგება. მდიდარ კლუბებს ხომ საქართველოში ცალ ხელზეც ვერ ჩამოვთვლით.

**მერაბ მამულაშვილი**



საგურამო. პროგრამის პრეზენტაცია

ლეგიონერები

# ამისულაშვილს ართმევა კარგად ეხერხება

რუსეთში პოპულარულმა ინტერნეტ-გამოცემა "სპორტდეიმ" სტატისტიკის მოყვარულები ძალიან გააოცა. ჟურნალისტებმა იმდენი მოინდომეს, რომ მთელი სეზონის წვრილ-წვრილი მოცამემები დაითვალეს - ვინ რამდენი ორთაბრძოლა მოიგო, ვინ რამდენჯერ დაჯარიმდა, ვინ იგებდა სუფთად ბურთისთვის ბრძოლას და ა.შ.

მოკლედ გამოცემამ ათი ნომინაცია შეადგინა და ტოპ-ათეულები გამოაქვეყნა. სიაში ერთადერთი ქართველი მოხვდა, ნალჩიკის "სპარტაკის" მცველი **ალეკო ამისლაშვილი**. ალეკო ნომინაციაში "ბურთის ართმევები" მესამე პოზიციაზე აღმოჩნდა.

**ვულე ტრიპუნოვიჩს** (ხიმკი) 267 ართმევა დაუთვალეს. მეორე და მესამე ადგილები "კრილია სოვეტოვის" მცველმა **მეტიუ ბუტმა** და ამისულაშვილმა დაიკავეს ერთნაირი შედეგით (243), მაგრამ ქართველი მესამე ადგილზე გაიყვანეს, რადგან მან ბუტზე ერთით მეტი მატჩი ჩაატარა.

საკმაოდ უცნაური და სასიამოვნოა, რომ ალეკომ რუსეთის პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელს, უკრაინელ **ანატოლი ტიმოშჩუკს** გაუსწრო, რომელიც სწორედ ამ თვისებით გამოირჩევა და რუსეთში საუკეთესო ჩამშლელისა და ბურთის ამრთმევის რეპუტაციით ჩავიდა.

გაზეთმა შედეგების შეფასება რუსეთის ნაკრებისა და მოსკოვის "სპარაკის" ექს-მცველს, **იური კოვტუნს** სთხოვა. ის გაოცებულია, საუკეთესოთა შორის **გოგიტა გოგუა** რომ ვერ იხილა: *"დიდი იმედი მქონდა, რომ სეზონს გოგიტა გოგუა მაღალ დონეზე ჩაატარებდა, მაგრამ ასე არ მოხდა, ის წელს თავის დონეზე ვერ არის"*.

**მერაბ მამულაშვილი**



ალექსანდრე ამისულაშვილი



მათე ლვიანიძე

# ლვინიანიძე ბუნდესლიგას უმიზნებს

**მათე ლვინიანიძე** მეორე ბუნდესლიგას ორმატჩიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ დაუბრუნდა. გასულ ტურში "მიუნხენ 1860"-ისა და "გლადბახის" შეხვედრაში მოედანზე 90 წუთი დაჰყო და "კიკერისგან" ნორმალური შეფასება – 3,5 მიილო.

ამ მატჩის შემდეგ "ცისფერმა ლომებმა" ზედა სამეული დატოვეს, პირველ ბუნდესლიგაში კი სწორედ სამი საუკეთესო გუნდი გადადის. მიუნხენელები "მაინცს" ერთი ქულით ჩამორჩებიან. ბავარიელთა ვებგვერდზე გუნდის რამდენიმე წევრის კომენტარი გამოქვეყნდა, სხვებთან ერთად, შექმნილ სიტუაციაზე საკუთარ აზრს ლვინიანიძეც გამოთქვამს. ფეხბურთელები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი.

*"მეორე წელია, რაც ამ გუნდში ვართ და კარგად ვიცი, რომ ჩვენი მიზანი ბუნდესლიგაში ალზევებაა. წინა სეზონი კარგად დავიწყეთ, მაგრამ შემდეგ ჩავარდნა დაგვეწყო. მჯერა, ამჯერად ეს არ განმეორდება და ზედა ლიგაში გადასასვლელად თავს არ დავზოგავთ. "მიუნხენ 1860"-ს ნამდვილად აქვს იმის პოტენციალი, რომ მომავალი სეზონი უძლიერესთა შორის დაიწყოს. მთავარი ბრძოლები წინაა, მთავარია, უშუალო კონკურენტებთან ბრძოლებში ვაჩვენოთ კარგი შედეგი და ყველაფერი კარგად იქნება"*, - ამბობს ახალგაზრდა ქართველი მცველი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ფანიაშვილის ბრიგადა კვიპროსზე

ბოლო დროს ქართველ მსაჯების საერთაშორისო მატჩების განსასჯელად ხშირად იწვევენ და ამჯერადაც ასე მოხდა. 21 ნოემბერს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში კვიპროსის ეროვნული ნაკრები ჩეხეთს უმასპინძლებს.

მატჩის არბიტრი **ლევან ფანიაშვილი** იქნება, მას **მამუკა ელიკაშვილი** და **ზურაბ ჯვარიძე** დაეხმარებიან. მეოთხე მსაჯის ფუნქციებს **გიორგი ვადაჭკორია** შეასრულებს.

აქამდე ქართველ მსაჯებს ძირითადად სხვადასხვა ახალგაზრდული ნაკრებების შეხვედრებზე იწვევდნენ და სასიხარულოა, ჩვენს თანამემამულეებს უფრო მაღალ დონეზე მუშაობის საშუალება რომ ეძლევათ.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ლევან ფანიაშვილი

საქართველოს ჩემპიონატი

# ცვლილებები პირველ ლიგასაც შეეხო

საქართველოში გამოცხადებულმა საგანგებო მდგომარეობამ პირველი ლიგის კალენდარშიც შეიტანა იძულებითი ცვლილებები. მე-13 ტურის მატჩები დღეისთვის გადმოიტანეს, 18 ნოემბერს დანიშნულმა მე-14 ტურმა კი 20 ნოემბერს გადაინაცვლა. დღეს კი ერთმანეთს შეხვდებიან:

**აღმოსავლეთი ზონა**

ოლიმპიკი-ვიტ ჯორჯია 2

ამერი 2-გაგრა

ჩიხურა-6. დინამო მერანი 2

დინამო 2-კახეთი

ოლიმპი 2-მეშაქრე

**დასავლეთი ზონა**

უნივერსიტ. ქუთ.-კოლხეთი ხ.

სამტრედია-მალაროელი

მერანი მარტვ.-მეშახტე

ფაზისი რაჭა-ტორპედო

დღესვე ბათუმში, "ადელის" სტადიონზე გაიმართება საქართველოს თასის ჯგუფური ეტაპის გადადებული მატჩი "ბათუმსა" და "ბორჯომს" შორის, რომელიც როგორც იცით, არა საგანგებო მდგომარეობის, არამედ ბორჯომელთა ავტოავარიის გამო გადაიდო. "ბორჯომს" მეოთხედფინალი უკვე დაბევებული აქვს, C ჯგუფში კი ასეთი სატურნირო მდგომარეობაა:

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორჯომი | 4 | 3 | 0 | 1 | 6-4 | 9 |
| 2. ოლიმპი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-5 | 7 |
| 3. მერანი | 5 | 1 | 2 | 2 | 2-2 | 5 |
| 4. ბათუმი | 4 | 1 | 1 | 2 | 1-3 | 4 |

# კომსომოლკამ მუჯირი საუკეთესოდ დაასახელა

გუშინ "კომსომოლსკაია პრავდა – სამარამ" "კრილია სოვეტოვის" პრემიერლიგაში გამოსვლა შეაჯამა. გაზეთმა ყველაზე სასარგებლო და უსარგებლო ფიგურები დაასახელა.

"კომსომოლკამ" "სამარსკი ფუტბოლისგან" განსხვავებული კანდიდატურები შეარჩია. საუკეთესობში აღმოჩნდნენ მთავარი მწვრთნელი **ალექსანდრ ტარხანოვი** (რომლის მოსვლის შემდეგ გუნდმა პრემიერლიგაში ადგილი შეინარჩუნა), სამხრეთ აფრიკელი გიგანტი **მეტიუ ბუტი**, ახალგაზრდა **ანტონ ბობერი** და ქართველი ლეგიონერი **დათო მუჯირი**.

*"ქართველი ნახევარმცველი, ისევე როგორც ერთი წლის წინათ, "კრილიას" შემადგენლობაში საუკეთესო გახდა. თუმცა სეზონი მისთვის რთულად წარიმართა. სავიზო პრობლემების გამო, მოსამზადებელი ეტაპის ნაწილი გამოტოვა, ოპტიმალური ფორმის ასაკრეფად დიდი დრო დასჭირდა, ამის გამო მას ხშირად აკრიტიკებდნენ, განსაკუთრებით ყოფილი მთავარი მწვრთნელის, სერგეი ობორინისგან მოხვდა. მან ფეხბურთელი ერთი პერიოდი შემადგენლობდანაც ამოაგდო. მწვრთნელთან კონფლიქტი დასრულდა იმით, რომ მუჯირმა კაპიტნის სამკლაურზე უარი თქვა. თუმცა ეტყობა, დათო თავზეც გაბრაზდა, კრიტიკოსებზეც და ამის შემდეგ გოლების გატანა დაიწყო. Mმისი გოლები "ტომის", ცსკას, მოსაკოვის "დინამოს" და "ლოკომოტივს" კარში გადამწყვეტი გამოდგა. შედეგად, ცხრა ბურთით გუნდის ბომბარდირი გახდა. ახლა კლუბის ხელმძღვანელებს მუჯირის "კრილია სოვეტოვში" გასაჩერებლად ძალიან დიდი მცდელობა დასჭირდებათ"*- ასე ასაბუთებს ჟურნალისტი ქართველი ლეგიონერის აღიარებას.

"სამარსკი ფუტბოლის" მიერ გუნდის საუკეთესო მოთამაშედ დასახელებული **სერჟ ბრანკო** კი, ისევე როგორც ყოფილი მწვრთნელი **სერგეი ობორინი**, "კომსომოლკამ" წარუმატებელ ფიგურებად დაასახელა.

**მერაბ მამულაშვილი**



დავით მუჯირი


CDN კავკასიის ციფრული ქსელი CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;

CDN 55 ტელეფონის დადგმა;

CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;

GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;

CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში

უწყვეტი მომსახურება

ტექნიკური მხარდაჭერა

გარანტირებული ხარისხი

გადახდა სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!

მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!

ირ. აბაშიძის 14

ტელ.: 550 055, 259 555

cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერები

# რონალდინიო: ჩელსიმ 60 მილიონი და ბალაკი გაამზადა

## ბარსელონა ვარსკვლავის გაყიდვას ისევ კატეგორიულად უარყოფს...



რონალდინიო ნაკრების შეკრებაზეა და ტრანსფერზე ფიქრისათვის არ სცალია

ესპანური სააგენტოების ცნობით, "ჩელსიმ" "ბარსელონას" ოფიციალურად შესთავაზა **რონალდინიოს** გაყიდვა. "არისტოკრატებმა" 60 მილიონი ევრო (88 მილიონი დოლარი) გაამზადეს. გაზეთი "მარკა" იუწყება, რომ ლონდონელების ბოსი **რომან აბრამოვიჩი** აბსოლუტურად დარწმუნებულია სუპერვარსკვლავის ტრანსფერში. გაზეთის ვარაუდით, პრინციპული შეთანხმება მიღწეულია. რონალდინიო "ჩელსის" სეზონის დასრულებისთანავე მიაშურებს. "ბარსელონა" კი თანხის ერთი ნაწილის სანაცვლოდ **მიხაელ ბალაკს** გაუფორმებს კონტრაქტს. კატალონიელებს ბალაკი ჯერ კიდევ მაშინ სურდათ, როცა ეს უკანასკნელი "ბაიერნში" ირიცხებოდა. 2006 წლის ზაფხულში მიხაელმა ბარსელონას ლონდონი არჩია, თუმცა მისი ინგლისური კარიერა ისე არ აეწყო, როგორც ფეხბურთელს სურდა. ამ სეზონში ბალაკს საერთოდ არ უთამაშია. ის ტრავმას იშუშებს. მიხაელი ჩემპიონთა ლიგის განაცხადშიც კი არ შეიყვანეს, რამაც გააჩინა ეჭვი, რომ "ჩელსის" მისი თავიდან მოშორება იანვრის ტრანსფერებისას სურდა. შესაძლებელია თუ არა რონალდინიოს ტრანსფერი იანვარში? "მარკა" "ბარსელონის" წარმომადგენელთა კომენტარს ავრცელებს. ისინი კვლავ ჯიუტად აცხადებენ, რომ რონალდინიოს აბარგება გამორიცხულია. კატალონიელები ბრაზილიელის გაყიდვას არც იანვარში აპირებენ და არც ივნისში. ბარსელონელი ჩინოვნიკები აღიარებენ, რომ რონალდინიოს გარკვეული პრობლემები აქვს, მაგრამ მასთან გამოთხოვება აზრად არავის მოსვლიაო, ირწმუნებიან კლუბში.

# ვინ არის ბრენო?

## ბილდმა ბაიერნში მისი ტრანსფერი გაჩარხულად მონათლა

**ბრენო ვინიციუს როდრიგეს ბორგესი** – თუ გამოცემა „ბილდს" დავუჯერებთ, გადაწყვეტილია, რომ ეს ფეხბურთელი იანვრიდან კარიერას მიუნხენის „ბაიერნში" გააგრძელებს. ვინ არის ბრენო? ეს გახლავთ 18 წლის ბრაზილიელი ცენტრალური მცველი, რომელიც უდიდეს ტალანტად მიიჩნევა და რომელსაც ცოტა ხნის წინათ თავისი ასაკის დამამტკიცებელი საბუთების წარდგენა მოუხდა, რადგან ბრაზილიაში ეჭვობდნენ, რომ ის უფრო ასაკოვანია. „ბილდის" ინფორმაციით, ტრანსფერი უკვე გადაწყვეტილია და 1.87 მეტრი სიმაღლის მცველი, რომელიც 84 კილოგრამს იწონის, რეკორდმაისტერის ფეხბურთელი და დაცვის ცენტრში, თანამემამულე **ლუსიოს** მეწყვილე გახდება. ბრენო მიუნხენში „სან პაულოდან" გადადის. „ბილდი" იმასაც წერს, რომ ბავარიელები ამ ფეხბურთელის სანაცვლოდ 14 მილიონ ევროს იხდიან, ანუ, უფრო მეტს, ვიდრე **ლუკა ტონის** ან **მიროსლავ კლოზეს** სანაცვლოდ გადაიხადეს.

ფაქტია, რომ „ბაიერნს" მცველი სჭირდება, რადგან **დანიელ ვან ბუიტენის, მარტინ დემიკელისისა** და **ვალერიან ისმაელის** ყოფნა ჩემპიონთა ლიგაში ომახიანად დაბრუნებისთვის საკმარისი არ არის. ბრენოს შეძენა მიუნხენური გრანდის ბოსებს „ბაიერნის" ექსთავდამსხმელმა **ჯოვანი ელბერმა** ურჩია. მისი რჩევის შემდეგ, FCB-ს სკაუტები **პაულ ბრაიტნერი** და **ვოლფგანგ დრემლერი** სამხრეთ ამერიკაში გაფრინდნენ და თავად დარწმუნდნენ, რომ ბრენო შესანიშნავი ფეხბურთელია. მათი თქმით, მასაც ისევე უყვარს შეტევებში ჩართვა, როგორც ლუსიოს, ოღონდ ბრენო თურმე ლუსიოზე ტექნიკური ყოფილა. „ბილდის" ცნობით, ბავარიელებს მის სანაცვლოდ თავიდან მხოლოდ 11 მილიონის გადახდა სურდათ, მაგრამ მას მერე, რაც ამ ფეხბურთელისთვის ბრძოლაში მადრიდის „რეალიც" ჩაერთო, ხსენებულ თანხას კიდევ 3 მილიონი დაამატეს. „რეალის" გარდა, ამ ფეხბურთელის გადაბირება ტურინის „იუვენტუსს", ფლორენციის „ფიორენტინას" და „მილანსაც" სურთ.

რეკორდმაისტერის ბოსები ტრანსფერს ჯერ-ჯერობით არ ადასტურებენ. „კიკერის" ბრაზილიელი კორესპონდენტი კი, ბრენოს ძალიან აქებს და აღნიშნავს, რომ ეს მოთამაშე, მისთვის სადებიუტო სეზონში შესანიშნავად გამოიყურება, შეფასებების მიხედვით, მცველებს შორის საუკეთესოა და დღესდღეობით ბრაზილიის ჩემპიონატის საუკეთესო უკანახაზელია. ბრენოს არა მხოლოდ დაცვის ცენტრში, არამედ მარჯვენა ფლანგზეც შეუძლია თამაში.



ბრენო ვინიციუს როდრიგეს ბორგესი

მაშინ, როცა ეს ბიჭი "სანტოსში" გამოდიოდა, რობინიოსა და დიეგოზე არანაკლებ ნიჭიერ ფეხბურთელად ითვლებოდა. მერე უკრაინაში წავიდა და თითქმის წლინახევრით შეჩერდა მისი ზრდა. ბრაზილიელი ახლა "მანჩესტერ სიტიშია" და მრავალნახული სვენ გორან ერიქსონის ხელმძღვანელობით თამაშობს. ნისლიან ალბიონზე ელანო ბლუმერის ტალანტი ხელახლა გაიფურჩქნა და მთელი კუნძული აღტაცებით საუბრობს მის მაგიურ შესაძლებლობებსა და ზღაპრულ ტალანტზე.



ელანოს თვალი იტალიისაკენ უჭირავს

პორტრეტი

# ბრაზილიელი ბექჰემი

## ელანო ქალბატონზე ოცნებობს

**სვენ გორან ერიქსონს** რამდენიმე დღის დაწყებული ჰქონდა "სიტიში" მუშაობა, რომ უპირველეს სამიზნედ **ელანოს** შეძენა გამოაცხადა. მისი კატეგორიული მოთხოვნა უმალ დაკმაყოფილდა. კლუბის მფლობელმა **ტაქსინ შინავატრამ** "ქალაქელების" გულშემატკივრებს გული არ დასწყვიტა და დონეცკის "შახტიორს" 8 მილიონი გირვანქა გადაუხადა. პრემიერლიგაში პირველი წრის დასრულებას კარგა ხანი აკლია, მაგრამ დონეცკელები უკვე ძალიან ნანობენ, რომ ფეხბურთელში უფრო მეტი ფული არ მოითხოვეს. "ჩელსის" ხელმძღვანელობა კი უკვე იმაზე ოცნებობს, თუ როდის ჩაუვარდება მომენტი მოთამაშის გამოსასყიდად. *"ინგლისის ნაკრებში ელანო რომ მყოლოდა, აუცილებლად მოვიგებდი რამეს"*, - მოურიდებლად განაცხადა ერიქსონმა. შვედი ახალ შეგირდს ტალანტით დაუფიქრებლად ადარებს თავის ყოფილ ვარსკვლავებს **რობერტო მანჩინისა** და **რობერტო ბაჯოს**. "სიტიმ" უკანასკნელ 37 წელიწადში საუკეთესო სტარტი აიღო. წარმატებულ დასაწყისში ელანოს როლი განუზომელია - 4 გოლი და 5 პასი. ამასთან ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მისი გოლები თითქმის ყოველთვის საოცრად ლამაზი და განუზომლად დიდი მნიშვნელობის მქონეა გუნდისთვის. მისი პასების წყალობით გუნდმა 3 თამაში მინიმალური სხვაობით მოიგო (მათ შორის ქალაქური დერბი "იუნაიტედთან"), ხოლო "ბირმინგემთან" მან ერთადერთი გოლი გაიტანა. მერე კიდევ იტყვიან, ბრაზილიელები ბრიტანეთს ძნელად ეგუებიანო.

ელანო 1981 წელს, ფერმერების ოჯახში, პროვინციულ ქალაქ ირასიმაპოლისში დაიბადა. მას არ უჭირდა ისე როგორც **რონალდოს, რივალდოსა** და **რომარიოს**, მაგრამ ამის მიუხედავად, თანამემამულეებზე ნაკლები ჟინი სულაც არ ჰქონია, რომ თავი წარმოეჩინა. ის "გუარანის" ბავშვთა გუნდში გაიზარდა და მცირე ხნით "ინტერნასიონალშიც" გაიარა სტაჟირება. 19 წლისა კი "სანტოსში" მოხვდა. აქ მან სახელი გაითქვა არამხოლოდ თავისი ბრწყინვალე თამაშით, არამედ არაჩვეულებრივი იუმორითაც. მისი ოინების ძირითადი მსხვერპლი მისი მეგობარი **რობინიო** ხდებოდა. მარჯვენა ფლანგიდან არაჩვეულებრივი ჩაწოდებების გამო მას ამ უკანასკნელმა "ბრაზილიელი ბექჰემი" უწოდა. ელანოს საფეხბურთო მრავალმხრივობას ხაზს უსვამს ისიც, რომ სანამ ფლანგის მოთამაშედ ჩამოყალიბდებოდა, იქამდე საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ირჯებოდა. ამ დროს შეძენილმა თვისებებმა მას დიდი დახმარება გაუწია ძალისმიერ ინგლისურ ფეხბურთთან უკეთ ადაპტაციისთვის. გარდა მეგობრის მიერ შერქმეული სახელისა, სამხრეთამერიკული პრესა ფეხბურთელს "კურინგას" (ჯოკერი) უწოდებდა. ელანომ დიდი როლი ითამაშა გუნდის აღზევებაში - მასთან ერთად ორჯერ გახდა ბრაზილიის ჩემპიონი და პირადი მიღწევებითაც გაიმდიდრა ბიოგრაფია. ავტორიტეტულმა ურუგვაულმა გამოცემა "ელ პაისმა" ის ორჯერ დაასახელა კონტინენტის წლის სიმბოლურ ნაკრებში. "სანტოსი" მან ვალმოხდილმა დატოვა, გაიტანა რა 209 თამაშში 52 გოლი. რაც ნახევარმცველის კვალობაზე ფანტასტიკური შედეგია და რასაც უამრავი თავდამსხმელიც ინატრებდა.

ელანოს კარიერა ევროპის წამყვან ლიგებში ბევრად ადრე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ აქ დიდი ფინანსები ჩაერია. ფეხბურთელს მადრიდის ბილეთი უკვე ხელში ეკავა და "ატლეტიკოს" ზოლიანი მაისურის მოსარგებად ემზადებოდა, როცა "შახტიორის" პრეზიდენტმა **რინატ ახმეტოვმა** მასა და მის კლუბს ისეთი წინადადებით მიმართა, რომელზეც უარს დიდ ფუფუნებაში გაზრდილი ფეხბურთელიც ვერ იტყოდა. 7 მილიონი მიიღო კლუბმა, ხოლო თავად მოთამაშემ - 3. დიდი ევროპა ცოტა ხანი მოიცდიდა. *"პირველად უკრაინაში რომ ჩამოვედი იანვარი იყო. გარეთ 15 გრადუსი ყინვა იყო. პირველ თვეებში მეგონა, რომ ჭკუაზე გადავიდოდი. არამხოლოდ იმის გამო, რომ სულ მციოდა. ბრაზილიაში მეუღლე ალესანდრა დარჩა და მასთან თაფლობის თვის გატარებაც კი ვერ მოვასწარი,"* - იხსენებს ნახევარმცველი. ცხოვრებამ თავისი გაიტანა და ცხოვრება ნელ-ნელა რიტმში ჩადგა. დეპრესია დაიძლია. შავი ღრუბლების გაქრობასთან ერთად მან თავისი თამაში იპოვნა მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან ცოტა ხანი გაგრძელდა. "შახტიორმა" მისი დიდი ძალისხმევით ისტორიაში მეორედ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. გუნდმა ჩემპიონთა ლიგაშიც დამაკმაყოფილებლად ითამაშა. სადაც ბრაზილიელი განსაკუთრებით ეფექტური იყო, რასაც ვერ ვიტყვით უკრაინის ჩემპიონატის თამაშებზე. რამდენჯერმე ის ტრავმებმაც შეაწუხა, მაგრამ ბედის წყალობით სერიოზული არაფერი დაუშავებია. 2006 წლის გაზაფხულზე ელანომ იტალიის მოქალქეობა მიიღო. მას საბოლოოდ გაუქრა უკრაინაში თამაშის მოტივაცია. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ "შახტიორის" ნარინჯისფერ ფორმასთან ერთად, ის უჩინ-მაჩინის ქუდსაც ირგებდა. ფეხბურთელს ვერავინ დაუბრუნა თამაშის მოტივაცია. არსებობდა მხოლოდ ერთი იმედი: როგორც ყველა ბრაზილიელს მასაც დაუოკებელი სურვილი ჰქონდა ნაკრებში თამაშისა, მაგრამ საშინელ ფორმაში მყოფი ის სამშობლოში არავის გახსენებია. სიტუაცია შეიცვალა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეროვნული გუნდის თავკაცად **კარლოს დუნგა** დაინიშნა. მისმა ნდობამ გაამართლა. ელანომ არაჩვეულებრივად ითამაშა არგენტინის წინააღმდეგ, რომელიც პენტაკამპეონებმა 3:0 მოიგეს, ფეხბურთელმა დუბლი შეასრულა. ის მატჩი ლონდონში, "ემირითს სთედიუმზე", 2006 წლის 3 სექტემბერს გაიმართა. მისი ასეთი გაბრწყინებები "შახტიორის" თავკაცს **მირჩა ლუჩესკუს** სულაც არ ახარებდა. *"ყოველთვის როცა ის ნაკრებიდან ბრუნდება, ლიად მიცხადებს, რომ აქედან წასვლა სურს. როგორ დავაყენო ძირითად შემადგენლობაში ფეხბურთელი, ვინც დონეცკში ცხოვრება ისე მოიწყო, თითქოს მისთვის ყველაფერი სულერთია, თითქოს ყველაფერი რაც მის გარშემოა, დროებითია და ყოველ წუთას ელოდება გამგზავრებას. ჩვენ არ გვჭირდება ფეხბურთელები, რომლებიც არ არიან მზად, მთლიანად მიუძღვნან საკუთარი თავი გუნდურ ინტერესებს. თუკი კლუბი ღირებულ წინადადებას მიიღებს, მას დაუფიქრებლად გავასხვისებთ,"* - აცხადებდა ლუჩესკუ. უკანასკნელად ელანომ უკრაინულ პუბლიკას მჭუხარე ოვაციები ამა წლის გაზაფხულზე დასტყუა. ეს მოხდა "სევილიასთან" უეფას თასის 1\8 ფინალში. მაშინ დონეცკელებმა კინაღამ მოახერხეს უეფას თასის მოქმედი გამარჯვებულის დამარცხება. ბრაზილიელმა მისთვის უხერხული მარცხენა ფლანგიდან შესანიშნავი რეიდი წამოიწყო, მცველის წინააღმდეგობის მიუხედავად ბრწყინვალედ დაარტყა და **ანდრეს პალოპს** შორეულ კუთხეში გაუტანა. თითქოს კარის გასაჯახუნებლად ნახევარმცველს ამით კარგი წინაპირობა უნდა შეექმნა, მაგრამ არა... მსაჯის მიერ დამატებულ მე-4 წუთზე იმავე პალოპმა შეუძლებელი შეძლო და გადამწყვეტი გოლი გაუტანა (!) მეტოქე გუნდს. ამ კადრების გახსენებაზე დღემდე მთელ უკრაინას სისხლი ძარღვებში ეყინება.

საკლუბო პრობლემების მიუხედავად, კარლოს დუნგა ელანოს ნაკრებში მაინც ჯიუტად იწვევდა. ბლუმერი ეროვნულ გუნდში ყოველთვის მოტივირებული გამოიყურებოდა და სწორედ ეს გახდა იმ რისკის მიზეზი, რამაც კოპა ამერიკის დასრულებამდე დონეცკელებს ფეხბურთელის გაყიდვაზე უარი ათქმევინა. რისკი ღირსეული საქმეაო, ამბობენ. ბრაზილია **რონალდინიოსა** და **კაკას** გარეშე გაემგზავრა კონტინენტის პირველობაზე. სამაგიეროდ შემადგენლობაში ჰყავდა ძველი მეგობრები ელანო და რობინიო.

მიუხედავად იმისა, რომ "შახტიორისა" და ჩვენი გმირის "ქორწინება" ბედნიერი არ აღმოჩნდა, ხელმძღვანელობა ფეხბურთელს მაინც ისე დაშორა, როგორც ეს ღირსეულ ხალხს სჩვევია. მხარეებმა მოიწვიეს პრესკონფერენცია, სადაც ერთმანეთს მადლობა უთხრეს და მომავალი წარმატებები უსურვეს. *"მოხარული ვარ, რომ აქედან სკანდალის გარეშე მივდივარ და ისე არ მიყურებენ, როგორც მტერსა და გამყიდველს"*, - თქვა ნახევარმცველმა. ბოლოს ლუჩესკუმ ყოფილ შეგირდს ყურზე ხელი მეგობრულად მოუცაცუნა და ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ.

გარდა წმინდა საფეხბურთო წვრილმანებისა, ელანო ბლუმერი საინტერესო ადამიანია იმითაც, რომ რინატ ახმეტოვთან ერთად დააარსა კიბოსთან და ტუბერკულოზთან ბრძოლის ფონდი. *"მე მაქვს საამისო ფინანსები და რატომ არ უნდა დავეხმარო ადამიანებს? ვიცი, რომ ის რისი გაკეთებაც შემიძლია, ძალიან ცოტაა, მაგრამ ერთი პატარა ნაბიჯის წინ გადადგმაც კარგია."*

ის დღემდე ოცნებობს იმაზე, რომ ოდესმე გახდება მსოფლიოს ჩემპიონი და ითამაშებს მისი ბავშვობის უსაყვარლეს კლუბ "იუვენტუსში". 26 წლის ასაკში მას ჯერ კიდევ ყველაფერი წინ აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოდოინკი რთულ მატჩს ელის

## შეთანხმებიან ესპანეთი და შვედეთი ფრეზე?

მასპინძლების, ავსტრიისა და შვეიცარიის გარდა, ევროპის ჩემპიონატის საგზური უკვე მოიპოვეს გერმანიამ, ჩეხეთმა, მოქმედმა ჩემპიონმა საბერძნეთმა და რუმინეთმა. თუ დღეს პოლონეთი საკუთარ კედლებში ბელგიას დაამარცხებს, ევროპის ჩემპიონატზე გავა. უდიდეს სენსაციასთან ძალიან ახლოსაა შოტლანდია, რომელსაც ასევე მოგება უნდა იმისათვის, რომ ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვოს, მაგრამ სქოთების მეტოქე მსოფლიოს ჩემპიონი იტალიაა, რომელსაც გლაზგოში ფრეც აწყობს. რუსეთი კი ისრაელში ჩადის...

### A ჯგუფი

| | |
|---|---|
| ბელგია-ყაზახეთი | 0:0 |
| სერბეთი-აზერბაიჯანი | 1:0 |
| პოლონეთი-ფინეთი | 1:3 |
| აზერბაიჯანი-ყაზახეთი | 1:1 |
| ფინეთი-პორტუგალია | 1:1 |
| სომხეთი-ბელგია | 0:1 |
| პოლონეთი-სერბეთი | 1:1 |
| სომხეთი-ფინეთი | 0:0 |
| ყაზახეთი-პოლონეთი | 0:1 |
| სერბეთი-ბელგია | 1:0 |
| პორტუგალია-აზერბაიჯანი | 3:0 |
| ბელგია-აზერბაიჯანი | 3:0 |
| ყაზახეთი-ფინეთი | 0:2 |
| სერბეთი-სომხეთი | 3:0 |
| პოლონეთი-პორტუგალია | 2:1 |
| ფინეთი-სომხეთი | 1:0 |
| პორტუგალია-ყაზახეთი | 3:0 |
| ბელგია-პოლონეთი | 0:1 |
| პოლონეთი-აზერბაიჯანი | 5:0 |
| პორტუგალია-ბელგია | 4:0 |
| ყაზახეთი-სერბეთი | 2:1 |
| აზერბაიჯანი-ფინეთი | 1:0 |
| პოლონეთი-სომხეთი | 1:0 |
| სერბეთი-პორტუგალია | 1:1 |
| ფინეთი-სერბეთი | 0:2 |
| ყაზახეთი-სომხეთი | 1:2 |
| აზერბაიჯანი-პოლონეთი | 1:3 |
| ბელგია-პორტუგალია | 1:2 |
| ფინეთი-ბელგია | 2:0 |
| ყაზახეთი-აზერბაიჯანი | 1:1 |
| სომხეთი-პოლონეთი | 1:0 |
| ფინეთი-ყაზახეთი | 2:1 |
| სომხეთი-პორტუგალია | 1:1 |
| ბელგია-სერბეთი | 3:2 |
| აზერბაიჯანი-სომხეთი | -:- |
| სერბეთი-ფინეთი | 0:0 |
| პორტუგალია-პოლონეთი | 2:2 |
| სომხეთი-აზერბაიჯანი | -:- |
| ფინეთი-პოლონეთი | 0:0 |
| ყაზახეთი-ბელგია | 2:2 |
| პორტუგალია-სერბეთი | 1:1 |
| აზერბაიჯანი-პორტუგალია | 0:2 |
| ბელგია-ფინეთი | 0:0 |
| სომხეთი-სერბეთი | 0:0 |
| პოლონეთი-ყაზახეთი | 3:1 |
| ყაზახეთი-პორტუგალია | 1:2 |
| აზერბაიჯანი-სერბეთი | 1:6 |
| ბელგია-სომხეთი | 3:0 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პოლონეთი | 12 | 7 | 3 | 2 | 20-10 | 24 |
| 2. პორტუგალია | 12 | 6 | 5 | 1 | 23-10 | 23 |
| 3. სერბეთი | 12 | 5 | 5 | 2 | 19-9 | 20 |
| 4. ფინეთი | 12 | 5 | 5 | 2 | 11-6 | 20 |
| 5. ბელგია | 12 | 4 | 3 | 5 | 13-14 | 15 |
| 6. სომხეთი | 10 | 2 | 3 | 5 | 4-11 | 9 |
| 7. ყაზახეთი | 12 | 1 | 4 | 7 | 10-20 | 7 |
| 8. აზერბაიჯანი | 10 | 1 | 2 | 7 | 5-25 | 5 |

**დარჩენილი მატჩები**

**17 ნოემბერი, შაბათი**

სერბეთი-ყაზახეთი
ფინეთი-აზერბაიჯანი
პორტუგალია-სომხეთი
პოლონეთი-ბელგია

**21 ნოემბერი, ოთხშაბათი**

აზერბაიჯანი-ბელგია
სერბეთი-პოლონეთი
პორტუგალია-ფინეთი
სომხეთი-ყაზახეთი

### B ჯგუფი

| | |
|---|---|
| ფარერები-საქართველო | 0:6 |
| საქართველო-საფრანგეთი | 0:3 |
| იტალია-ლიტვა | 1:1 |
| შოტლანდია-ფარერები | 6:0 |
| უკრაინა-საქართველო | 3:2 |
| ლიტვა-შოტლანდია | 1:2 |
| საფრანგეთი-იტალია | 3:1 |
| იტალია-უკრაინა | 2:0 |
| შოტლანდია-საფრანგეთი | 1:0 |
| ფარერები-ლიტვა | 0:1 |
| საქართველო-იტალია | 1:3 |
| უკრაინა-შოტლანდია | 2:0 |
| საფრანგეთი-ფარერები | 5:0 |
| შოტლანდია-საქართველო | 2:1 |
| ლიტვა-საფრანგეთი | 0:1 |
| ფარერები-უკრაინა | 0:2 |
| უკრაინა-ლიტვა | 1:0 |
| საქართველო-ფარერები | 3:1 |
| იტალია-შოტლანდია | 2:0 |
| ფარერები-იტალია | 1:2 |
| ლიტვა-საქართველო | 1:0 |
| საფრანგეთი-უკრაინა | 2:0 |
| საფრანგეთი-საქართველო | 1:0 |
| ლიტვა-იტალია | 0:2 |
| ფარერები-შოტლანდია | 0:2 |
| საქართველო-უკრაინა | 1:1 |
| შოტლანდია-ლიტვა | 3:1 |
| იტალია-საფრანგეთი | 0:0 |
| უკრაინა-იტალია | 1:2 |
| საფრანგეთი-შოტლანდია | 0:1 |
| ლიტვა-ფარერები | 2:1 |
| შოტლანდია-უკრაინა | 3:1 |
| იტალია-საქართველო | 2:0 |
| ფარერები-საფრანგეთი | 0:6 |
| საქართველო-შოტლანდია | 2:0 |
| უკრაინა-ფარერები | 5:0 |
| საფრანგეთი-ლიტვა | 2:0 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საფრანგეთი | 11 | 8 | 1 | 2 | 23-3 | 25 |
| 2. შოტლანდია | 11 | 8 | 0 | 3 | 20-10 | 24 |
| 3. იტალია | 10 | 7 | 2 | 1 | 17-7 | 23 |
| 4. უკრაინა | 10 | 5 | 1 | 4 | 16-12 | 16 |
| 5. ლიტვა | 10 | 3 | 1 | 6 | 7-13 | 10 |
| 6. საქართველო | 11 | 3 | 1 | 7 | 16-17 | 10 |
| 7. ფარერები | 11 | 0 | 0 | 11 | 3-40 | 0 |

**დარჩენილი მატჩები**

**17 ნოემბერი, შაბათი**

ლიტვა-უკრაინა
შოტლანდია-იტალია

**21 ნოემბერი, ოთხშაბათი**

იტალია-ფარერები
საქართველო-ლიტვა
უკრაინა-საფრანგეთი

### C ჯგუფი

| | |
|---|---|
| მოლდოვა-საბერძნეთი | 0:1 |
| უნგრეთი-ნორვეგია | 1:4 |
| მალტა-ბოსნია | 2:5 |
| ნორვეგია-მოლდოვა | 2:0 |
| ბოსნია-უნგრეთი | 1:3 |
| თურქეთი-მალტა | 2:0 |
| მოლდოვა-ბოსნია | 2:2 |
| უნგრეთი-თურქეთი | 0:1 |
| საბერძნეთი-ნორვეგია | 1:0 |
| ბოსნია-საბერძნეთი | 0:4 |
| მალტა-უნგრეთი | 2:1 |
| თურქეთი-მოლდოვა | 5:0 |
| მოლდოვა-მალტა | 1:1 |
| საბერძნეთი-თურქეთი | 1:4 |
| ნორვეგია-ბოსნია | 1:2 |
| თურქეთი-ნორვეგია | 2:2 |
| მალტა-საბერძნეთი | 0:1 |
| უნგრეთი-მოლდოვა | 2:0 |
| საბერძნეთი-უნგრეთი | 2:0 |
| ნორვეგია-მალტა | 4:0 |
| ბოსნია-თურქეთი | 3:2 |
| ბოსნია-მალტა | 1:0 |
| ნორვეგია-უნგრეთი | 4:0 |
| საბერძნეთი-მოლდოვა | 2:1 |
| მოლდოვა-ნორვეგია | 0:1 |
| უნგრეთი-ბოსნია | 1:0 |
| მალტა-თურქეთი | 2:2 |
| ნორვეგია-საბერძნეთი | 2:2 |
| თურქეთი-უნგრეთი | 3:0 |
| ბოსნია-მოლდოვა | 0:1 |
| მოლდოვა-თურქეთი | 1:1 |
| უნგრეთი-მალტა | 2:0 |
| საბერძნეთი-ბოსნია | 3:2 |
| ბოსნია-ნორვეგია | 0:2 |
| თურქეთი-საბერძნეთი | 0:1 |
| მალტა-მოლდოვა | 2:3 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბერძნეთი | 10 | 8 | 1 | 1 | 18-9 | 25 |
| 2. ნორვეგია | 10 | 6 | 2 | 2 | 22-8 | 20 |
| 3. თურქეთი | 10 | 5 | 3 | 2 | 22-10 | 18 |
| 4. ბოსნია | 11 | 4 | 1 | 6 | 16-21 | 13 |
| 5. უნგრეთი | 10 | 4 | 0 | 6 | 10-17 | 12 |
| 6. მოლდოვა | 11 | 2 | 3 | 6 | 9-19 | 9 |
| 7. მალტა | 10 | 1 | 2 | 7 | 9-22 | 5 |

**დარჩენილი მატჩები**

**17 ნოემბერი, შაბათი**

მოლდოვა-უნგრეთი
ნორვეგია-თურქეთი
საბერძნეთი-მალტა

**21 ნოემბერი, ოთხშაბათი**

მალტა-ნორვეგია
თურქეთი-ბოსნია
უნგრეთი-საბერძნეთი

### D ჯგუფი

| | |
|---|---|
| ჩეხეთი-უელსი | 2:1 |
| გერმანია-ირლანდია | 1:0 |
| სლოვაკეთი-კვიპროსი | 6:1 |
| სან მარინო-გერმანია | 0:13 |
| სლოვაკეთი-ჩეხეთი | 0:3 |
| უელსი-სლოვაკეთი | 1:5 |
| კვიპროსი-ირლანდია | 5:2 |
| ჩეხეთი-სან მარინო | 7:0 |
| ირლანდია-ჩეხეთი | 1:1 |
| სლოვაკეთი-გერმანია | 1:4 |
| უელსი-კვიპროსი | 3:1 |
| ირლანდია-სან მარინო | 5:0 |
| კვიპროსი-გერმანია | 1:1 |
| სან მარინო-ირლანდია | 1:2 |
| ჩეხეთი-გერმანია | 1:2 |
| ირლანდია-უელსი | 1:0 |
| კვიპროსი-სლოვაკეთი | 1:3 |
| უელსი-სან მარინო | 3:0 |
| ირლანდია-სლოვაკეთი | 1:0 |
| ჩეხეთი-კვიპროსი | 1:0 |
| გერმანია-სან მარინო | 6:0 |
| უელსი-ჩეხეთი | 0:0 |
| გერმანია-სლოვაკეთი | 2:1 |
| სან მარინო-კვიპროსი | 0:1 |
| სან მარინო-ჩეხეთი | 0:3 |
| უელსი-გერმანია | 0:2 |
| სლოვაკეთი-ირლანდია | 2:2 |
| სლოვაკეთი-უელსი | 2:5 |
| კვიპროსი-სან მარინო | 3:0 |
| ჩეხეთი-ირლანდია | 1:0 |
| კვიპროსი-უელსი | 3:1 |
| ირლანდია-გერმანია | 0:0 |
| სლოვაკეთი-სან მარინო | 7:0 |
| გერმანია-ჩეხეთი | 0:3 |
| ირლანდია-კვიპროსი | 1:1 |
| სან მარინო-უელსი | 1:2 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩეხეთი | 10 | 7 | 2 | 1 | 22-4 | 23 |
| 2. გერმანია | 10 | 7 | 2 | 1 | 31-7 | 23 |
| 3. ირლანდია | 11 | 4 | 4 | 3 | 15-12 | 16 |
| 4. კვიპროსი | 10 | 4 | 2 | 4 | 17-18 | 14 |
| 5. სლოვაკეთი | 10 | 4 | 1 | 5 | 27-20 | 13 |
| 6. უელსი | 10 | 4 | 1 | 5 | 16-17 | 13 |
| 7. სან მარინო | 11 | 0 | 0 | 11 | 2-52 | 0 |

**დარჩენილი მატჩები**

**17 ნოემბერი, შაბათი**

ჩეხეთი-სლოვაკეთი
გერმანია-კვიპროსი
უელსი-ირლანდია

**21 ნოემბერი, ოთხშაბათი**

კვიპროსი-ირლანდია
გერმანია-უელსი
სან მარინო-სლოვაკეთი

### E ჯგუფი

| | |
|---|---|
| ესტონეთი-მაკედონია | 0:1 |
| ინგლისი-ანდორა | 5:0 |
| ესტონეთი-ისრაელი | 0:1 |
| რუსეთი-ხორვატია | 0:0 |
| ისრაელი-ანდორა | 4:1 |
| მაკედონია-ინგლისი | 0:1 |
| ინგლისი-მაკედონია | 0:0 |
| ხორვატია-ანდორა | 7:0 |
| რუსეთი-ისრაელი | 1:1 |
| ხორვატია-ინგლისი | 2:0 |
| რუსეთი-ესტონეთი | 2:0 |
| ანდორა-მაკედონია | 0:3 |
| ისრაელი-ხორვატია | 3:4 |
| მაკედონია-რუსეთი | 0:2 |
| ისრაელი-ინგლისი | 0:0 |
| ესტონეთი-რუსეთი | 0:2 |
| ხორვატია-მაკედონია | 2:1 |
| ანდორა-ინგლისი | 0:3 |
| ისრაელი-ესტონეთი | 4:0 |
| ესტონეთი-ხორვატია | 0:1 |
| რუსეთი-ანდორა | 4:0 |
| მაკედონია-ისრაელი | 1:2 |
| ანდორა-ისრაელი | 0:2 |
| ხორვატია-რუსეთი | 0:0 |
| ესტონეთი-ინგლისი | 0:3 |
| ესტონეთი-ანდორა | 2:1 |
| ინგლისი-ისრაელი | 3:0 |
| რუსეთი-მაკედონია | 3:0 |
| ხორვატია-ესტონეთი | 2:0 |
| ანდორა-ხორვატია | 0:6 |
| მაკედონია-ესტონეთი | 1:1 |
| ინგლისი-რუსეთი | 3:0 |
| ინგლისი-ესტონეთი | 3:0 |
| ხორვატია-ისრაელი | 1:0 |
| მაკედონია-ანდორა | 3:0 |
| რუსეთი-ინგლისი | 2:1 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხორვატია | 10 | 8 | 2 | 0 | 25-4 | 26 |
| 2. ინგლისი | 11 | 7 | 2 | 2 | 22-4 | 23 |
| 3. რუსეთი | 10 | 6 | 3 | 1 | 16-5 | 21 |
| 4. ისრაელი | 10 | 5 | 2 | 3 | 17-11 | 17 |
| 5. მაკედონია | 10 | 3 | 2 | 5 | 10-11 | 11 |
| 6. ესტონეთი | 11 | 1 | 1 | 9 | 3-21 | 4 |
| 7. ანდორა | 10 | 0 | 0 | 10 | 2-39 | 0 |

**დარჩენილი მატჩები**

**17 ნოემბერი, შაბათი**

მაკედონია-ხორვატია
ისრაელი-რუსეთი
ანდორა-ესტონეთი

**21 ნოემბერი, ოთხშაბათი**

ინგლისი-ხორვატია
ისრაელი-მაკედონია
ანდორა-რუსეთი

### F ჯგუფი

| | |
|---|---|
| ესპანეთი-ლიხტენშტაინი | 4:0 |
| ჩრ. ირლანდია-ისლანდია | 0:3 |
| ლატვია-შვედეთი | 0:1 |
| ისლანდია-დანია | 0:2 |
| ჩრ. ირლანდია-ესპანეთი | 3:2 |
| შვედეთი-ლიხტენშტაინი | 3:1 |
| დანია-ჩრ. ირლანდია | 0:0 |
| ლატვია-ისლანდია | 4:0 |
| შვედეთი-ესპანეთი | 2:0 |
| ისლანდია-შვედეთი | 1:2 |
| ლიხტენშტაინი-დანია | 0:4 |
| ჩრ. ირლანდია-ლატვია | 1:0 |
| ესპანეთი-დანია | 2:1 |
| ლიხტენშტ.-ჩრ. ირლანდია | 1:4 |
| ჩრ. ირლანდია-შვედეთი | 2:1 |
| ლიხტენშტაინი-ლატვია | 1:0 |
| ესპანეთი-ისლანდია | 1:0 |
| დანია-შვედეთი | 0:3 ტ/დ |
| ლატვია-ესპანეთი | 0:2 |
| ისლანდია-ლიხტენშტაინი | 1:1 |
| ლიხტენშტაინი-ესპანეთი | 0:2 |
| შვედეთი-ისლანდია | 5:0 |
| ლატვია-დანია | 0:2 |
| ჩრ. ირლანდია-ლიხტენშტაინი | 3:1 |
| შვედეთი-დანია | 0:0 |
| ლატვია-ჩრ. ირლანდია | 1:0 |
| ისლანდია-ესპანეთი | 1:1 |
| ისლანდია-ჩრ. ირლანდია | 2:1 |
| დანია-ლიხტენშტაინი | 4:0 |
| ესპანეთი-ლატვია | 2:0 |
| დანია-ესპანეთი | 1:3 |
| ლიხტენშტაინი-შვედეთი | 0:3 |
| ისლანდია-ლატვია | 2:4 |
| შვედეთი-ჩრ. ირლანდია | 1:1 |
| ლიხტენშტაინი-ისლანდია | 3:0 |
| დანია-ლატვია | 3:1 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 10 | 7 | 2 | 1 | 21-5 | 23 |
| 2. ესპანეთი | 10 | 7 | 1 | 2 | 19-8 | 22 |
| 3. დანია | 10 | 5 | 2 | 3 | 17-9 | 17 |
| 4. ჩრ. ირლანდია | 10 | 5 | 2 | 3 | 15-12 | 17 |
| 5. ლატვია | 10 | 3 | 0 | 7 | 10-14 | 9 |
| 6. ისლანდია | 11 | 2 | 2 | 7 | 10-24 | 8 |
| 7. ლიხტენშტაინი | 11 | 2 | 1 | 8 | 8-28 | 7 |

**დარჩენილი მატჩები**

**17 ნოემბერი, შაბათი**

ესპანეთი-შვედეთი
ჩრ. ირლანდია-დანია
ლატვია-ლიხტენშტაინი

**21 ნოემბერი, ოთხშაბათი**

ესპანეთი-ჩრ. ირლანდია
დანია-ისლანდია
შვედეთი-ლატვია

### G ჯგუფი

| | |
|---|---|
| რუმინეთი-ბულგარეთი | 2:2 |
| ბელარუსი-ალბანეთი | 2:2 |
| ლუქსემბურგი-ჰოლანდია | 0:1 |
| ჰოლანდია-ბელარუსი | 3:0 |
| ალბანეთი-რუმინეთი | 0:2 |
| ბულგარეთი-სლოვენია | 3:0 |
| რუმინეთი-ბელარუსი | 3:1 |
| ბულგარეთი-ჰოლანდია | 1:1 |
| სლოვენია-ლუქსემბურგი | 2:0 |
| ბელარუსი-სლოვენია | 4:2 |
| ლუქსემბურგი-ბულგარეთი | 0:1 |
| ჰოლანდია-ალბანეთი | 2:1 |
| ჰოლანდია-რუმინეთი | 0:0 |
| ლუქსემბურგი-ბელარუსი | 1:2 |
| ალბანეთი-სლოვენია | 0:0 |
| რუმინეთი-ლუქსემბურგი | 3:0 |
| სლოვენია-ჰოლანდია | 0:1 |
| ბულგარეთი-ალბანეთი | 0:0 |
| ალბანეთი-ლუქსემბურგი | 2:0 |
| ბელარუსი-ბულგარეთი | 0:2 |
| სლოვენია-რუმინეთი | 1:2 |
| ლუქსემბურგი-ალბანეთი | 0:3 |
| ბულგარეთი-ბელარუსი | 2:1 |
| რუმინეთი-სლოვენია | 2:0 |
| ბელარუსი-რუმინეთი | 1:3 |
| ჰოლანდია-ბულგარეთი | 2:0 |
| ლუქსემბურგი-სლოვენია | 0:3 |
| სლოვენია-ბელარუსი | 1:0 |
| ბულგარეთი-ლუქსემბურგი | 3:0 |
| ალბანეთი-ჰოლანდია | 0:1 |
| რუმინეთი-ჰოლანდია | 1:0 |
| ბელარუსი-ლუქსემბურგი | 0:1 |
| სლოვენია-ალბანეთი | 0:0 |
| ლუქსემბურგი-რუმინეთი | 0:2 |
| ჰოლანდია-სლოვენია | 2:0 |
| ალბანეთი-ბულგარეთი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუმინეთი | 10 | 8 | 2 | 0 | 20-5 | 26 |
| 2. ჰოლანდია | 10 | 7 | 2 | 1 | 13-3 | 23 |
| 3. ბულგარეთი | 10 | 5 | 4 | 1 | 15-7 | 19 |
| 4. ალბანეთი | 10 | 2 | 5 | 3 | 9-8 | 11 |
| 5. სლოვენია | 11 | 3 | 2 | 6 | 9-14 | 11 |
| 6. ბელარუსი | 10 | 2 | 1 | 7 | 11-20 | 7 |
| 7. ლუქსემბურგი | 11 | 1 | 0 | 10 | 2-22 | 3 |

**დარჩენილი მატჩები**

**17 ნოემბერი, შაბათი**

ბულგარეთი-რუმინეთი
ალბანეთი-ბელარუსი
ჰოლანდია-ლუქსემბურგი

**21 ნოემბერი, ოთხშაბათი**

რუმინეთი-ალბანეთი
სლოვენია-ბულგარეთი
ბელარუსი-ჰოლანდია

### A ჯგუფი

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ A ჯგუფიდან პოლონეთი და პორტუგალია გავლენ. სერბეთს და ფინეთს ჯერ შანსი არ დაუკარგავთ, მაგრამ მხოლოდ ფორტუნის იმედადღა არიან. **ლეო ბეენჰაკერის** შეგირდები, რომლებიც ჯგუფს 24 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობენ, დღეს იმ ბელგიას მასპინძლობენ, რომელიც მეხუთე ადგილზეა დამკვიდრებული და ჯგუფიდან გასვლის თეორიული შანსიც არა აქვს. მასპინძელთა გამარჯვება კი ავტომატურად ნიშანი იქნება იმისა, რომ პოლონეთი ევროპის ჩემპიონატზე გავიდა.

პოლონელთა სამივე მდევარი სახლში თამაშობს და სამივე მათგანს არცთუ რთული მატჩები ელის: პორტუგალიელები სომხებს მასპინძლობენ და წესით, იოლად უნდა მოიგონ. აქვე უნდა შევახსენოთ, რომ **ლუიშ ფელიპე სკოლარის** გუნდმა ერევანში მხოლოდ ქულა მოიპოვა. პორტუგალიას დღეს დაცვის ბურჯი **კარვალიო** არ ეყოლება, რომელიც ტრავმირებულია. სკოლარის კი, მოგეხსენებათ, დისკვალიფიკაცია აქვს და მატჩს მხოლოდ ტრიბუნიდან მიადევნებს თვალს. მოგების შემთხვევაში, პორტუგალიას ოთხშაბათს ერთვგარი ფინალი ექნება ფინეთთან, ოღონდ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ფინელები შინ აზერბაიჯანს დაამარცხებენ, რაც სკანდინაველთათვის, წესით პრობლემა არ უნდა იყოს. ბოლო თამაშებისთვის ფინელებმა კვლავ უხმეს **იარი ლიტმანენს, ერემენკო** კი ტრავმირებულია და ვერ ითამაშებს. სერბეთს კი (20 ქულა), ყაზახეთის დამარცხება მართებს და აქ ისიც ალსანიშნავია, თუ სერბებიც იმდენივე ქულას დააგროვებენ, რამდენსაც პორტუგალია და ფინეთი, ევროპის ჩემპიონატზე ისინი გავლენ, რადგან პირად შეხვედრებში ორივესთან უპირატესობა აქვთ.

### C ჯგუფი

ევროპის მოქმედმა ჩემპიონმა ფინალური ეტაპის საგზური ყოველგვარი სირთულეების გარეშე მოიპოვა და **ოტო რეჰაგელის** გუნდი დღეს მალტასთან გაივარჯიშებს. მეორე ადგილისთვის კი დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობს და დღეს ერთმანეთს უშუალო კონკურენტები უპირისპირდებიან: ნორვეგია, რომელიც მეორე ადგილზეა, მესამე პოზიციაზე მყოფ თურქეთს მასპინძლობს. თურქები სკანდინაველებს 2 ქულით ჩამორჩებიან და შესაბამისად, **ფატიჰ თერიმის** გუნდს მხოლოდ მოგება აძლევს ხელს. „ვიკინგები" ოპტიმისტურად არიან განწყობილები, რადგან თუ დღეს ოსლოში, საკუთარ მოედანზე თურქებთან ფრეს მიაღწევენ, ევროპის ჩემპიონატზე თამაში ფაქტობრივად განაღდებული ექნებათ, რადგან ოთხშაბათს მალტას შეხვდებიან და შანსი იმისა, რომ ნორვეგიამ კუნძულელებთან წაიფორხილოს, ძალიან მცირეა. შესაბამისად, თურქეთი მძიმე წნეხის ქვეშაა მოქცეული.

მე-7 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



გუუს ჰიდინკი

შოტლანდია-იტალია ისტორიულ რაკურსში

# იტალიამ მხოლოდ ერთხელ, შოტლანდიამ კი არც ერთხელ...

**დღეს გლაზგოს "ჰემპდენ პარკზე" მიმდინარე შესარჩევი ციკლის ერთ-ერთი გადამწყვეტი მატჩი გაიმართება. შოტლანდიის ნაკრები იტალიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. თუ "სკუადრა აძურა" დამარცხდება, ფაქტობრივად ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მიღმა რჩება. თავის მხრივ, შოტლანდია ავსტრია/შვეიცარიის საგზურს ინაღდებს. იტალიას კი რჩება ერთადერთი და, შეიძლება ითქვას, მიზერული შანსი: 21 ნოემბერს საფრანგეთმა კიევში უნდა წააგოს, თავად კი შინ ფარერები დაამარცხოს. ცხადია, მოვლენათა ამგვარი განვითარება დასაშვებია, მაგრამ დაგვეთანხმებით, რომ ნაკლებად. საქმე ის გახლავთ, რომ ფრანგებს კიევში ფრეც აძლევთ ხელს. ხოლო თუ იტალია ფინალური ეტაპის მიღმა დარჩება, განმეორდება 1984 წელი, როცა საფრანგეთში გამართულმა ევროფორუმმა მსოფლიო ჩემპიონი (1982) "სკუადრა აძურას" გარეშე ჩაიარა. ახლა, შესაძლებლობა გვაქვს, გადავხედოთ შოტლანდიის და იტალიის ნაკრებთა ბოლოდროინდელი გლაზგოური დაპირისპირებების ისტორიას...**

9 ნოემბერი, 1965. გლაზგო. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

**შოტლანდია-იტალია 1:0**

**შოტლანდია:** ბრაუნი, გრეგი, პროვანი, მერდოკი, მაკკინონი, ბაქსტერი, ჰენდერსონი, ბრემერი, გილზეანი, მარტინი, ჰიუზი. *მწვრთნელი: ჯ. სტინი.*

**იტალია:** ნეგრი, ბურგნიჩი, ფაკეტი, გუარნერი, სალვადორე, როზატო, ლოდეტი, ბულგარელი, ს. მაცოლა, რივერა, ბარიზონი. *მწვრთნელი: ე. ფაბრი.*

**გოლი:** 1:0 გრეგი (88)

იტალიის ნაკრებმა, რომელშიც მსოფლიო რანგის ვარსკვლავები თამაშობდნენ, **ჯაჩინტო ფაკეტის, სანდრო მაცოლას, ჯანი რივერასა** და სხვათა სახით, "ჰემპდენ პარკზე" შეკრებილი 100 ათასი მაყურებლის თვალწინ 0:1 წააგო, "რეინჯერსის" ვარსკვლავ **ჯონ გრეგის** გოლით. თუმცა "სკუადრა აძურა" მაინც მოხვდა ინგლისის 1966 წლის მუნდიალზე. იქ კი ჯგუფიდან ვერ გაალწია ჩრდილოეთ კორეის ნაკრებთან სუპერსენსაციური მარცხის (0:1) გამო.

18 ნოემბერი, 1992. გლაზგო. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

**შოტლანდია-იტალია 0:0**

**შოტლანდია:** გორამი, მაკფერსონი, მელპასი, მაკსტეი, მაკლარენი, უაიტი, დიური (71. ჯესი), მაკალისტერი, მაკკოისტი, დარანტი (86. რობერტსონი), ბოიდი. *მწვრთნელი: ე. როქსბურგი.*

**იტალია:** პალიუკა, მანინი, დი კიარა (10. კოსტაკურტა), ბიანკი, მალდინი, ბარეზი, ერანიო, ალბერტინი, სინიორი (66. დონადონი), რ. ბაჯო, ლენტინი. *მწვრთნელი: ა. საკი.*

**რობერტო ბაჯოსა** და **ჯანლუიჯი ლენტინის** სახით, იტალიის ნაკრებს ჰყავდა ორი ახალგაზრდა და უკვე იმ დროისთვის მსოფლიოში აღიარებული ვარსკვლავი, პლუს ამას, გამოცდილ ფეხბურთელთა მთელი ჯგუფი, მათ შორის, დღევანდელი მწვრთნელი **რობერტო დონადონიც**. თუმცა ეს გამარჯვების გარანტად ვერ იქცა. **ალან მაკლარენმა** საიმედოდ ჩაკეტა ბაჯო, რომელსაც თავდამსხმელებამდე ბურთის მიტანა ძალიან გაუჭირდა. შესაბამისად, 0:0 სამართლიანი შედეგი იყო.

3 სექტემბერი. 2005. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

**შოტლანდია-იტალია 1:1**

**შოტლანდია:** გორდონი, ალექსანდერი, უეირი, უებსტერი, მაკნამარა, დეილი, ჰარტლი, ფლეტჩერი, ფერგიუსონი, ქუაში (67. მაკკანი), მილერი (77. ბიტი). *მწვრთნელი: უ. სმიტი.*

**იტალია:** პერუცი, ძაკარდო (46. გროსო), ნესტა, კანავარო, ძამბროტა, გატუზო, პირლო, დე როსი (60. კამორანეზი), ტოტი, იაკუინტა (71. ტონი), ვიერი. *მწვრთნელი: მ. ლიპი.*

**გოლები:** 1:0 მილერი (13), 1:1 გროსო (76)

იმ დროისთვის მსოფლიოს მომავალმა ჩემპიონმა გლაზგოში ურთულესი ბრძოლა გადაიტანა. მანამდე, მთელი ერთი წლის განმავლობაში, **მარჩელო ლიპის** იტალია დაუმარცხებელი იყო. ამ მატჩში "სკუადრა აძურა" რეალურად დადგა წაგების საშიშროების წინაშე, მას შემდეგ, რაც **კენი მილერმა** მე-13 წუთზე სკოტები თავურით დააწინაურა. იტალია მუნდიალის მომავალმა გმირმა **ფაბიო გროსომ** გადაარჩინა. და თავად იტალიაც მომავალი გმირი იყო. სპეციალისტთა აზრით, შოტლანდიასთან ეს მატჩი აპენინელთათვის ყველაზე რთულად ითვლებოდა მანამ, ვიდრე "სკუადრა აძურა" მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში გერმანიას არ შეხვდა...



ჯონ გრეგი

შესაბამისად, თუკი იტალიელი ტიფოზები ფიქრობენ, რომ გლაზგოში მოგება დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, ძალიანაც შემცდარან. წლების განმავლობაში, შოტლანდიის ნაკრებს არაერთი ღირსშესანიშნავი გამარჯვება აქვს მოპოვებული.

1989 წელს "ტარტანების არმიამ", 1990 წლის მუნდიალის (იტალია) საკვალიფიკაციო ეტაპზე, 2:0 მოუგო საფრანგეთს და ჯგუფში ჩატოვა. 1990 წელს, ერთ-ერთ პრესტიჟულ ტურნირზე, მათ 1:0 დაამარცხეს იმ დროისთვის ჯერ კიდევ მსოფლიო ჩემპიონი არგენტინის ნაკრები. 2003 წელს კი, ევროპის ჩემპიონატის პლეიოფში, ასევე 1:0 სძლიეს ჰოლანდიის ეროვნულ გუნდს...

მაგრამ ერთი, რაც უთუოდ იტალიის ნაკრების სასარგებლოდ მეტყველებს, ის გახლავთ, რომ ისინი ასეთ შეხვედრებში თითქმის ყოველთვის აღწევენ სასურველ შედეგს. გავიხსენოთ 1997 წელი და მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პლეიოფი რუსეთის წინააღმდეგ. პირველი შეხვედრა მოსკოვის გაყინულ გაზონზე გაიმართა. 32-ე წუთზე იტალიელთა მეკარე **ჯანლუკა პალიუკამ** ტრავმა მიიღო. რაკი იმ მომენტისთვის **ანჯელო პერუციც** დაშავებული იყო, "სკუადრა აძურის" მაშინდელმა მწვრთნელმა **ჩეზარე მალდინიმ** კარში 19 წლის **ჯანლუიჯი ბუფონი** ჩააყენა. ტიფოზების შიში, რომ გამოუცდელი კიპერი საშინელ მოედანზე შეცდომას დაუშვებდა, არ გამართლდა - 1:1 მოსკოვში, 1:0 ნეაპოლში და იტალია საფრანგეთს გაემგზავრა.

...და ასეთია იტალია. გადამწყვეტ მომენტში შეცდომა, შეიძლება, დაუშვან ესპანელებმა, ინგლისელებმა, ოღონდ არა იტალიელებმა - ასე სჯერათ აპენინებზე. თუმც ჩვენ გვახსოვს პენალტების სერიაში წაგებული არაერთი მატჩი, მაგრამ ეს უფრო ინდივიდების კისერზეა, ვიდრე მთლიანად გუნდისა. სხვათა შორის, ერთ-ერთ იტალიურ ვებგვერდზე ასეც ეწერა - თუკი შოტლანდია საქართველოში დამარცხდა, რამ უნდა შეგვიშალოს ხელი, რომ გლაზგოში ფრეს მაინც მივაღწიოთო. ფრე სწორედ იტალიას უხსნის გზას (იმის გათვალისწინებით, რომ ოთხი დღის შემდეგ ფარერებს აუცილებლად მოუგებს), მაგრამ ძალიან ძნელი იქნება იმ შოტლანდიის წინააღმდეგ თამაში, და მით უფრო არწაგება, რომელსაც მხოლოდ 3 ქულა სჭირდება. მართალია, მთელ ამ დაპირისპირებათა ისტორიაში "სკუადრა აძურამ" მხოლოდ ერთხელ წააგო, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ "ტარტანები" მასთან შინ არასოდეს დამარცხებულან...

თუმცა იტალიური მედია იხსენებს 1958 წელსაც, ოღონდ სხვა ბრიტანული ნაკრების მაგალითზე. იმ წლის 15 იანვარს "აძურა" ბელფასტში, ჩრდილოირლანდიურ ნაკრებთან თამაშობდა. ეს იყო მსოფლიო ჩემპიონატის (შვედეთი) საკვალიფიკაციო მატჩი, რომელშიც იტალიას ფრეც აწყობდა. მაგრამ **ჯიმი მაკილროისა** და **უილბურ კეშის** გოლების წყალობით, ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებმა 2:1 გაიმარჯვა და მუნდიალზეც ის გაემგზავრა...



2005 წელი. შოტლანდია-იტალია. მილერი 1:0

მე-6 გვერდიდან

*„თუ ჩვენ ევროპის ჩემპიონატის საგზურს ვერ მოვიპოვებთ, ყველაფრის გაანალიზება მომიწევს. არ გამოვრიცხავ, რომ ასეთ შემთხვევაში პოსტიდან გადავდგე,"* – აცხადებს თურქეთის ნაკრების დამრიგებელი. მიუხედავად ასეთი მნიშვნელობის მატჩისა, თერიმმა გამოცდილი ფეხბურთელები **შუქური, თიუმერი** და **იუზულმეზი** სახლში დატოვა. სამაგიეროდ, მწვრთნელი იმედებს **გიონულზე, შენთურქზე, ბაირაქზე** და **ქაშზე** ამყარებს.

**D ჯგუფი**

ამ ჯგუფში ორივე საგზური გათამაშებულია – ცნობილია, რომ ავსტრიასა და შვეიცარიაში გერმანიისა და ჩეხეთის ნაკრები გუნდები მიემგზავრებიან. მაგრამ ჯგუფს ჯერ კიდევ შერჩა ინტრიგა: ვინ დაიკავებს პირველ ადგილს? ისევე, როგორც **იოახიმ ლიოვის** გუნდს, 1996 წლის ევროპის ვიცე-ჩემპიონებსაც 23 ქულა აქვთ და აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ურთიერთშეხვედრებში უპირატესობას ჩეხები ფლობენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ქულების თანაბარი რაოდენობის დაგროვების შემთხვევაში, პირველ ადგილს ჩეხეთი დაისაკუთრებს. ამისათვის **კარელ ბრიუკნერის** გუნდს ორივე თამაშის მოგება სჭირდება. გერმანელები დღეს კვიპროსს მასპინძლობენ, ოთხშაბათს კი უელსს დაუხვდებიან. ჩეხეთი დღეს სლოვაკეთს უმასპინძლებენ, ოთხშაბათს კი კვიპროსთან ელით გასვლითი მატჩი. ბრიუკნერი **პეტრ ჩეხს** ვერ დაიხმარს და მასთან ერთად, ლაზარეთში **ჟირანეკი, უიფალუში** და **იანკულოვსკი** არიან. დანაკლისი აქვს გერმანიასაც: ვერ ითამაშებს **ბასტიან შვაინშტაიგერი**, რომელიც ვარჯიშის დროს დაშავდა და შეკრება დატოვა. გარდა ამისა, უდიდესი კითხვის ნიშნის ქვეშაა **მარსელ იანსენის** ასპარეზობაც.

**E ჯგუფი**

თუკი ტურის ცენტრალური შეხვედრა შოტლანდია-იტალიაა, ასევე უდიდეს ინტერესს იწვევს ისრაელისა და რუსეთის ჯახიც. როგორც იცით, რუსების ბედი მათსავე ხელშია და იმისათვის, რომ ევროპის ჩემპიონატზე ითამაშონ, ხოლო ინგლისი კი სახლში დატოვონ, **გუუს ჰიდინკის** შეგირდებმა დღეს აუცილებლად უნდა დაამარცხონ ისრაელი. *„ძალიან მძიმე მატჩი გველის. ისრაელი სახლში თამაშობს და შესაბამისად, ძალიან მოტივირებულია,"* – აცხადებს ჰიდინკი. თუ რუსები ისრაელს დაამარცხებენ, შეუძლიათ ევროპის ჩემპიონატისთვის მზადება დაიწყონ, რადგან ოთხშაბათს მათი მეტოქე ანდორა იქნება, გუნდი, რომლის დამარცხებაც რუსეთს ნამდვილად არ გაუჭირდება. შესაბამისად, დღეს მთელი ინგლისი ისრაელს ქომაგობს.

ინგლისელები ოთხშაბათს ხორვატიას შეხვდებიან, მაგრამ თუ დღეს ისრაელმა წააგო, ინგლისს ყოველგვარი შანსი მოესპობა. ხორვატია კი დღეს მაკედონიაში ჩადის და შეუძლია, საგზური გაინაღდოს, რისთვისაც ფრეც ეყოფა.

**F ჯგუფი**

F ჯგუფს 23 ქულით შვედეთი ლიდერობს, მეორე ადგილზე კი ესპანეთია (22). ორივე მათგანს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპამდე მხოლოდ თითო ქულა აშორებს და რაკი ეს გუნდები დღეს ერთმანეთს ხვდებიან (მადრიდში), დიდი შანსია, რომ დაუნდობელი ბრძოლა არ გააჩაღონ და ფრეზე „მორიგდნენ". ფაქტია, რომ ფრე ორივე გუნდს 100 პროცენტით აწყობს. ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ლუის არაგონესმა** ქვეყნის პირველ გუნდში ისევ არ გამოიძახა **რაული**, სამაგიეროდ, უხმო მალიორკელ **გუისას**. შვედებს კი **ლინდეროთი, ალექსანდერსონი** და **ელმანდერი** არ ჰყავთ. წინდაწინვე ცნობილია, რომ სკანდინავიელები ერთადერთი თავდამსხმელით ითამაშებენ (**იბრაჰიმოვიჩი**). თუ ეს შეხვედრა ფრედ არ დასრულდება, მაშინ ჩრდილოეთ ირლანდიასა და დანიას შორის გამარჯვებულს ჯერ კიდევ შერჩება იმედი. თუ ვინიცობაა, ესპანეთმა შვედეთთან წააგო, არაგონესის შეგირდებს ოთხშაბათს ლას პალმასში, ჩრდილოეთ ირლანდიასთან ექნებათ ფინალი.

**G ჯგუფი**

რუმინეთს საგზური განაღდებული აქვს და ბულგარეთში დამშვიდებული ჩადის. აი, ბულგარელებს კი დარჩენილ ორ შეხვედრაში აუცილებლად 6 ქულა სჭირდებათ იმისათვის, რომ ხავსს მოეჭიდონ (ოთხშაბათს სლოვენიაში ჩავლენ). მაგრამ საქმე იმაშია, რომ ბულგარელების ბედი მათ ხელში არაა - წარმოუდგენელია, რომ დღეს ჰოლანდიამ შინ ლუქსემბურგი ვერ დაამარცხოს. ნარინჯისფრებს მხოლოდ 3 ქულა უნდათ იმისათვის, რომ ავსტრია/შვეიცარიის ბილეთები დაჯავშნონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნდიალი 2010. სამხრეთი ამერიკის ზონა. III ტურის წინ

# რონალდინიოს დიეგო შეცვლის?

## გადაუღებელმა წვიმამ დუნგას ვარჯიში ჩაუშალა

| დღეს |
|---|
| არგენტინა-ბოლივია |
| კოლუმბია-ვენესუელა |
| პარაგვაი-ეკვადორი |
| **ხვალ** |
| პერუ-ბრაზილია |
| ურუგვაი-ჩილე |

სანამ ბებერ კონტინენტზე ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის გადამწყვეტი შესარჩევი მატჩებისთვის ემზადებიან, სამხრეთ ამერიკაში მსოფლიოს 2010 წლის საკვალიფიკაციო რაუნდის მომდევნო ტურთან დაკავშირებული ციებ-ცხელება პიკს აღწევს. როგორც ყოველთვის, სამხრეთამერიკული ზონა რამდენიმე საინტერესო შეხვედრას გვპირდება...

ბოგოტაში კოლუმბიის ნაკრები ვენესუელაზე შურისძიებას შეეცდება. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, არცთუ შორეული წარსული უნდა გავიხსენოთ. ზუსტად ოთხი წლის წინ, 2003 წლის 15 ნოემბერს კოლუმბიის ეროვნული გუნდი ასევე ბოგოტაში, ისევ და ისევ ვენესუელას მასპინძლობდა. ბუნებრივია, სპეციალისტების აბსოლუტური უმრავლესობა დარწმუნებული იყო, რომ მასპინძლები იოლად მოიგებდნენ, თუმცა სტუმრებმა 1:0 გაიმარჯვეს და კოლუმბიას საკმაოდ სერიოზული პრობლემები შეუქმნეს. მას შემდეგ ამ გუნდს რევანშის აღების შესაძლებლობა არ მისცემია. გლობალურად თუ ვიმსჯელებთ, სიტუაცია ოთხი წლის შემდეგაც დიდად არ შეცვლილა. კოლუმბია და ვენესუელა ახლაც პირდაპირი მეტოქეები არიან. დასამალი არ არის, რომ ისინი გრნდებს სერიოზულ წინააღმდეგობას ვერ გაუწევენ. სავარაუდოდ, პირველ და მეორე ადგილებს ბრაზილია და არგენტინა გაინაწილებენ. დანარჩენი გამსვლელი ადგილებისთვის კი შედარებით მოკრძალებულმა გუნდებმა უნდა იბრძოლონ. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ თეორიაა, მაგრამ წამყვანი სპეციალისტები სწორედ ამგვარ ვარაუდებს გამოთქვამენ და გვარწმუნებენ, რომ ამ ნაკრებებს უშელავათო ბრძოლა ელით.

ლაპარაკი არ უნდა, რომ ბრაზილიის მატჩი გაცილებით დიდ ინტერესს იწვევს. "სელესაო" ხვალ პერუს სტუმრად დაუპირისპირდება. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ბრაზილიელთა მთავარი მწვრთნელი გუშინ თითქმის მთელი დღის განმავლობაში მოწინააღმდეგეთა თავდასხმის სიძლიერეზე საუბრობდა და აცხადებდა, რომ ამ თვალსაზრისით პერუ ძალიან სახიფათო მოწინააღმდეგეა. **დუნგა** მართლაც ძალიან შეშფოთებული ჩანდა, თუმცა გამორიცხული არ არის, ამის მთავარი მიზეზი მაინც მის გუნდში არსებული პრობლემები იყოს. შეუძლებელია, მთავარ მწვრთნელს **რონალდინიოს** არასახარბიელო მდგომარეობა არ აღელვებდეს. გუშინდელ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს ძალიან აინტერესებდათ, რა ბედი ელის გაუჩოს. ჩვენმა კოლეგებმა სეუ კარლოსს კითხვაც დაუსვეს, მაგრამ მოულოდნელად პენტაკამპეონების დამრიგებელმა ისევ და ისევ პერუს ეროვნული გუნდის თავდასხმაზე დაიწყო ლაპარაკი: *"ნებისმიერ ნაკრებს, რომელიც ბრაზილიასთან საბრძოლველად ემზადება, ყოველთვის ორმაგი მოტივაცია აქვს. რომც არ ვაღიარო, ისედაც ყველა ხედავს, რომ ჩემი ბიჭები საკლუბო შეხვედრების გამო საკმაოდ გადაღლილები არიან. ეს გარემოება პერუსთვის დამატებითი კოზირია. მთავარი უპირატესობა კი, რა თქმა უნდა, მასპინძლის სტატუსია. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ მათ სამხრეთ ამერიკაში ერთ-ერთი საუკეთესო თავდასხმა ჰყავთ. ვშიშობ, საკმაოდ გადაღლილ ბრაზილიელ მცველებს მათთან ბრძოლა არ გაუჭირდეთ. მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ ბრაზილია ვართ, თავმოყვარეობით, სიძლიერითა და სიამაყით აღსავსე გუნდი. რა თქმა უნდა, მოსაგებად გავალთ. ცხადია, სერიოზული ბრძოლა გველის, მაგრამ ოპტიმიზმი ოდითგანვე ჩვენი გამარჯვებების ერთ-ერთი უმთავრესი ქვაკუთხედი იყო."*

"სელესაოსთვის" კოკისპირული წვიმის გამო ჩაშლილი ვარჯიში შესაძლოა, დამატებითი პრობლემის წინაპირობა გახდეს. საქმე ის არის, რომ ტერესოპოლისში დილიდან გადაუღებლად წვიმდა და ბრაზილიელთა სავარჯიშო მოედანი ულმერთოდ დაიტბორა. თავად განსაჯეთ, მაღალი სიმაღლიდან ჩამოვარდნილი ბურთი სამი სანტიმეტრითაც არ სცილდებოდა მინდორს. გასაკვირი არ არის, რომ ამ პირობებში დუნგამ შეგირდების დატვირთვა ვერ მოახერხა. უსაქმოდ დარჩენილმა ბიჭებმა აუზში დიდი ხნით ჭყუმპალაობითლა შეიქციეს თავი. მიუხედავად იმისა, რომ დუნგამ რონალდინიოზე საუბარი არ ისურვა, ჟურნალისტებმა საკუთარი არხებით დაადგინეს, რომ მთავარი მწვრთნელი გაუჩოს ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში **დიეგოს** დაყენების შესაძლებლობას სრული სერიოზულობით განიხილავს. დუნგა ფიქრობს, რომ "ვერდერის" ნახევარმცველი შესანიშნავ ფორმაშია და თამაშს რონალდინიოზე მეტად იმსახურებს. რა თქმა უნდა, იმპერატიულად რაიმეს მტკიცება აქაც შეუძლებელია, მაგრამ ფაქტია, ბრაზილიური გაზეთების აბსოლუტური უმრავლესობა დარწმუნებით წერენ, რომ პერუსთან გაუჩოს სათადარიგოთა სკამზე დაჯდომა მოუწევს. თავად ბარსელონელი მოახლოვებულ შეხვედრას ძალიან მშვიდად ხვდება და სპეკულაციებზე საუბარს გაურბის: *"სიმართლე გითხრათ, სპეკულაციებით კატალონიაში დავიღალე, სამწუხაროდ, აქაც ფაქტობრივად იდენტური სიტუაცია დამხვდა. "სელესაო" გამარჯვებისთვის ემზადება. ეს არის მთავარი. მთავარია, გუნდმა სამი ქულა მოიპოვოს და პირველ ადგილზე დამკვიდრება შეძლოს. მე რაც შემეხება, მომიტევეთ, მაგრამ ამ პოლემიკაში ვერ ჩავერთვები. გადაწყვეტილებებს მხოლოდ და მხოლოდ კარლოს დუნგა იღებს. ასე რომ, მოდით თამაშს დაველოდოთ და ვნახოთ, ვის მიანიჭებს დუნგა უპირატესობას."*

დუნგას სიფრთხილეს, რომელიც პერუს ნაკრების თავდასხმას უკავშირდება, **ლუსიოც** იზიარებს. მისი თქმით, **პისაროსა** და **გერეროს** წინააღმდეგ ბრძოლისას ბრაზილიელ მცველებს უდიდესი წინდახედულობა მართებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გოლი გარდაუვალი იქნება. ლუსიო, რა თქმა უნდა, პესიმიზმის მორევში არ იძირება და დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი გაცილებით უკეთ იასპარეზებს, ვიდრე ოქტომბერში კოლუმბიაში ითამაშა. გემახსოვრებათ, ის პაექრობა ნულოვანი ფრით დასრულდა.

პარაგვაის ნაკრები ზედიზედ მორე გამარჯვებას უმიზნებს. მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ მათ საამისო ჩინებული შანსი აქვთ. ამ სულისკვეთებას პარაგვაელთა მთავარი მწვრთნელი **ხერარდო მარტინოც** იზიარებს: *"არ მგონია, ეკვადორი დაკარგული ქულების ასანაზღაურებლად გადარეულივით გვეტაკოს და თავქუდმოგლეჯვით შემოგვიტიოს. ვფიქრობ, ისინი ფრთხილად ითამაშებენ, რაც ჩვენს წისქვილზე დაასხამს წყალს. ამპარტავნებაში თუ არ ჩამომართმევთ, ვიტყვი, რომ პარაგვაის ფავორიტად მივიჩნევთ. გამარჯვების საკმაოდ დიდი შანსი გვაქვს."*

საკვალიფიკაციო შეხვედრამდე ზუსტად 72 საათით ადრე ურუგვაის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესმა** ჩილესთან ჩასატარებელი მატჩის შემადგენლობა გამოაქვეყნა. სპეციალისტები ამ ნაბიჯით გაოცებულები დარჩნენ. მათ ვერ გაიგეს, რატომ გახსნა ბანქო ტაბარესმა. სხვათა შორის, ზოგი ფიქრობს, რომ ეს ნაბიჯი მისი მხრიდან ერთგვარი ფანდია და რეალურად სხვა ბიჭებს გამოიყვანს. თავად სენიორ ოსკარ ვაშინგტონი კი აცხადებს, რომ დასამალი არაფერია და სულაც არ ეშინია, რომ მოწინააღმდეგე შემადგენლობის წინასწარ გაცნობით რაიმე განსაკუთრებულ ტაქტიკას შეიმუშავებს. ასეა თუ ისე, "სელესტეს" თავკაცი გვპირდება, რომ მისი გუნდი 18 ნოემბერს შემდეგი შემადგენლობით იასპარეზებს: *კარინი, სკოტი, ლუგანო, დიეგო გოდინი, ფუსილე, პერესი, გარგანო, კრისტიან როდრიგესი, სუარესი, აბრეუ, სანჩესი.* როგორც ხედავთ, **სიაში პაბლო გარსია** და **დიეგო ფორლანი** არ ფიგურირებენ. საუკეთესო ურუგვაელ ფეხბურთელებს ტრავმები აწუხებთ. მათ პოზიციაზე **ვალტერ გარგანო** და **ვისენტე სანჩესი** იასპარეზებენ. ტაბარესი მის მიერ შერჩეული შემადგენლობით ძალიან კმაყოფილია. მისმა ფავორიტებმა სპარინგ მატჩში 4:1 მოიგეს.



დიეგომ რონალდინიო უნდა შეცვალოს

რა თქმა უნდა, წინასამატჩო მიმოხილვისას არგენტინას გვერდს ვერ ავუვლით. სამხრეთამერიკის ზონის საკვალიფიკაციო ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერები ზედიზედ მესამე გამარჯვებას უმიზნებენ.

ისინი რომ უპირობო ფავორიტები არიან, საუბარიც არ არის საჭირო. მართლაც სასწაული უნდა მოხდეს, რომ ბოლივიამ "ალბისელესტეს" საკუთარ სტადიონზე თუნდაც ერთი ქულა დააკარგვინოს. მიუხედავად ამისა, **ალფიო ბასილეს** შეგირდები მთელი სერიოზულლობით ემზადებიან. ისინი გულშემატკივრებს თხოვენ, სტადიონი პირთამდე შეავსონ და ეგრეთ წოდებული მე-12 მოთამაშის ფუნქცია შესარულონ. ტაბარესისგან განსხვავებით ბასილეს შემადგენლობა ნაადრევად არ გაუმხელია, თუმცა ექსპერტები ვარაუდობენ, რომ დონ ალფიო სერიოზულ სიურპრიზებს არ შემოგვთავაზებს. მოსალოდნელია, რომ **ხუან რომან რიკელმე** ისევ ძირითადში მოხვდება. **მანუელ პელეგრინის** მიერ გამოცხადებული ბოიკოტი, რაც რომანის უთამაშებლობის მიზეზია, "ალბისელესტეს" თავკაცს ოდნავადაც არ აშინებს. მას სჯერა, რომ რიკელმე ამ შეხვედრაშიც გადამწყვეტ როლს შეასრულებს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არგენტინა | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2. ბრაზილია | 2 | 1 | 1 | 0 | 5-0 | 4 |
| 3. პარაგვაი | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 4. ურუგვაი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-1 | 3 |
| 5. ჩილე | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 6. ვენესუელა | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 7. კოლუმბია | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| 8. პერუ | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |
| 9. ბოლივია | 2 | 0 | 1 | 1 | 0-5 | 1 |
| 10. ეკვადორი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-6 | 0 |

ვილიარეალი

# რიკელმემ პელეგრინის კბილი მოუსინჯა

არგენტინის ნაკრებში გამოძახებულმა **ხუან რომან რიკელმემ** "ალბისელესტეს" ბაზაზე ადგილობრივი და ესპანელი ჟურნალისტებისთვის საინტერესო პრესკონფერენცია გამართა. სამხრეთამერიკელი ნახევარმცველი მის ირგვლივ არსებულ სიტუაციას შეეხო. მოგეხსენებათ, "ვილიარეალის" მთავარი მწვრთნელის უარყოფისა და სათამაშო პრაქტიკის არარასებობის მიუხედავად, არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი მას უსიტყვოდ ენდობა. რომანი აღიარებს, რომ ეს ფრიად უჩვეულო და უცნაური მდგომარეობაა: *"ალბათ, მსოფლიოს არც ერთ წამყვან ნაკრებში მსგავსი რამ არასოდეს მომხდარა. მეგონა, შეუძლებელი იქნებოდა ეროვნულ გუნდში თამაში, თუ კლუბში სისტემატურად ძირითად შემადგენლობაში არ მოხვდები. ჩემს შემთხვევაში კი რომელ ძირითადზეა საუბარი, როცა მიმდინარე სეზონში მოედანზე ერთი წუთიც არ გამიტარებია. რა თქმა უნდა, ეს ფაქტი გარკვეული გარემოებებითაა გამოწვეული. მიმაჩნია, რომ "ვილიარეალის" მთავარი მწვრთნელი არასწორად იქცევა, თუმცა შეუძლებელია, ამდენად სერიოზულ დაპირისპირებაში მხოლოდ ერთი მხარე იყოს დამნაშავე. პასუხისმგებლობას არ გავურბივარ. ალბათ, პელეგრინი მართალი იყო, როცა აცხადებდა, რომ მე სხვა თანაგუნდელებზე მაღლა ვაყენებდი თავს. ეს ჩემი შეცდომა გახლდათ."*

რიკელმეს მოულოდნელ განცხადებას, ესპანეთში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. "ვილიარეალის" ფეხბურთელებმა სიხარული ვერ დამალეს და იმედი გამოთქვეს, რომ პრობლემა უახლოეს მომავალში ამოიწურება და რომანი ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდება. "დიარიო ასის" მტკიცებით რიკელმემ ეს განცხადება მიზნობრივად გააკეთა, რათა პელეგრინის გული მოულბოს. როგორც ამბობენ რომანი გაუთავებელი უთამაშებლობით ძალიან დაიღალა. სხვათა შორის, ფეხბურთელის ამ ნაბიჯით **ალფიო ბასილეც** გახარებული დარჩა. "ვილიარეალის" მოთამაშეების მსგავსად მასაც დიდი იმედი აქვს, რომ სენიორ **მანუელ პელეგრინი** პოზიციას შეიცვლის მის ერთ-ერთ უსაყვარლეს შეგირდს შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსს მისცემს.



ხუან რომან რიკელმე შესარჩევი მატჩებისათვის ემზადება

რეალი

# შუსტერს დაოჯახებული შეგირდები სჭირდება

**ბერნდ შუსტერი** მიიჩნევს, რომ დაოჯახებული ფეხბურთელები გაცილებით სტაბილურადასპარეზობენ, ვიდრე მათი დაუოჯახებელი კოლეგები. *"როცა მოთამაშეთა ტრანსფერებზე ვმუშაობთ, პირველად იმით ვინტერესდებით, დაოჯახებულია, თუ არა,"* - განუცხადა შუსტერმა "მარკას". *"პროფესიონალ ფეხბურთელს საუკეთესო თვისებების წარმოსაჩენად ჯანსაღი ცხოვრების წესი სჭირდება. ისინი მხოლოდ ასე შეძლებენ გააცნობიერონ "რეალის" მნიშვნელობა. "რეალი" მხოლოდ მათი სამსახური არ არის. ისინი სამეფო კლუბის ელჩები არიან. ამიტომ გააჩნიათ ვალდებულება, გაუფრთხილდნენ "რეალის" ავტორიტეტს ყველგან და ყოველთვის."* შუსტერი რკინის დისციპლინის მომხრეა. ის თითოეული შეგირდისაგან დისციპლინის დაცვას ითხოვს. გერმანელ სპეციალისტს პრობლემები აქვს **რობინიოსთან.** 24 წლის ბრაზილიელი თავდამსხმელი დაუოჯახებელია. ამიტომ არცთუ იშვიათად თავს უფლებას აძლევს, ღამის კლუბებში გაერთოს. ბოლო სკანდალი ეკვადორთან შესარჩევი მატჩის შემდეგ მოხდა. ბრაზილიამ მეტოქეს 5:0 სძლია. ნამატჩევს ფეხბურთელებმა მოილხინეს. რობინიო მადრიდში დაგვიანებით ჩავიდა. ბრაზილიურ გაზეთებში კი გამოქვეყნდა სტატიები, თითქოს ეკვადორთან თამაშის შემდეგ რობინიომ და **რონალდინიომ** ორგია მოაწყვეს, რომ "რეალის" ვარსკვლავი სასტუმროს მომსახურე პერსონალთან მივიდა და ნომერში 40 პრეზერვატივის მიტანა (!) მოითხოვა. განრისხებულმა შუსტერმა ფეხბურთელი თავისთან დაიბარა. გულახდილი საუბრისას გაირკვა, რომ 40 პრეზერვატივის ამბავი ჟურნალისტების მიერ იყო მოგონილი. მწვრთნელმა შეგირდს აპატია, მაგრამ უკანასკნელი გაფრთხილება მისცა. მსგავსი შემთხვევის გამეორების შემთხვევაში რობინიოს სანქციები არ ასცდება. შუსტერი ამბობს, რომ "რეალში" ქცევის მკაცრად ჩამოყალიბებული წესები არსებობს და მათი დარღვევა არავის ეპატიება.



ბერნდ შუსტერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ემანუელ ადებაიორმა ტიერი ანრი ღირსეულად შეცვალა. 23 წლის ტოგოელმა ბომბარდირმა ჯერ კიდევ გასულ სეზონში დაამტკიცა თავისი ძალა და ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ არსენ ვენგერი ანრის იოლად შეელია. ფრანგი სპეციალისტის გათვლა აბსოლუტურად სწორი გამოდგა. ფენომენალური პროგრესი მარტო ციფრებითაც აისახება: მიმდინარე გათამაშებაში ადებაიორს 7 გოლი აქვს გატანილი, მაშინ, როცა მისი სრული შარშანდელი 8 გოლი გახლდათ. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც უეფას ოფიციალურმა ვებგვერდმა გამოაქვეყნა...



ინტერვიუ ემანუელ ადებაიორთან

# ტელევიზორში ფეხბურთის ყურება დიდად არ მსიამოვნებს

## მოთამაშე, რომელიც... ღმერთმა შექმნა

**- რით გაამდიდრა არსენ ვენგერმა თქვენი თამაში?**

- პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ მისი ბრძნული დარიგებების წყალობით უფრო სერიოზული გავხდი. ის დამეხმარა იმაში, რომ სწორი მოძრაობები მქონოდა. ვენგერი თავიდანვე მეუბნებოდა, რომ საკმარისად მობილური ვიყავი, მაგრამ ახლა მოედანსაც უკეთ ვხედავ, გაცილებით მეტს ვმოძრაობ უბურთოდ და ვეძებ თავისუფალ ზონებს. ამიტომაც, ახლა უფრო მეტი გოლი გამაქვს. ადრე კი იცით როგორ იყო? გოლები გამქონდა უფრო მეტად მაშინ, როცა ფლანგიდან ცენტრში შევდიოდი...

**- სხვა მწვრთნელებსა და ფეხბურთელებსაც ხომ არ დაასახელებდით, რომლებიც კარიერის განმავლობაში დაგეხმარათ, ან გეხმარებათ?**

- ასეთი ფეხბურთელი ჩემთვის ნვანკვო კანუა. სხვათა შორის, სულაც არაა დიდი ხანი, რაც მას ვიცნობ. კანუ ჩემი კუმირი იყო, მაგრამ არამარტო ჩემი, არამედ მთელი აფრიკის. მეტიც, ვიტყოდი, რომ ის მთელ აფრიკის ელჩი იყო ევროპაში. აღმაფრთოვანებს მისი კარიერა: აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელი, ჩემპიონთა ლიგა, ოლიმპიური თამაშები... მან ყველაფერი მოიგო. რაც შეეხება მწვრთნელს... ვამჯობინებ, დავასახელო ფრანსის დე ტადეო. ის "მეცის" დირექტორი იყო, როცა შვედეთში, ჭაბუკთა ტურნირის დროს შემამჩნია. მაშინვე შემომთავაზა "მეცთან" კონტრაქტის გაფორმება. მაგრამ იმ მომენტში 15 წლის გახლდით და ამის გადაწყვეტა ასე ადვილი არ იყო... თუმცა დე ტადეომ დამარწმუნა, რომ ჩემში დიდ მომავალს ხედავდა. მან ასევე მირჩია, რომ ვყოფილიყავი ის, ვინც ვიყავი და არასოდეს ამეწია ცხვირი. მის რჩევას ყოველთვის ვითვალისწინებ.

**- რით განსხვავდება აფრიკელი და ევროპელი ფეხბურთელების მენტალიტეტი?**

- განსხვავება უზარმაზარია. როგორც გითხარით, ევროპაში ჭაბუკობისას გადავედი და მაშინ ამ განსხვავებას ვერ ვამჩნევდი... მაგრამ როცა პროფესიონალი გავხდი და "მეცთან" პირველი კონტრაქტი გავაფორმე, სწორედ მაშინ მივხვდი, რომ ადაპტაციის პერიოდი ძალიან რთული იქნებოდა. ევროპაში უმკაცრესი მოთხოვნებია. აფრიკაში, უბრალოდ, გადიხარ მოედანზე და ცდილობ, მოიგო. მერე ფიქრობ მომდევნო მატჩში გამარჯვებაზე და ასე შემდეგ, კვირიდან კვირამდე... ფაქტობრივად, ფსიქოლოგიური დაწოლა არ არსებობს. ევროპაში კი აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაციაა. პრესა გაკრიტიკებს, მწვრთნელები გიყვირიან, ზოგიერთი თანაგუნდელიც აძლევს თავს უფლებას, რაღაცაზე უკმეხად მიგითითოს... მაგრამ იცით, ამას ეჩვევი და მერე და მერე ყურადღებას აღარ აქცევ. მხოლოდ ასე შეიძლება პროგრესის მიღწევა. ჩვენ ერთნაირები ვიბადებით, მაგრამ 12 წლის ასაკიდან აფრიკელ და ევროპელ მოთამაშეებს შორის სხვაობა უკვე აშკარად იგრძნობა. უკვე ამ ასაკიდან, ევროპელი ბავშვები პროფესიულ კლუბებში ვარჯიშობენ...

**- საიდან მოდის თქვენი სახელი "შეიი"?**

- ეს ნიგერიული სახელია. საქმე ისაა, რომ ჩემი მშობლები წარმოშობით ნიგერიიდან არიან. ისინი ასე მეძახიან - Olou A Sheyi, რაც თარგმანში ნიშნავს - "ის შექმნა ღმერთმა".

**- რას გრძნობთ იმ მომენტში, როცა გოლი გაგაქვთ?**

- საოცარი გრძნობაა, როცა ბურთი ბადეში აფართხალდება ხოლმე. ვერ წარმოიდგენთ, რა სასიამოვნო ხმა აქვს ბურთის ბადესთან შეხებას, რასაც მერე გულშემატკივართა ღრიალი მოსდევს. არ შეიძლება, ამან სულის სიღრმემდე არ შეგძრას. სწორედ ფანების ეს რეაქციაა ჩემთვის მთავარი მოტივატორი.

**- ყველაზე საყვარელი და დასამახსოვრებელი გოლი?**

- გოლი, რომელიც გასულ სეზონში "მანჩესტერ იუნაიტედს" "ოლდ ტრაფორდზე" გავუტანე. "არსენალმა" ის თამაში 1:0 მოიგო.

**- საუკეთესო და ნეგატიური მომენტები თქვენს კარიერაში...**

- დიდებული იყო ტოგოს ნაკრებთან ერთად მთელი აფრიკის მასშტაბით გამართული ტური, ან ის დრო, როცა 17 წლისა საფრანგეთის ჩემპიონი გავხდი, როცა "მეცი" უმაღლეს დივიზიონში გადავიდა, მერე "მონაკოსთან" ერთად ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავედი... საფრანგეთის ჩემპიონატის მეორე დივიზიონში ერთხელ საუკეთესო მოთამაშედაც დამასახელეს... და კიდევ არაერთი. ეს პერიოდი არასოდეს დამავიწყდება. და რაც შეეხება ნეგატიურს, ეს არ იყო ბევრი... მაგალითად, მახსენდება 2003 წელი, როცა საფრანგეთის თასის ნახევარფინალში გამაძევეს. იყო წითელი ბარათი "ჩელსისთან" მატჩშიც... მოედნის დატოვება არ მინდოდა და, რა თქმა უნდა, ჩემი რეაქცია არ იყო სწორი. მერე ყველას ბოდიში მოვუხადე. ის, ვინც მიცნობს, დაგიდასტურებთ, რომ ასეთი რამ არ მჩვევია. მაშინ ეს იმიტომ გავაკეთე, რომ ძალიან გავბრაზდი, არ ვიმსახურებდი გაძევებას... მაგრამ მზად ვარ, კიდევ ერთხელ მოვიხადო ბოდიში.

**- გაქვთ თუ არა ისეთი ჯილდო, რომელიც თქვენთვის განსაკუთრებულ ფასეულობას წარმოადგენს?**

- დიახ, მედალი, რომელიც "მეცთან" ერთად მოვიგე. ეს იყო ჩემი პირველი ჯილდო ევროპაში და ამიტომაცაა განსაკუთრებული. ამან დიდი ბიძგი მისცა ჩემს კარიერას.

**- როცა მოედანზე არ ხართ, ტელევიზორში უყურებთ ფეხბურთს, თუ ცდილობთ, ერთი დღე მაინც დაისვენოთ მისგან?**

- ფეხბურთი იმდენად მიყვარს, მის გარეშე ერთი დღეც ვერ წარმომიდგენია. შვებულებების დროსაც კი მეგობრებთან ერთად ვაგორებ ბურთს. ისე კი, სიმართლე გითხრათ, ტელევიზორში ფეხბურთის ყურება დიდად არ მსიამოვნებს, მირჩევნია მოედანზე ვიყო.

## მილიარდერების თავყრილობა თელ ავივში

ისრაელი-რუსეთის დღევანდელ მატჩს უმდიდრესი ადამიანების მთელი კოჰორტა დაესწრება. ებრაელმა მიმომხილველებმა დაიანგარიშეს, რომ "რამათ განის" განსაკუთრებული სტუმრების ლოჟაში მოკალათდებიან ბიზნესმენები, რომელთა საერთო ქონება 150 მილიარდ დოლარს ასცდება. ამ ბიზნესმენების აბსოლუტური უმრავლესობა რუსი ოლიგარქია. თელ ავივში **რომან აბრამოვიჩს, მიხაილ პროხოროვს, ლეონიდ ფედუნს, ლევ ლევაევს, არკადი გაიდამაკსა** და სხვა ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილ მილიარდერებს ელოდებიან. გამორიცხული არაა, თამაშზე სახელმწიფო მოღვაწეების დასწრებაც. ამ მატჩს რუსეთისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. გამარჯვების შემთხვევაში ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ფაქტობრივად გაინაღდებს საგაისო ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრებას. "რამათ განის" ვიპ-ლოჟაში ადგილების უმეტესობა რუსებმა დაჯავშნეს. მათ 2 ათას დოლარად ღირებული ბილეთები შეიძინეს. თამაშის ორგანიზატორებმა პოლიციისაგან უპრეცედენტო ნებართვა მოიპოვეს. განსაკუთრებულ სტუმრებს ლოჟაში სპირტიან სასმელებსაც კი მიართმევენ. სტადიონზე, რომელიც 42 ათას მაყურებელზეა გათვლილი, სრული ანშლაგი იქნება. არადა, ისრაელის ნაკრებისათვის ეს მატჩი ყოველგვარ მნიშვნელობასაა მოკლებული.

## პოლიციელს ბრალი წაუყენეს

იტალიის მართლმსაჯულებამ ბრალი წაუყენა პოლიციელს, რომელმაც გასულ უქმეებზე შემთხვევითი გასროლით სიცოცხლეს გამოასალმა "ლაციოს" 26 წლის გულშემატკივარი **გაბრიელე სანდრი**. გაზეთების ცნობით, ბრალდებულ სამართალდამცველს **ლუიჯი სპაკაროტელა** ჰქვია. სპაკაროტელა აღიარებს, რომ ისროლა, მაგრამ სანდრის მკვლელობას უბედურ შემთხვევას მიაწერს. ტრაგედია არეცოს მახლობლად, ბენზინგასამართ სადგურზე მოხდა. პოლიცია მეტოქე გულშემატკივართა გაშველებას შეეცადა. ამ დროს გაისმა სროლა. ტყვია მანქანაში მჯდომ სანდრის მოხვდა და სიცოცხლეს გამოასალმა. გამოძიებამ დაადგინა, რომ პოლიციელმა დაბალ სიმაღლეზე გაისროლა. მას გაუფრთხილებლობით ადამიანის მკვლელობა წაუყენეს ბრალად. პოლიციის განცხადებით, სანდრის ავტომანქანის გაჩხრეკისას აღმოაჩინეს ცივი იარაღი, რომელიც მოკლულ გულშემატკივართან ერთად მანქანაში მყოფ სხვა ტიფოზებს ეკუთვნოდათ. სანდრის მკვლელობას იტალიის სტადიონებზე ძალადობის მორიგი ტალღა მოჰყვა. ქვეყანაში შეჩერდა ქვედა დივიზიონების გათამაშება. კვლავ დღის წესრიგში დადგა სერია A-ს შეწყვეტის საკითხიც.

## ტოტენჰემის ამბიციური გეგმები

"ტოტენჰემმა" **მაიკლ ქერიკის** დაბრუნება განიზრახა. 26 წლის ნახევარმცველი "მანჩესტერ იუნაიტედში" ირიცხება, თუმცა ძირითად შემადგენლობაში იშვიათად თამაშობს. წლინახევრის წინ "მენიუმ" "შამლებს" ამ ფეხბურთელის სანაცვლოდ 28 მილიონი ევრო გადაუხადა. "ტოტენჰემი" 27 მილიონს ამზადებს. მიმომხილველთა ვარაუდით, კლუბს წარმატების მიღწევის კარგი შანსი აქვს. ლონდონელთა სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოიწურება. ისინი "სევილიისა" და ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების მარცხენა ნახევარმცველ დიეგო კაპელს აკვირდებიან. 19 წლის კაპელი 12 მილიონი ევრო ღირს. "ტოტენჰემის" თავკაცის, **ხუანდე რამოსის** კიდევ ერთი სამიზნეა "ესპანიოლის" ხენტრალური მცველი **დანიელ ხარკი**. ის 8 მილიონადაა შეფასებული. 10 მილიონი ღირს "რეალის" ბრაზილიელი თავდამსხმელი **ჟულიო ბაპტიშტა**, რომელმაც შარშანდელი სეზონი ერთწლიანი იჯარით მეორე ლონდონურ კლუბში, "არსენალში" გაატარა.

## ძანეტი რეკორდის მიჯნაზე

დღეს, 2010 წლის მუნდიალის შესარჩევ მატჩში, არგენტინის ნაკრები ბოლივიას ეთამაშება. "ალბისელესტეს" კაპიტანი **ხავიერ ძანეტი** რეკორდის მიჯნაზე დგას. თუ "ინტერის" ვეტერანი მცველი მინდორზე გავა, ეს მისი 116-ე სანაკრებო მატჩი იქნება. ძანეტიმ 115-ე შეხვედრა ოქტომბერში, ვენესუელის წინააღმდეგ ჩაატარა და რობერტო ფაბიან აიალას მიღწევა გაიმეორა. აიალა ეროვნულ გუნდს ივლისში გამოეთხოვა. ძანეტი კი მისი რეკორდის დასამხობად ემზადება. ხავიერმა ნაკრებში პირველად 13 წლის წინ, 1994 წელს ითამაშა. მის ანგარიშზეა 5 გოლი. *"როცა ნაკრებში პირველად გამომიძახეს, ვერც კი ვიფიქრებდი, რომ ამ დღეს მოვესწრებოდი. სიმართლე გითხრათ, პირად მიღწევებზე არასოდეს მიფიქრია. ეროვნულ გუნდთან საუკეთესო მოგონებები მაკავშირებს. რა თქმა უნდა, იყო იმედგაცრუებაც. საშინლად დამწყდა გული, როცა შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წამიყვანეს. წარსულზე ფიქრს აზრი არა აქვს. მირჩევნია, დღევანდელი დღით ვიცხოვრო,"* - განუცხადა ძანეტის არგენტინელ ჟურნალისტებს.

შალკე

# ასამოას სამი პრობლემა

## ალბერტ შტრაიტი, კონტრაქტი და ევროპის ჩემპიონატს მიღმა დარჩენის რეალური საფრთხე

გელზენკირხენის „შალკესა" და გერმანიის ნაკრების ფორვარდი **ჯერალდ ასამოა** თავს ისე კარგად ველარ გრძნობს, როგორც ადრე, რადგან ბოლო დროს არაერთმა პრობლემამ იჩინა თავი. დავიწყოთ იმით, რომ „შალკემ" ცოტა ხნის წინათ წინასწარი კონტრაქტი გაუფორმა ფრანკფურტის „აინტრახტის" მარჯვენა გარემარბ **ალბერტ შტრაიტს**, რომელიც **ლევან კობიაშვილის** გუნდს ზაფხულში მიაშურებს, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ შტრაიტი „შალკეში" უკვე ზამთრიდან ვიხილოთ. ასამოასთვის კი, ამ ფეხბურთელის ტრანსფერი პრობლემას იმიტომ წარმოადგენს, რომ ჯერალდი და ალბერტი ერთ პოზიციაზე თამაშობენ და შესაბამისად, შტრაიტის სახით ასას სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა.

არადა, ასამოა „შალკეს" აქტუალური შემადგენლობიდან გუნდის ყველაზე ერთგული ფეხბურთელია – ჯერალდი ძირძველი შალკელი გახლავთ და თანაგუნდელებს შორის სწორედ ის არის პირველი, ვინც გელზენკირხენული კლუბის მაისურა მოირგო (1999 წელს). *„მას მერე, რაც „შალკეს" ფეხბურთელი ვარ, ჩემს პოზიციაზე არაერთი ფეხბურთელი მოვიდა და წავიდა, მაგრამ საბოლოო ჯამში, მე მაინც ვერავინ მაჯობა. სასტარტო შემადგენლობაში ყოველთვის ვთამაშობდი და სწორედ ამიტომ, არც ალბერტ შტრაიტის მეშინია. მისი ტრანსფერი ჩემთვის აბსოლუტურად სულერთია,"* – აცხადებს ასამოა „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

თუმცა მისი ეს სიტყვები ნამდვილად არ გამორიცხავს იმას, რომ ჯერალდმა „შალკეში" დარჩენა არ ისურვოს. სეზონის ბოლოს მას გელზენკირხენულ კლუბთან კონტრაქტი უმთავრდება და ჯერაც არაა გადაწყვეტილი, გააფორმებს თუ არა ახალ ხელშეკრულებას. *„ანდრეას მიულერს უახლოეს მომავალში დაველაპარაკები. მან მითხრა, რომ ჩემთან შეხვედრა და მომავალზე საუბარი სურს. მე ამისთვის მზად ვარ,"* – ამბობს ასა და იქვე ამატებს, გამორიცხული არაფერია, არც ის, რომ გუნდიდან წავიდე, ოღონდ ეს შტრაიტის დამსახურება კი არა, იმის ბრალი იქნება, რომ შესაძლოა, უბრალოდ გუნდის გამოცვლის დრო მოვიდათ. მოკლედ, კონტრაქტი მისი მეორე პრობლემა გახლავთ. ხოლო, რაც შეეხება მესამე და ყველაზე სერიოზულ ამბავს:

ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე 204 დღეა დარჩენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ასამოას საკმარისად აქვს დრო იმისათვის

ჯერალდ ასამოა დღევანდელი ყოფით უკმაყოფილოა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## ჭადრაკი

### ევროპის გუნდური ჩემპიონატი

# ოლიმპიადისთვის მაინც შევიკრიბოთ დროულად




საქართველოს ნაკრებში საუკეთესო ლევან ფანცულაია იყო

ერთი კვირის წინ ბერძნულ კუნძულ კრეტაზე დასრულდა ევროპის გუნდური ჩემპიონატი. წარმატების იმედი გვქონდა, განსაკუთრებით ქალების გვჯეროდა - ესენი რეიტინგით მეორენი იყვნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ქალებმა მეხუთე ადგილზე დაასრულეს ტურნირი, ვაჟებმა კი - მეცამეტეზე. ვაჟთა ნაკრები რეიტინგით მეთერთმეტე იყო და თითქოს მწუხარებას ნაკლებად უნდა მივეცეთ, მაგრამ ჩვენებურთა შესაძლებლობები აშკარად მეტს სწვდება და ამადაც ველოდით უკეთეს ბოლოს.

ტურნირზე გამგზავრების წინ გუნდის მთავარ მწვრთნელს ხვიჩა სუპატაშვილს ვესაუბრეთ, რომელმაც აღნიშნა, რომ ექვსეულში მოხვედრა წარმატებად ჩაეთვლებოდათ. ასე არ მოხდა და ლოგიკურია, მიზეზებზე კვლავ ბატონ ხვიჩას დავკითხოდით.

- შედეგი ნამდვილად არადამაკმაყოფილებელია და ამის უარყოფას არ ვაპირებ. უპირველესად უნდა აღინიშნოს გუნდის არასათანადო მომზადება, რაც განპირობებული იყო მცირე ფინანსური შესაძლებლობებით. ამაზე ხშირად ვსაუბრობთ და ახლაც უნდა გავიმეორო: თუკი არ მოხერხდება გუნდის წევრთა ერთად ხანგრძლივი დროით შეკრება და მათი წვრთნა, მაღალი შედეგების მიღწევა თითქმის შეუძლებელია. ჩვენ ვერ შევძელით მოჭადრაკეთა თავმოყრა – გუნდის სამი წევრი თვენახევრის განმავლობაში საზღვარგარეთ იმყოფებოდა ტურნირებზე. მართალია საჭადრაკო პრაქტიკას იძენდნენ, მაგრამ იქიდან ძალიან დაღლილები ჩამოვიდნენ და საკუთარი შესაძლებლობები ვერ გამოავლინეს. ესეც მეორე მიზეზი. ვერ ავუვლი გვერდს იმასაც, რომ მერაბ გაგუნაშვილი ავად იყო - რაღაც ვირუსი შეეყარა და მთელი ძალით ვერ ითამაშა. არადა, მერაბი მეოთხე დაფაზე გუნდის მთავარი დამრტყმელი ძალა უნდა გამხდარიყო.

**- მრავალი მიზეზი ჩამოთვალეთ და ნება მიბოძეთ ეს გკითხოთ: თუკი გეგმა გაქვთ, მაშინ რატომ უშვებთ მოჭადრაკეებს ასეთი დიდი ხნით საზღვარგარეთ - არ შეიძლება, რომ ფედერაციამ და მთავარმა მწვრთნელმა გუნდის წევრებს მოთხოვოთ, ტურნირამდე ორიოდ კვირით მაინც შეიკრიბონ ერთად და ივარჯიშონ? ამით ხომ მათ გადაღლასაც აიცილებთ თავიდან...**

- მართალი ბრძანდებით, მაგრამ როცა თითქმის არანაირი ფინანსური წახალისება არ არსებობს, ვერ იღებენ ხელფასებს, გამარჯვების შემთხვევაში არა აქვთ იმის გარანტია, რომ პრემიას მიიღებენ, ძნელია პირობები წაუყენო.

თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ ამჯერად საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარისგან, დავით ნამგალაურისგან გამგზავრების წინ სერიოზული დაპირება მივიღეთ - წარმატების შემთხვევაში გუნდის წევრებს ერთ რომელიმე საერთაშორისო ტურნირს სრულად დაუფინანსებდნენ. ამისთვის პირადად მსურს დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ დავითს. მას ჭადრაკის დახმარების სურვილი აშკარად აქვს, მაგრამ ვინაიდან ჭადრაკი არაოლიმპიური სახეობაა, მოჭადრაკეთა პრემიებით დაჯილდოება კანონით ეკრძალება. ტურნირების დაფინანსებას კი ბიზნესსექტორისა და ხელისუფლების დახმარებით აპირებდა. სამწუხაროდ, წარმატებას ვერ მივაღწიეთ, მაგრამ თუკი მხარდაჭერა გვექნება, მომავალი აუცილებლად შევძლებთ სასურველ სიმაღლეზე ასვლას.

**- გაგუნაშვილის ავადმყოფობა ახსენეთ, თქვენ კი მას მაინც ხშირად ენდობოდით. რა აუცილებლობა იყო ავადმყოფი კაცის თამაში?**

- როცა გუნდში ერთი სათადარიგოა, ძნელია მთელი ტურნირი მაღალ დონეზე წარმართო. თანაც, მოგახსენეთ, რომ გაგუნაშვილი დამრტყმელი ძალა უნდა ყოფილიყო და მეოთხე დაფაზე ქულები მოეხვეჭა. სამწუხაროდ, დავით არუთინიანის სათამაშო სტილი ისეთია, რომ გამარჯვებებზე აქცენტს ვერ გავაკეთებდით. დათომ ჩვეულად, სტაბილურად ითამაშა და თავისი საქმე გააკეთა, მაგრამ...

**- თვლით, რომ მერაბის შედეგი ცუდია?**

- ნამდვილად, თუმცა მიზეზი მოგახსენეთ.

**- მაინც მგონია, რომ სჯობდა გაგუნაშვილი ნაკლებად დაგეტვირთათ. თუ მიზეზი ის არის, რომ მთელი ტურნირის ერთი შემადგენლობით თამაში წარმოუდგენელია, შეგახსენებთ, რომ შარშანდელ ტურინის საჭადრაკო ოლიმპიადაზე სომხეთის ნაკრებმა თითქმის მთელი ტურნირი ერთი შემადგენლობით ჩაატარა და ჩემპიონიც გახდა...**

- სომხეთის ნაკრები უძლიერესი გუნდია: პირველ დაფაზე მსოფლიო თასის მფლობელი ლევონ არონიანი ზის, მეორე დაფაზე 2700-ზე მეტი რეიტინგით მქონე ვლადიმერ აოკფიანი და დანარჩენებიც ძალიან მაღალი კლასის დიდოსტატები გახლავან. მათ ჩვენ დღეისთვის ვერ შევედრებით, ამიტომ ვერ ვაძლევთ თავს უფლებას, მსგავსი ტაქტიკით ვიასპარეზოთ. ცხადია, ჩვენი მოჭადრაკეებიც ძლიერები არიან; რამდენიმე ძლიერი დიდოსტატი ვერ მოხვდა გუნდში, - მაგალითად მიხეილ მჭედლიშვილი; ამერიკაშია და დღემდე უარობს საქართველოს ნაკრებში თამაშს ზვიად იზორია; არ გვყავდა ზურაბ აზმაიფარაშვილი და ა.შ. თუმც ეს სხვა სახის პრობლემებია...

**- თვლით თუ არა, რომ მაინც შეგეძლოთ უკეთესი შედეგის ჩვენება?**

- რა თქმა უნდა, შეგვეძლო. გადამწყვეტი გახლდათ ბოლოსწინა ტურში ინგლისთან მარცხი. არადა ყველაფერი კარგად დაიწყო: ჯობავას მაიკლ ადამსთან უკეთესი პოზიცია ჰქონდა, გელაშვილმა ჯონსონთან შავებით ისეთი პოზიცია მიიღო, რომელიც მისთვის უაღრესად ნაცნობია - თეთრებითაც კი ამ სტრუქტურას თამაშობს. მესამეზე ფანულაიას აშკარად უკეთესი პოზიცია ჰქონდა და მისი მოგება ეჭვს არ იწვევდა, - მოიგო კიდეც. სხვათა შორის, ფანცულაია ამ ტურნირზე შესანიშნავი იყო - +4-ით დაასრულა ჩემპიონატი და მესამე დაფაზე ბრინჯაოს მედალი აიღო. მის მისამართით მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. მეოთხეზე გაგუნაშვილი იჯდა და საკმაოდ ძლიერ დიდოსტატთან - კონკვისტთან, რომელიც ერთ დროს პრეტენდენტთა ტურნირებშიც კი თამაშობდა წარმატებით, შავებით ყაიმს მიაღწია.

ყველაფერი ერთმა შეცდომამ გადაწყვიტა: გელაშვილმა უხეში შეცდომა დაუშვა - ფიგურა დასვა და წააგო. ფანცულაიამ კი იმარჯვა, მაგრამ მატჩის მოსაგებად ჯობავას გამარჯვება გახდა საჭირო. ამან ბაადური აიძულა ზედმეტად გაერისკა, რაც წარუმატებელი მცდელობა აღმოჩნდა. აქ, ცხადია, გელაშვილის მოულოდნელმა მარცხმაც ითამაშა ჯობავაზე ცუდად. არადა, რომ მოგვეგო მეხუთე-მეექვსე ადგილებზე გადავდიოდით და ბოლო ტურში მოგებით, მდგომარეობას განვიმტკიცებდით.

**- ფანცულაიას კარგი თამაში აღნიშნეთ, სხვებზე რას იტყვით?**

- ჯობავამ +2-ით კი დაასრულა ტურნირი, რაც პირველი დაფისთვის კარგი შედეგია, მაგრამ მისი პოტენციალის მოჭადრაკეს მეტიც შეეძლო. თამაზ გელაშვილმა არადამაკმაყოფილებლად ითამაშა, - ასეთი ჩავარდნა მას პირველად მოუვიდა - როგორც წესი, ის ძალიან კარგად თამაშობს გუნდში. დავით არუთინიანმა დამაკმაყოფილებლად ითამაშა. მას მეტიც შეუძლია და იმედია, მომავალში მეტად აქტიური და აგრესიული იქნება და ქულებსაც მოუტანს გუნდს. ცხადია, გაგუნაშვილის თამაში უარყოფითად უნდა შეფასდეს, თუმც მიზეზებს აღარ გავიმეორებ.

**- დაბოლოს, რა იქნება ხვალ?**

- ჩემი დიდი რწმენით, თუკი იანვრიდანვე არ შემუშავდა გეგმა და მზადება დაუყოვნებლივ არ დავიწყეთ, მაისში გასამართ ოლიმპიადაზე კარგ შედეგს ვერ მივაღწევთ. აუცილებელია, მოჭადრაკეთა ერთად თავშეყრა, წინასწარვე უნდა განისაზღვროს ნაკრების წევრების და კანდიდატების ვინაობა და სერიოზულად შევუდგეთ მუშაობას. უმთავრესი მოთხოვნა იქნება, ტურნირამდე ერთი თვით ადრე მაინც შევიკრიბოთ.

**- გამოდის, რომ შესაძლებელია სრულყოფილი შეკრება, სადაც პირად ინტერესებზე მაღლა მოჭადრაკეები გუნდისას დააყენებენ...**

- რა თქმა უნდა, შესაძლებელია და ამაზე არც ვდავობთ, თანაც ოლიმპიადაა და იქ წარმატებისთვის ყველამ ყველაფერი უნდა გაიღოს. სასიამოვნოა, რომ ჭადრაკის ფედერაციაც ყველა ღონეს ხმარობს პირობების შესაქმნელად; სპორტის დეპარტამენტიც გულისყურით ეკიდება ჩვენს პრობლემებს. თუკი ბიზნესმენებიც გამოგვეხმაურებიან და შეგვეწევიან, გარწმუნებთ, შერცხვენილები არ დავბრუნდებით, - პირიქით, ყველაზე თამამ პროგნოზებსაც კი გავაკეთებდით და შევასრულებდით კიდეც - მიუხედავად მსოფლიოში არნახულად გაზრდილი კონკურენციისა, ქართულ ჭადრაკს ერთ-ერთი მთავარი სიტყვა მაინც ეთქმის...

**ზვიად შათირიშვილი**

## პეკინი 2008

# სამთავრობო კომისია პეკინისთვის

ტრადიციულად, ზაფხულის თუ ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის უკეთ მოსამზადებლად და ორგანიზაციული საკითხების ხელისუფლების დონეზე ოპერატიულად გადასაწყვეტად, იქმნება სამთავრობო კომისია, რომელშიც შედიან ქვეყნის იმ სამინისტროების და სხვა სახელმწიფო, თუ საზოგადოებრივი სტრუქტურების მაღალი რანგის ხელმძღვანელები, რომლებსაც აუცილებელი ორგანიზაციული საკითხებისა დაწამოჭრილი პრობლემების მოგვარებაა ოპერატიულად ხელეწიფებათ.

ქვეყნის პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით პეკინის 2008 წლის ზაფხულის XXIX ოლიმპიური თამაშებისთვის საქართველოს სპორტსმენთა მომზადების ხელშემწყობი სამთავრობო კომისია შეიქმნა შემდეგი შემადგენლობით:

**მიხეილ სააკაშვილი** - საქართველოს პრეზიდენტი, კომისიის თავმჯდომარე;

**ლადო გურგენიძე** - საქართველოს პრემიერ-მინისტრი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

**გიორგი გაბაშვილი** - საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის მინისტრი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

**დავით ნამგალაური** - საქართველოს კლტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

**გოგი თოფაძე** - საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

**ნიკოლოზ გილაური** - საქართველოს ფინანსთა მინისტრი;

**ივანე მერაბიშვილი** - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი;

**გელა ბეჟუაშვილი** - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი;

**ალექსანდრე ლომაია** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი;

**დავით კეზერაშვილი** - საქართველოს თავდაცვის მინისტრი;

**გიორგი არველაძე** - საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი;

**დავით ტყეშელაშვილი** - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი;

**გიორგი უგულავა** - ქალაქ თბილისის მერი;

**გიორგი მელაძე** - ქალაქ თბილისის ვიცე-მერი;

**ალექსანდრე ჩიკვაიძე** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი;

**ალექსანდრე აპლაკოვი** - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი;

**ომარ ხუბაევი** - ყოფილი სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი;

**ვლადიმერ ვარძელაშვილი** - საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილე;

**ლერი ხაბელოვი** - საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი;

**ემზარ ზენაიშვილი** - საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი;

**გიორგი გალდავა** - საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე;

**ირაკლი სამყურაშვილი** - საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სპორტის სამმართველოს უფროსი;

**დავით კასრაძე** - საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი.

## ჩოგბურთი

# მალიორკაზე ქვაცაბაია ყოჩაღობს

კუნძულ მალიორკაზე, კალა მილორში გრძელდება ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი (10 ათასი დოლარი), რომელშიც კარგად ასპარეზობს 19 წლის **სოფიო ქვაცაბაია** (741). ქართველმა სპორტსმენმა ძირითად ბადეში საკვალიფიკაციო ტურნირის მოგების წყალობით გაიკვლია გზა და იქაც ყოჩაღად გამოიყურება. პირველი წრის გადალახვს შემდეგ სოფიოს მეტოქე მე-2 ნომრად განთესილი ესპანელი **ევა ფერნანდეს-ბრუხესი** (439) იყო. რეიტინგში სამასადგილიან განსხვავებას, მშობლიური კორტების უპირატესობასთან ერთად ესპანელის მხარეს იყო შარშან ბაქოში გამართული ურთიერთშეხვედრა, რომელშიც ფერნანდეს-ბრუხესმა 6:0, 6:0 მოუგო ჩვენებურს, რაც ჩოგბურთში საკმაოდ იშვიათია. სოფიომ ამჯერად არაფერი დაუთმო მეტოქეს და ის ორ სეტში დაამარცხა - 6:2, 6:4. კალა მილორის ტურნირის მეოთხედფინალში ქვაცაბაიას მეტოქე 18 წლის რუსი **მარინა მელნიკოვაა** (787), რომელიც სოფიოს მსგავსად საკვალიფიკაციო ეტაპიდან გავიდა მეოთხედფინალში.

17 წლის **ანა ტატიშვილმა** დაასრულა ასპარეზობა 50-ათასიან ლა ქუინტას (აშშ) ტურნირში. ქართველი ჩოგბურთელი მერვედფინალში მე-3 ნომრად განთესილ ამერიკელ **ეშლი ჰარკლოუდს** ხვდებოდა, რომელიც მსოფლიოს 76-ე ჩოგანია. სამწუხაროდ, ჰარკლროუდის უპირატესობა აშკარა იყო - 1:6, 1:6, მეოთხედფინალშიც ამერიკელი გავიდა.

ორშაბათიდან ფრანგულ პუატიეში 100-ათასიანი ტურნირი იწყება, რომლის საკვალიფიკაციო ბადეში საქართველოს პირველ ჩოგან ქალ **მაკა ჩახნაშვილს** უნდა ეასპარეზა, თუმცა მაკა ტურნირიდან მოიხსნა. მომავალ კვირაში ჩვენთვის საინტერესო მხოლოდ ბარსელონას ტურნირი (10 ათასი დოლარი) იქნება, რომლის ძირითად ბადეში **მანანა შაფაქიძე** ითამაშებს, საკვალიფიკაციოში კი სოფიო ქვაცაბაია.

## ხელბურთი

# ორი გოლი და ორი გაძევება

გერმანულ ბუნდესლიგაში მორიგი მატჩი გამართა **სერგო დათუკაშვილის** "ლიუბეკმა". ქართველი ხელბურთელის გუნდმა პირველადგილოსან "ჰამბურგს" უმასპინძლა და მართალია, ბოლომდე თანაბრად ებრძოლა, მაგრამ მაინც წააგო – 21:25. "ლიუბეკი" კვლავაც მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების რეალური კანდიდატია. ჩვენებურის კლუბი ბოლოსწინა, მეჩვიდმეტე ადგილზე იმყოფება და მეთექვსმეტეადგილოსან "მინდენს" მხოლოდ ბურთების უარესი სხვაობით ჩამორჩება. ბუნდესლიგიდან ორი გუნდი ვარდება.

სამწუხაროდ, დათუკაშვილი "ჰამბურგთან" საკმაოდ ინერტულად გაისარჯა. მან მხოლოდ ორი გოლი შეაგდო, ამდენივეჯერ კი ორი წუთით გააძევეს მსაჯებმა. როგორც ჩანს, მეორე გაძევების შემდეგ, სერგო ფრთხილად თამაშობდა წითელი ბარათის შიშით და მისი გოლმწირობაც ალბათ ამას უნდა მიეწეროს... დათუკაშვილმა ბომბარდირთა დავაშიც დაკარგა მოწინავე პოზიცია. მან მეოთხე ადგილამდე ჩამოინაცვლა 12 მატჩში გატანილი 82 გოლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ნუგზარ სუარიძის ფოტო

საქართველოს ჩემპიონატი. V ტური. პრესკონფერენცია

# პირველყოფილ წყობაში, ვერის ბაღში ვბრუნდებით

**18 ნოემბერი. კვირა**

ვერის ბაღი

13:30 დინამო-მაკაბი
15:30 ავიამშენი-აზოტი
17:30 ვითა-თსუ

კლუბ „12 მაგიდაში" მეხუთე ტურისადმი მიძღვნილი წინასამატჩო პრესკონფერენცია გაიმართა. შეხვედრა კალათბურთის ფედერაციის პრეს-ცენტრის ხელმძღვანელმა **ზურაბ თალაკვაძემ** სამწუხარო ცნობით გახსნა - კვირას მეხუთე ტურის შეხვედრები სპორტის სასახლიდან ვერის ბაღის საკალათბურთო სასახლეში გადაინაცვლებსო. ეს ამბავი 21-ე საუკუნიდან პირველყოფილ წყობილებაში დაბრუნების ტოლფასია, რადგან ვერის ბაღის არენაზე (რომელიც რომის კოლიზეუმივით უმოქმედოა და ანტიკვარად ქცეულა) ტაბლოც არ ვარგა, მოედანიც და... მხოლოდ კედლებია თვალისასახვევად შეღებილი.

მატჩების ვერაზე გადატანის მიზეზი ასეთია - სპორტის სასახლეში ნაციონალური მოძრაობის ყრილობა იგეგმება. იმედი დავიტოვოთ, რომ მეხუთე ტურისთვის კალათბურთი სპორტის სასახლეში დაბრუნდება.

ახლა „12 მაგიდას" მივუსხდეთ. პრესკონფერენციაზე მოსულმა „აზოტის" თავკაცმა **დავით უსტიაშვილმა** აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა მატჩები სპორტის სასახლეში გამართულიყო, მაგრამ ვერის ბაღის დარბაზში ქართული კლუბები დიდი ხნის განმავლობაში თამაშობდნენ და არც ეს არენაა კალათბურთელთათვის უცხო, ყველა გუნდი თანაბარ პირობებში იქნებაო.

*„ჩემი გუნდი ამ ეტაპზე კარგ ფორმაშია, რადგან ვეცადეთ, ევროთასის მატჩებს მაქსიმალურად მომზადებულები შევხვედრიყავით. მართალია, ამსტერდამული მატჩის შემდეგ გუნდი ამერიკელმა ბელტონ რივერსმა დატოვა, მაგრამ არა მგონია მისი წასვლა „აზოტის" თამაშზე უარყოფითად აისახოს. დუდუ დადიანის მემორიალი ხომ რივერსის გარეშე მოვიგეთ. ჩემპიონატშიც მაღალი მიზნებისთვის ვიბრძვით და „ავიამშენთან" კვირის მატჩის მოგებას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს."* - განაცხადა **დავით უსტიაშვილმა.**

„აზოტის" უკანახაზელმა **ბესიკ ლეჟავამ** დასძინა, რომ ბელტინ რივერსი საქართველოდან საფრანგეთში გაფრინდა და პარიზის „რასინგთან" ანარმოებს მოლაპარაკებას. ბესომ „ამსტერდამთან" ევროთასის მატჩიც გაიხსენა:

*„თბილისში საინტერესო შეხვედრა გამოგვივიდა. მეტოქეს ბოლომდე ვებრძოლეთ და გამარჯვებამდე ცოტა დაგვაკლდა. განმეორებით შეხვედრაში მოგების შანსი არ გვქონდა, თუმცა არც ჰოლანდიაში შევირცხვინეთ თავი. თუ ამ ტურნირში გაისადაც ვითამაშებთ, გამოცდილებამომატებულები გაცილებით უკეთ ვითამაშებთ. არც კვირას, „ავიასთან" ვაპირებთ თავის შერცხვენას."*

რუსთაველთა ფორვარდმა **რეზო დიდიამ** ძირითადად „ავიატორებთან" დაპირისპირებაზე ილაპარაკა:

*„შარშანდელის მსგავსად, ამ ჩემპიონატში ჩვენს მთავარ კონკურენტად „ავიამშენი" მიმაჩნია. აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ყოველ დაპირისპირებას. დაე ძლიერმა გაიმარჯვოს."*

„ავიამშენის" თავკაცს **ლევან მოსეშვილს** სასაუბრო საკმაოდ ჰქონდა. იგი თანაშემწის, **ვაჟა მხეიძის** დისკვალიფიკაციის ამბავსაც შეეხო, გუნდის თამაშსაც და მსაჯობის თემასაც:

*„კლუბის დაარსების შემდეგ საქართველოს ჩემპიონატში ამაზე ცუდი სტარტი არ გვქონია. ვეცდებით თამაში გამოვასწოროთ და სატურნირო ცხრილში საკადრის პოზიციაზე ავინაცვლოთ. წინა ტურში არასასიამოვნო ფაქტი დაფიქსირდა. ამ საკითხთან მიმართებაში ჩემი პოზიცია ასეთია: მსაჯიც ადამიანია, მასაც მოსდის შეცდომები, მაგრამ თსუსთან მატჩში განზრახ შეცდომებს ადგილი არ ჰქონდა. ფედერაციას კარგად ახასიათებს წეს-რიგის დამრღვევთა მიმართ პრინციპულობის გამოჩენა. ვფიქრობ, ჩვენი წარმომადგენლების დასჯა კარგი მაგალითი იქნება სხვებისთვის. თსუ-სთან დამარცხება ლოგიკური იყო, რადგან კალათბურთი მხოლოდ ერთ პერიოდში ვითამაშეთ. ზოგიერთი სპორტსმენი წაგებაში პირველ რიგში მწვრთნელს ადანაშაულებს, შემდეგ - მსაჯს, მერე - თანაგუნდელს, ბოლოს საკუთარ თამაშში ეძებს ხარვეზებს. წარმატება მაშინ მოვა, როცა პირველ რიგში ყველა საკუთარ თავში დაინახავს წარუმატებლობის მიზეზს."*

ლევან მოსეშვილს ვკითხეთ, მსაჯების გახშირებული შეცდომები გუნდების სათამაშო დონის გათანაბრებით ხომ არაა განპირობებული, რადგან დღეში სამ-სამ დაძაბულ მატჩს არბიტრები ვერ აუდიან... მწვრთნელმა მოკლედ გვითხრა - გუნდების გაძლიერების კვალდაკვალ, მსაჯებიც პროგრესს განიცდიანო.

ქუთაისელი გამთამაშებელი **ბუბა კვიმსაძე:**

- „ავიამშენი" ახალი სეზონის წინ ძირ-ფესვიანად განახლდა და გუნდს შეთამაშება სჭირდება. სტარტზე განცდილი ორი წაგების მთავარი მიზეზიც ესაა. ვეცდებით, შრომითა და ერთსულოვნებით სიტუაცია უკეთესობისკენ შევცვალოთ და ის თამაში ვუჩვენოთ, რასაც ჩვენგან ქომაგი ელის."

ფორვარდმა **დავით ბარბაქაძემ** აღნიშვა, რომ „ავიამშენი" შემადგენლობის მხრივ წელს უფრო ძლიერია, ვიდრე - შარშან:

*„დარწმუნებული ვარ, რომ მატჩიდან მატჩამდე თამაშს გავაუმჯობესებთ. შემობრუნების წერტილად „აზოტთან" დაპირისპირება უნდა იქცეს, რადგან უკანდასახევი გზა არა გვაქვს. რუსთაველებთან წაგება ძალიან უკან დაგვხევს."*

საგანგებო მდგომარეობის გამო გადადებული მეოთხე ტურის თარიღები უახლოეს დღეებში დადგინდება

**ვაჟა სიმონიშვილი**

# ფაჩულია ოლ სტარის კანდიდატია



ზედიზედ მეორე წელიწადია NBA-ს ერთადერთი ქართველი კალათბურთელი **ზაზა ფაჩულია** „ყველა ვარსკვლავის" მატჩის კანდიდატთა შორის ხვდება. ძნელი სათქმელია, რით დაიმსახურა წლეულს (შარშან გასაგებია - ქართველმა ცენტრმა მართლაც ბრწყინვალედ დაიწყო) ზაზა ფაჩულიამ ამ სიაში მოხვედრა. ფაქტია, ზაზამ ჯერ მხოლოდ ორ მატჩში მიიღო მონაწილეობა, რადგან ტრავმის გამო სეზონის პირველი ორი კვირა გამოტოვა. დასავლეთის და აღმოსავლეთის გუნდების სასტარტო ხუთეულებს ფანების გამოკითხვა გამოავლენს, რომელიც რამდენიმე მეთოდით (მათ შორის, ინტერნეტით) ხორციელდება. ფანები მხოლოდ ხუთეულებს შეარჩევენ, დანარჩენ კალათბურთელებს კი უკვე „ყველა ვარსკვლავის" მატჩის გუნდების მწვრთნელები დაამატებენ, თუმცა ისინიც გარკვეულწილად გაითვალისწინებენ, არჩევნების შედეგებს. ზაზა ფაჩულია აღმოსავლეთის გუნდის კანდიდატია ცენტრის პოზიციაზე, მას 11 კონკურენტი ჰყავს: **ენდრიუ ბოგუტი** (მილუოკი), **ედი კარი** (ნიუ იორკი), **სემუელ დეილმბერტი** (ფილადელფია), **დუაიტ ჰოვარდი** (ორლანდო), **ჟიდრუნას ილგაუსკასი** (კლივლენდი), **ნენად კრსტიჩი** (ნიუ ჯერსი), **ემეკა ოკაფორი** (შარლოტი), **ჯერმეინ ონილი** (ინდიანა), **შაკილ ონილი** (მაიამი), **ბენ უოლესი** (ჩიკაგო), **რაშიდ უოლესი** (დეტროიტი). ზაზასთვის ხმის მიცემა ამ მისამართზე შეიძლება: http://www.nba.com/allstar2008-/asb/eng/landing.jsp

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# მეტრეველი ათიანს ჩამოცდა

სიენას „მონტეპასკიში" მოთამაშე ახალგაზრდა ქართველი ცენტრი **ნიკა მეტრეველი** იტალიის ორ ასაკობრივ ჩემპიონატში თამშობს - 19-წლამდელებში და 17-წლამდელებში.

ლოგიკურია, რომ კადეტთა ნაკრების ყოფილი წევრი უფროსებში შედარებით მოკრძალებული სტატისტიკით გამოირჩევა. თუ ჭაბუკებში 34 ქულამდეც ადის, ახალგაზრდებში 10-15 ქულას არ სცილდება. თუმცა, ბოლო მატჩში მან 10-ქულიან ზღვარს ვერ მიაღწია - „ვირტუსს" 9 ქულა ჩააგდო.

19-წლამდელთა იტალიის ჩემპიონატის მესამე ტურში ნიკას „მონტეპასკიმ" მორიგი დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად სიენელებმა თანაქალაქელი „ვირტუსი" გაანადგურეს -105:74.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**




ეროვნული ბიბლიოთეკა



# დიდოსტატები: ბურთით წყალზე და ცხოვრებაში



თბილისის „დინამო“. 1963 წელი. პირველ რიგში (მარცხნიდან): ვიქტორ რომანოვი, გივი ჩიქვანაია, ნოდარ გვახარია, ვასილი სანაძე, ირაკლი ჩხიკვაძე, ზურაბ ლომიძე; მეორე რიგში: ოთარ მიმინოშვილი, ლერი გოგოლაძე, ჯუმბერ ნიკლაური, ბორის მარგიევი, ბორის მეგედი.

საჯაროდ, ადრე არავის მიუქცევია ყურადღება, მაგრამ ფაქტია: არც ერთ სპორტის სახეობას საქართველოში თავის რიგებიდან იმდენი გამორჩენილი პიროვნება არ გაუყვანია საზოგადოებრივ სარბიელზე, რამდენიც წყალბურთს. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, დიდი სპორტული ასპარეზიდან წასვლის შემდეგ ძირითად პროფესიაში წარმატებული მოღვაწეობით გამოიჩინეს თავი სხვადასხვა თაობის წყალბურთელებმა. მათ შორის, როგორც თავად ვეტერანი წყალბურთელი, ისტორიკოსი, პროფესორი **ოთარ მიმინოშვილი** წერს: *„იყვნენ და არიან მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები და მეცნიერებათა კანდიდატები, დოცენტები. მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობისა და საწარმოების ხელმძღვანელები, სპორტული ორგანიზაციებისა და კულტურის დაწესებულებების მეთაურები, უმაღლესი და საშუალო სკოლის პედაგოგები, ცნობილი მწვრთნელები, სამეურნეო დარგის მუშაკები, ცნობილი ფირმების, ბანკების, ბიზნესის წარმომადგენლები... სპეციალობით იურისტები, ეკონომისტები, ისტორიკოსები, ინჟინრები, ექიმები, ფილოლოგები, გეოლოგები, ხელოვნებისა და სხვა დარგების, სპორტის სახეობათა პროფესიონალები“.*

ოთარ მიმინოშვილი ქართული წყალბურთის უფროსი თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგაც სულიერად დარჩა იმ სამყაროში, სადაც თავის თაობასთან ერთად გაატარა ახალგაზრდობის ყველაზე ძვირფასი წლები. მემკვიდრეები მუდამ გრძნობდნენ მის თანადგომას. დიდებულად ეხერხება წერაც, ქართული სპორტის არაერთი მოამაგის ღვაწლ-დამსახურება შემოუნახა ქართული სპორტის ისტორიას მისმა კალამმა.

როგორც ქართული სპორტის ცოცხალ მემატიანეს, ბატონ ოთარს სათქმელი ჯერ კიდევ ბევრი აქვს. განსაკუთრებით მისი ცხოვრების მუდმივ თანაგზავრ წყალბურთში. და, ამიტომაც, შემთხვევითი სულაც არ არის, რომ ჩვენი გაზეთის ახალ რუბრიკას „დიალოგი ლელოსთან“, სწორედ ამ დიდებულ პიროვნებასთან საუბრით ვიწყებთ.

**ბატონო ოთარ, უპირველესად მინდა გითხრათ დიდი მადლობა „ლელოსთან“ დიალოგზე თანხმობისთვის. არ დაგიმალავთ, თქვენზე უკეთესი ექსპერტის და მოსაუბრის გამოძებნა, რუბრიკის დებიუტში, ნამდვილად გაგვიჭირდებოდა. თქვენთანაც და მკითხველთანაც ამთავითვე შევთანხმდეთ - დიალოგი არ იქნება ხანმოკლე და „სასმენად საამო“...**

- თანახმა ვარ.




პეტრე ბრეუსი (მარცხნივ) და პეტრე მშვენიერაძე (მარჯვნივ)

**- როგორ ფიქრობთ, რით უნდა დავიწყოთ დიალოგი?**

- შეხსენებით...

**- უკაცრავად, რისი შეხსენება გსურთ?**

- ძველ და ახალ წყალბურთელებს, ძველ და ახალ გულშემატკივარს, მკითხველს და, რაც მთავარია, დღევანდელ ელიტარულ საზოგადოებას შევახსენებ, ჩვენი ელიტარული სპორტის სახეობის ისტორიის ერთ ეპიზოდს. დავიწყებ დიდი იუმორით გაჯერებული შემთხვევით, რომელიც, ჩვენი აზრით, ქართული წყალბურთის დღევანდელ მდგომარეობასაც ზუსტად „მოერგება“...

გასული საუკუნის 50-იან წლებში, თბილისში, ანეგდოტად დადიოდა ამბავი, რომელიც გადახდა მოსკოვში ერთ ქართველ გულშემატკივარს და, რომელიც, სხვათა შორის, მაშინ დაიბეჭდა იუმორისტულ ჟურნალ „ნიანგში“.

**- ვიცი რაც უნდა თქვათ, მეც კარგად მახსოვს ანეკდოტად ქცეული ის ნამდვილი ამბავი. მაგრამ თქვენი მონაყოლი მაინც სულ სხვაა. მით უფრო, რომ ახალი თაობის წყალბურთელებისა და ქომაგებისთვის, რომლებიც ამ ამბავს, ალბათ, თქვენგან შეიტყობენ პირველად, გისმენთ...**

- მოსკოვში მივლინებაში მყოფი ქართველი შემთხვევით გაიგებს, რომ იმ დღეს მოსკოვის „დინამოსა“ და თბილისის „დინამოს“ წყალბურთელთა მატჩია. სასწრაფოდ მიაშურა აუზს. თამაში დაწყებულია, დიქტორისგან გუნდების წარდგინებას ვერ მიუსწრო... მოკლედ, გადის რამდენიმე წუთი, წელს ზემოთ წყლიდან ამომხტარ ულვაშა ქართველს შორიდან გააქვს ულამაზესი გოლი. ოვაციამ გადაუარა ტრიბუნებს. გადის კიდევ რამდენიმე წუთი, მეორე სხარტი მოთამაშე, მაღალტექნიკური ილეთით, მეორე გოლს აგდებს... ისიც ქართველია, გვარებს აცხადებს დიქტორი. ის ჩვენი გულშემატკივარი სიხარულისგან გადაირია... მაგრამ ერთი კი აფიქრებს, ქართველის მიერ გოლის გატანაზე, დიქტორის ყოველ გამოცხადებას მთელი ტრიბუნები სიხარულის ყიჟინით რატომ ეგებება... დამთავრდა თამაში და... დიქტორი საბოლოო ანგარიშს აცხადებს - 6:0 გაიმარჯვა მოსკოვის „დინამომ“... გაოგნდა ქართველი გულშემატკივარი და შერცხვენილმა დატოვა იქაურობა.

**- იმის თქმა გინდათ, რომ იმ დროს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის, მოსკოვის „დინამოს“ შემადგენლობა მთლიანად თითქმის ქართველებით იყო დაკომპლექტებული?**

- დიახ, ამის თქმა მინდა და იმის დამატებაც, რომ მაშინ, თბილისის „დინამოს“ შემადგენლობა ორიოდე ქართველს ძლივს ითვლიდა. საერთოდ, გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული ქართველებთან ერთად სხვა ერონების მრავალი წარმომადგენელი აღიზარდა ქართულ საწყალბურთო სკოლაში. ტრადიცია გრძელდება.

**- ზემოთ თქვით, ამბავი რომელსაც გიამბობთ, დღევანდელობასაც „მოერგებაო“...**

- კი ბატონო. ჩვენდა საუბედუროდ, დღესაც, რუსეთში, გერმანიაში, ხორვატიაში, თურქეთში, საბერძნეთში და კიდევ ვინ იცის, სად თამაშობენ უკვე ჩამოყალიბებული ჩვენი ოსტატები და ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდა წყალბურთელები.

**- რაკი განწყობილი ვართ ვრცელი საუბრისთვის, მოდით, საქართველოში წყალბურთის სათავეებს დავუბრუნდეთ.**

- წყალბურთის ისტორიას განკერძოებულად წყალთა სხვა სახეობებისგან ვერ განვიხილავთ. ყველაფერი იცით საიდან იწყება? ძალიან შორეული წარსულიდან, წყალთან ქართული ტომების ურთიერთობიდან. მე თქვენ გეტყვით და წყალი გავკლდა - ზღვა, წყალუხვი მდინარეები, ტბები... ჩვენი წინაპრები ფლობდნენ ცურვის უამრავ ხერხს, რომელიც განსაკუთრებული მრავალფეროვნებითაა შემორჩენილი დასავლეთ საქართველოში. ზღვის ტალღებზე შეცურება, ტალღებს გამოყოლა, მდინარის აღმა აჭრა, თუ გაღმა გაჭრა... გაცურვა ტანსაცმლით, იარაღით, სათევზაო საშუალებებით, მდინარის მორევში ამოყვინთვა და სხვა, სწორედ ის ტრადიცია და საფუძველი იყო, რამაც შემდგომში ხელი შეუწყო ჩვენს ქვეყანაში თანამედროვე საწყლოსნო სპორტის განვითარებას... აღმოსავლეთ საქართველოშიც გააჩნდათ შესაბამისი ტრადიციები.

**- როდის იძენს ჩვენში ხალხური საწყლოსნო მემკვიდრეობა სპორტის სახეობების შინაარსს?**

- თუ მხედველობაში გაქვთ სპორტის თანამედროვე საწყლოსნო სახეობები, პასუხი თქვენს შეკითხვაზე ცალსახაა - XX საუკუნის დასაწყისიდან.

**- რა თქმა უნდა, შავი ზღვის სანაპიროდან...**

- უდავოდ, საზღვაო ქალაქებში ბათუმში, ფოთში და სოხუმში იმართებოდა მარათონული გადაცურვები, რაშიც ყველაზე უკეთ ვლინდებოდა ქართველი კაცის ბუნება, მისი შეუპოვარი ხასიათი. ასაკს არ ჰქონდა მნიშვნელობა.

**- სპორტსმენებიც ხომ პირველად აჭარიდან და აფხაზეთიდან გამოჩნდნენ. უპირველესად, ცურვა გვაქვს მხედველობაში.**

- დიახ, საქართველოს მოცურავეებმა დაიწყეს მონაწილეობა სსრ კავშირის პირველობებში და წარმატებითაც. საქართველოდან სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები პირველებმა მოიპოვეს სოხუმელმა ვლადიმერ ლავრინენკომ და ბათუმელმა პეტრე ბრეუსმა.

**- წყალბურთზე რას იტყვით?**

- აქაც შორიდან დავიწყებ. წყალბურთის აღმოჩენას უნდა ვუმადლოდეთ... ფეხბურთს. თუ რატომ ახლავე გეტყვით. ინგლისის საკურორტო ქალაქ ბორნუთში ერთ მშვენიერ დღეს ნიჩბოსანთა კლუბის წევრებმა გადაწყვიტეს სალაღობოდ ეთამაშათ ფეხბურთი წყალში.

**- რომელ წელს მოხდა ეს ამბავი?**

- 1869 წელს.

**- გამოდის, რომ წყალბურთი არა მხოლოდ ფეხბურთის, ნიჩბოსნების ნაჩუქარიცაა...**

- კი ბატონო, ასე გამოდის.

**- მერე რა ხდება?**

- ნიჩბოსნების იმ ანცობის ამბავმა ლონდონშიც ჩააღწია. თამაში, ვთქვათ ასე, პირობითად, ძალიან მოეწონათ და ლონდონელმა მოცურავეებმა დაიწყეს გართობა. 1870 წელს კი პირველი წესებიც შეიმუშავეს.

**- როდის ჩამოაღწია წყალბურთმა საქართველოში?**

- ჯერ ჩვენში ტერმინის შემოღების შესახებ. თავის დროზე სპორტული ტერმინების დამკვიდრება ადვილი არ იყო. ბევრს ფეხბურთს „ფუტბოლი“ ურჩევნოდა, ჩოგბურთს - „ტენისი“ და ა.შ. დღესაც სადაოა, რა სჯობს, კეტბურთი თუ „ბეისბოლი“... თავის დროზე წყალბურთს „წყლის ფეხბურთს“, „წყლის რაგბს“, სულაც „წყლის ხელბურთს“ უწოდებდნენ.

**- ვიცით, რომ საქართველოში წყალბურთს პირველად, ჩვენი ახალგაზრდობა, გასული საუკუნის 20-იან წლებში ეზიარა. 1927 წელს კი წყალჯომარდობის დღესასწაულის პროგრამით ჩატარდა პირველი შეჯიბრება. ინგლისისა არ იყოს, ჩვენთანაც წყალზე ბურთის თამაშის თავდაპირველი სარბიელი წყალჯომარდობის სადგურები იყო.**

- გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან თბილისში, ჯერ მდინარე მტკვარზე, ხოლო შემდეგ სანაპიროზე აგებული, იმდროინდელი ევროპული სტანდარტების ღია საცურაო აუზში, იგულისხმება 50 და 25 მეტრიანი აუზები სახტომი კოშკებით და „საჭყუმპალაოთი“ ბავშვებისთვის და თბილისის „დინამოს“ სტადიონზე მცირე ზომის დახურული საცურაო აუზი, ფაქტობრივად ჩაეყარა საფუძველი თანამედროვე სპორტის საწყლოსნო სახეობების განვითარებას. სწორედ მაშინ შეიქმნა წყალბურთელთა პირველი გუნდიც. როგორც ყველა ქვეყანაში, ჩვენთანაც მოცურავეები იყვნენ წყალბურთელებიც. 50-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირი საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში ჩაერთო და საქართველოშიც გაიზარდა ყურადღება საწყლოსნო სპორტის სახეობებისადმი.

**- მაგრამ გადიოდა წლები, თვალსაჩინო წარმატებებისთვის კი არ მიგვიღწევია...**

- ქართული საწყლოსნო სპორტის აღმავლობა იწყება 1956 წლიდან, კერძოდ, სსრ კავშირის ხალხთა I სპარტაკიადიდან, რომელიც იმ წელს ჩატარდა მოსკოვში. ამ პრესტიჟულ ასპარეზობაზე საქართველოს წყალბურთელებმა II საპრიზო ადგილი და ვერცხლის მედლები დაიმსახურეს. ეს იყო დიდი ნახტომი წინ. ქართული წყალბურთის აღზრდილებმა პეტრე მშვენიერაძემ, ნოდარ გვახარიამ და პეტრე ბრეუსმა 1956 წლის ოლიმპიურ თამაშებში ბრინჯაოს მედლები მოიგეს სსრკ ნაკრებში. მანამდე 1952 წელს ოლიმპიადის მონაწილე იყო პეტრე მშვენიერაძე.

**- წარმატებები თავისთავად არ მოვიდოდა. რა იყო ამის წინაპირობა?**

- დიდი იყო ამ საქმეში სამშობლოში დაბრუნებული მწვრთნელების როსტომ ჩაჩავას და მოთამაშეების - როსტომის ძმის, გუნდის ლიდერის ზურაბ ჩაჩავას და მაშინ უკვე სახელგანთქმული ნოდარ გვახარიას წვლილი. თბილისის „დინამოს“ გუნდში მათ დახვდათ ნიჭიერი ახალგაზრდები ვლადიმერ გოიაშვილი, ირაკლი ჩხიკვაძე, ბორის მეგედი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, ვლადიმერ კლიმენკო, კოკა დარახველიძე და სხვები.

**- მაგრამ ის იყო თაობათა ცვლის პერიოდიც, რამდენადაც ცნობილია, ეს პროცესი მტკივნეული არ ყოფილა...**

- გეთანხმებით. მოდიოდა ბრწყინვალე ცვლა. 1957 და 1958 წლებში მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ორჯერ გახდნენ ჩემპიონები ჩვენი ჭაბუკები. ეს წარმატება მათ გაიმეორეს 1961 წელსაც. ახლა დიდებზე ვთქვათ. ისიც გახსოვთ, ალბათ, 1958 წელს თბილისის „დინამოს“ წყალბურთელები სსრ კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლებს რომ დაეუფლნენ. იგივე წარმატება გაიმეორეს 1959 წლის II საკავშირო სპარტაკიადაზე. ძველი თაობის წარმომადგენლებთან ერთად ხსენებულ შეჯიბრებებში თავი გამოიჩინეს გივი ჩიქოვანაიამ, ლერი გოგოლაძემ, ოთარ მიმინოშვიმა და სხვებმა. ბრწყინვალე წარმატებას მივაღწიეთ 1960 წელსაც, როცა სსრ კავშირის ჩემპიონატის მეორე პრიზიორები გავხდით.

**ესაუბრა თენგიზ გაჩეჩილაძე**

გაგრძელება იქნება

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ


ეროვნული ბიბლიოთეკა

სუმო

# ტოჩინოშინ ცუიოში მეორე ქართველი სეკიტორია



20 წლის მცხეთელი ფალავანი, ყოფილი ძიუდოისტი **ლევან გორგაძე** პროფესიული სუმოს მეორე ელიტური დივიზიონის, ძურიოს წევრი გახდა. ეს მას შემდეგ გახდა ცხადი, რაც ქართველმა ზედიზედ მეოთხე გამარჯვება იზეიმა კიუშუს ბაშოზე და საბოლოო დადებითი ბალანსი გაინალდა. ლევანი სეკიტორი (მაკუუჩის და ძურიოს დივიზიონის სუმოისტი) ოფიციალურად 28 ნოემბერს გახდება, თუმცა ამას უკვე ხელს ვერაფერი შეუშლის. იაპონიაში ლევან გორგაძე **ტოჩინოშინ ცუიოშის** საბრძოლო სახელით (შიკონა) ასპარეზობს, ის კასუგანოს კლუბის (ბეია) წევრია.

ლევანს სუმოში დებიუტი 2006 წლის მარტში ჰქონდა, ის მეოთხე ქართველი პროფესიონალი სუმოისტი შეიქმნა **ლევან** და **გიორგი ცაგურიების** და **თეიმურაზ ჯუღელის** შემდეგ. მან ასე მოკლე დროში (11 ბაშო) მოახერხა მეშვიდე უკონკურსო დივიზიონიდან ელიტარულ მეორეში ასვლა. გასული წლის მარტში დებიუტისას ლევან გორგაძე სიმაღლით 190 სმ იყო და „სულ რაღაც" 129 კილოს იწონიდა. დღეისათვის ტოჩინოშინი 136 კილოს იწონის. 2006 წლის მაისის ბაშოზე ქართველს მეექვსე დივიზიონში (ჯონოკუჩი) ჰქონდა დებიუტი, რომელიც მან 5-2 ბალანსით დაასრულა და მეხუთეში (ჯონიდანი) გადავიდა. იქ მან მხოლოდ ორი ბაშო დაჰყო, ივლისში 5-2, ხოლო სექტემბერში 5-1-1 ბალანსი აჩვენა და მეოთხე დივიზიონ სანდანმეში გადავიდა. ქართულმა ტალანტმა სანდანმეც ერთი ამოსუნთქვით გაიარა, შარშან კიუშუს ბაშოზე 6-1 ბალანსი აჩვენა და მაკუშიტას (მესამე) დივიზიონში გადავიდა. მაკუშიტა რაოდენობრივად ყველაზე დიდი დივიზიონია, მას ერთი ამოსუნთქვით ვერავინ გაივლის, რადგან ტურნირში ასზე მეტი სუმოისტი მონაწილეობს. თუმცა ლევან გორგაძეს არც აქ გასჭირვებია, 5-2 (იანვარი), 5-2 (მარტი), 5-2 (მაისი), 6-1 (ივლისი), 5-2 (სექტემბერი) და გორგაძე აღმოსავლეთ მაკუშიტას პირველი ნომერი გახდა. როგორც ხედავთ, ერთ ბაშოზე ორზე მეტად ქართველი არ აგებს. ლევან ცაგურიას (კოკაი) შედეგებს თუ შევადარებთ, დაბალ დივიზიონებში კოკაიმ უფრო შთამბეჭდავად დაიწყო, მან ჯონოკუჩის და ჯონიდანის ჩემპიონის ტიტულებიც მოიგო დაუმარცხებლად. აი, მაკუშიტაში კი პირველად ფეხი დაუცდა და 3-4 უარყოფითი ბალანსი აჩვენა, ამის შემდეგ კოკაიმ ექვს ბაშოში წარმატებით გაიარა მესამე დივიზიონი, თან ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა. კოკაის ძურიოს დივიზიონში დებიუტი 22 წლის ასაკში ჰქონდა, მაშინ როცა ტოჩინოშინი მხოლოდ 20 წლისაა. სხვათა შორის, კოკაიმ ძურიოში მხოლოდ ოთხი ბაშო დაჰყო, ოთხჯერვე დადებითად დაასრულა ტურნირი, ბოლოს კი 14-1 ბალანსით ძურიოს ჩემპიონი და მაკუუჩის (უმაღლესი) დივიზიონის დებიუტანტი გახდა.

გუშინ კიუშუს ბაშოზე ტოჩინოშინმა ძურიოს დივიზიონის საგზურისთვის ბრძოლაში **საგაცუკასა** დაამარცხა. სხვათა შორის, ტოჩინოშინი 2002 წლის მერე პირველი რიკიშია, რომელმაც დადებითი ბალანსი ტურნირის მეექვსე დღეს გაინალდა (ხუთი წლის წინათ ეს **ტოიოძაკურამ** შეძლო).

უმაღლეს დივიზიონში მეოთხე გამარჯვება იზეიმა კოკაიმ, რომელმაც იოშიკაძეს ოშიდაშით მოუგო. ლევანს ახლა 4-2 ბალანსი აქვს, მისი შემდეგი მეტოქე მე-15 მაეგაშირა **ტოჩიოძანია**, რომელთანაც ქართველს ორჯერ წაუგია. კიუშუს ბაშოს ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს ოძეკი **ჩიოტაიკაის** სახით, რომელმაც მეექვსე გამარჯვება იზეიმა. მოულოდნელად, დამარცხდა ესტონელი **ბარუტო**. ჩიოტაიკაის 5-5 მოგებით კვალში ხუთი სუმოისტი უდგას: იოკოძუნა **ჰაკუჰო**, ოძეკი **კოტომიცუკი** და სამი მაეგაშირა (**გოეიდო**, **ვაკანოსატო** და ბარუტო).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ნოემბრის ბაშო

VI დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი-იოშიკაძე 1:0 (ოშიდაში), ჰაკუჰო-კაკურიუ 1:0, ჩიოტაიკაი-ამინიშიკი 1:0, ტოკიტენკუ-კოტოოშუ 1:0, დეჯიმა-კაიო 1:0, კოტომიცუკი-ჰომაშო 1:0, მიაბიამა-ასასეკირიუ 1:0, კოტოშოგიკუ-ამა 1:0, კისენოსატო-ტოიონოშიმა 1:0, გოეიდო-კიოკუტენჰო 1:0, ტოიოჰიბიკი-კასუგაო 1:0, ტოჩინონადა-ტაკეკაძე 1:0, ვაკანოსატო-ტამანოშიმა 1:0, კაკიძოე-ბარუტო 1:0.

სატურნირო მდგომარეობა. 6-0: ჩიოტაიკაი (ოძეკი).: 5-1: ჰაკუჰო (იოკოძუნა), კოტომიცუკი (ოძეკი), გოეიდო (მაეგაშირა 6), ვაკანოსატო (მ 8), ბარუტო (მ 16); .. 4-2: კოკაი (მ 13).

VII დღე . მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი-ტოჩიოძანი, ჰაკუჰო-ტოკიტენკუ, კოტოოშუ-ამინიშიკი, კაიო-ასასეკირიუ, კოტომიცუკი-კიოკუტენჰო, ჩიოტაიკაი-კაკურიუ, ამა-ჰომაშო, კოტოშოგიკუ-მიაბიამა, დეჯიმა-კისენოსატო, ტოიონოშიმა-ტამანოშიმა, ტაკეკაძე-ტოიოჰიბიკი, გოეიდო-ტამაკასუგა, ვაკანოსატო-ვაკანოჰო, როჰო-ბარუტო.

ანტიკური ჭიდაობა

# ოლიმპიადის ფავორიტმა მზადება უკვე დაიწყო



რამაზ ნოზაძე

წლევანდელი სეზონის ტრიუმფატორი, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი **რამაზ ნოზაძე** (96) ლამის შეუსვენებლად შეუდგა მომავალი სეზონისთვის მზადებას. მას შემდეგ, რაც სექტემბერში ბაქოში მსოფლიო ჩემპიონი გახდა, სამშობლოში დაბრუნებულმა მცირე ხნით შეისვენა და უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს. თუმცა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ეს მაინც პირობითი ნათქვამია, რადგან მკერდის კუნთთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ძველებურად მაინც ვერ იტვირთება. მოგეხსენებათ, ტრავმიანობით გამოწვეული იმ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, ნოზაძე მწყობრში ჩადგა, მაგრამ ევროპის წლევანდელი პირველობის ფინალში მეტოქის ჩოქბჯენიდან აწევისას მკერდის კუნთმა ისევ უღალატა. მოგვიანებით ამას სხვა, შედარებით მცირე ტრავმებიც დაერთო, თუმცა ისინი თითქმის საბოლოოდ მოგვარდა, ეს კი კვლავაც აწუხებს. შეიძლება ითქვას, მას ოლიმპიადისთვის საგანგებო რეჟიმში მოუწევს მუშაობა, რადგან ეს პრობლემა ასე იოლად არ მოგვარდება.

თუმცა რამაზ ნოზაძე და მისი მწვრთნელი **ოთარ ტატიშვილი** ამას უკვე შეეგუენ და საგანგებო პირობებში საგანგებო განრიგით მოემზადებიან. მათ გეგმა უკვე შეიმუშავეს, თუმცა ის ფედერაციის და ნაკრების ხელმძღვანელობას არ განუხილავს, მაგრამ წინააღმდეგობა ნაკლებადაა მოსალოდნელი - სავარაუდოდ, გეგმა ულაპარაკოდ დამტკიცდება. მწვრთნელის გადაწყვეტილებით, ნოზაძე თებერვლის დასაწყისში დაგეგმილ საქართველოს ჩემპიონატს გამოტოვებს. ტატიშვილი ერთი ხანობა იმასაც ფიქრობდა, რომ ევროპის პირველობაც გამოეტოვებინათ, მაგრამ საბოლოოდ მაინც გადაწყვიტა მონაწილეობა. ბუნებრივია, ეს ტურნირი არ იქნება უძლიერესი შემადგენლობისა და არც მოჭიდავეები აჩვენებენ რეალურ ძალას - წესისამებრ, ყველა საოლიმპიადოდ შემოინახავს ძალებს და შეეცდება, მეტოქეებს სიურპრიზი მოუწყოს, მაგრამ ეს ტურნირი ნოზაძეს სასტარტოდ მაინც წაადგება. თანაც, წარმატებით გამოსვლა სტიმულსაც შესძენს, მეტოქეებს კი, პირიქით, კიდევ უფრო ჩაუნერგავს მისდამი შიშს. თუმცა არც ისაა გამორიცხული, თავისი ნამდვილი სახე ნოზაძემაც დამალოს და შედეგზე საერთოდ არ იჭიდაოს. საბოლოოდ მწვრთნელ-შეგირდის შემუშავებული გეგმით, ნოზაძე პეკინამდე 5 ტურნირში იჭიდავებს, რომელთაგანაც ბოლო, მეხუთე შეჯიბრება ოლიმპიადა იქნება. ნოზაძე სეზონს თებერვლის ბოლოს, ფრანგულ კრეტეიში დაიწყებს. ამის შემდეგ უნგრეთში, მსოფლიო თასზე იჭიდავებს, რასაც ევროპის ჩემპიონატი მოჰყვება. ზაფხულში რუმინეთის ტურნირში იჭიდავებს, სადაც ერთ შეკრებასაც გაივლის. ამას საშეკრებო ციკლი მოჰყვება, რომელთაგანაც ერთს ნაკრებთან ერთად მინსკში, სტაიკის ოლიმპიურ ბაზაზე გაივლის, სადაც ჩვენი გუნდი ბოლო წლებში სტაბილურად დადის შეკრებაზე და უძლიერეს ერთობლივ ვარჯიშებში მონაწილეობს. ამის შემდეგ კიდევ ორი შეკრება იქნება - საქართველოში, სეზონის ბოლო ტურნირი კი პეკინის ოლიმპიადა იქნება.

როგორც გითხარით, ეს გეგმა ჯერ ფედერაციამ უნდა დაამტკიცოს, თუმცა წინააღმდეგობა ნაკლებადაა მოსალოდნელი. ნოზაძე პეკინის ოლიმპიადაზე ჩვენი გუნდის უპირველესი იმედია და მის საკითხს ძალზე სათუთად უდგებიან. ამიტომ, სავარაუდოდ, მწვრთნელ-შეგირდს სრული კარტ-ბლანში მიეცემათ, თუმცა მოსამზადებელი გეგმა ნაკრების თავკაც **ბეგი დარჩიასთან** აუცილებლად შეთანხმდება. დარჩია და ტატიშვილი ისედაც ერთ გუნდად მუშაობენ და მათ შორის წინააღმდეგობა, მით უფრო, პრინციპულ საკითხებზე, თითქმის არაა.

**ირაკლი თავაძე**

კრივი

# ყაზიშვილი და ხადური ამერიკაში დარჩნენ

ამასწინათ საქართველოს მოკრივეთა ნაკრებმა ჩიკაგოში მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზა და სამწუხაროდ, არათუ რომელიმე სინჯის მედალი, პეკინის ოლიმპიადის ერთი ლიცენზიის მოპოვებაც ვერ შეძლო. ჩემპიონატზე ჩვენი ქვეყნის ნაკრების გამოსვლა ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ „ლელოში"მთავარმა მწვრთნელმა **თენგიზ მესხაძემ** უკვე შეაფასა. გადავწყვიტეთ საკუთარი ასპარეზობის თაობაზე ნაკრების გორელ წევრებს **ვასილ ყაზიშვილს** (60კგ) და **ბექა ლობჟანიძესაც** (+91) გავსაუბრებოდით. მათ გარდა, მიუხედავად ამერიკაში არყოფნისა, საინტერესო იყო მათი პირადი მწვრთნელის, **ავთანდილ შოშიაშვილის** მოსაზრებებიც ნაკრების ასპარეზობაზე, ვინაიდან მიმდინარე წლის იანვრიდან ივლისამდე ქვეყნის მთავარ გუნდს სწორედ იგი ედგა სათავეში და ივლისში ავადმყოფობის გამო საკუთარი სურვილით დატოვა თანამდებობა.

მაგრამ, ვასილ ყაზიშვილს ვერაფრით მივაკვლიეთ. მხოლოდ ბატონ ავთანდილთან და ბექა ლობჟანიძესთან საუბრით დაკმაყოფილება მოგვიწია. ამის შემდეგ კი ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ **ვასილ ყაზიშვილი** და რუსთაველი **ზვიად ხადური** ამერიკიდან გუნდთან ერთად არ დაბრუნებულან. ამის თაობაზე ავთანდილ შოშიაშვილს არავითარი ინფორმაცია არ ჰქონდა, თანაგუნდელის ჩამოუსვლელობაზე ვერაფერი გვითხრა **ბექა ლობჟანიძემაც** და მხოლოდ ის განაცხადა, რომ იმედოვნებს ყაზიშვილი 15 იანვრამდე, ანუ მანამდე ვიდრე ნაკრების წევრთათვის მიცემულ ვიზას ვადა გაუვა, დაბრუნდება საქართველოში.

თავდაპირველად ბატონ ავთანდილს ვთხოვეთ ნაკრებში მისი მუშაობის პერიოდზე, ანუ მსოფლიოს ჩემპიონატამდე ქვეყნის პირველი საკრივო გუნდის სამზადისზე მოეთხრო...

- საქართველოს მოკრივეთა ნაკრების გაწვრთნა ფედერაციის ხელმძღვანელობამ იანვარში შემომთავაზა. გადაწყვეტილების მისაღებად დიდი დრო არ მითხოვია და რადგანაც მანამდეც ამ გუნდს ერთ-ერთი თავკაცის ამპლუაში სისტემატიურად ვავარჯიშებდი, მივიჩნიე, რომ მთავარ მწვრთნელის საქმიანობასაც გავართმევდი თავს. გუნდი ძველი ბირთვის და საქართველოს ჩემპიონატზე სპორტსმენთა მიერ ნაჩვენები შედეგების მიხედვით დავაკომპლექტეთ, საერთაშორისო კალენდრის მიხედვით დავგეგმეთ მოსამზადებელი ეტაპები და ტურნირები, რომლებზეც უნდა გვეასპარეზა...

**- და საკმაოდ ძლიერი ტურნირებიც შეირჩა საამისოდ.**

- ის ოთხი შეჯიბრება, რომელზეც გამოვედით, მართლაც ძლიერი, წარმომადგენლობითი ტურნირები იყო. აზერბაიჯანის დედაქალაქიდან რვა მედლით დავბრუნდით. ამას მოჰყვა კიევში ძმები კლიჩკოების სახელობის საკმაოდ სერიოზული შეჯიბრება და ჩვენი ათივე მოკრივის მოპოვებული ათი მედალი. შემდეგ - ჩეხეთის და ბოლოს მინსკის ტურნირები, სადაც ასევე წარმატებებით ვიასპარეზეთ. საერთოდ კი ამ ოთხიდან ყველაზე ანგარიშგასაწევი და ძლიერი მეტოქეები ჩვენს სპორტსმენებს ჩეხეთში ჰყავდათ, თუმცა იქიდანაც არ დავბრუნებულვართ ხელცარიელი. ვთვლი, რომ ყველაფერი კარგად მიდიოდა, რასაკვირველია იყო უმნიშვნელო ხარვეზები, მაგრამ მათ გამოსასწორებლადაც სწორი გზით მივდიოდით, სამწუხაროდ ჯანმრთელობის მდგომარეობამ ხელი შემიშალა და ნაკრებს ივლისში ჩამოვცილდი.

**- თქვენი წასვლის შემდეგ ნაკრებმა ერევანში შედარებით სუსტ შეჯიბრებაზე იასპარეზა.**

- ვერ გეტყვით რატომ, ეს გადაწყვეტილება ნაკრების ახალმა ხელმძღვანელებმა მიიღეს. ვფიქრობ, სწორადაც დაგეგმეს, როცა იმ ეტაპზე ძლიერი შეჯიბრებები ოდნავ სუსტით ჩაანაცვლეს. ეს არაა შეცდომა, არაა გამორიცხული, მეც იგივე გამეკეთებინა.

**- თავად რას გეგმავდით მუშაობა რომ დაგცლოდათ მსოფლიოს ჩემპიონატამდე?**

- მსოფლიო ჩემპიონატზე ორ სამ ლიცენზიას ველოდი. შეუძლებელია იმაზე საუბარი, ჩემი მწვრთნელობის შემთხვევაში რა შედეგი გვექნებოდა და არც იქნება სწორი ეს ჩემი მხრიდან. ამერიკაში ისეთი ქვეყნები დარჩნენ ულიცენზიოდ, როგორებიც არიან არგენტინა, პოლონეთი, ბრაზილია და ა.შ. საერთოდ კი მსოფლიოს 120 ქვეყანის მოკრივეები იბრძოდნენ პირველობისათვის და ლიცენზიები მხოლოდ 19 ქვეყნის სპორტსმენებმა გადაინაწილეს.

ნაკრების მძიმეწონოსან ბექა ლობჟანიძესთან საუბრამდე, ვინაც ერთი წლის წინათ აინაცვლა 91 კგ წონითი კატეგორიიდან მძიმეში, დავინტერესდით ბატონი ავთანდილი ამ შეცდომად ხომ არ მიიჩნევს ლობჟანიძის „დამძიმებას".

- ბექას მძიმე წონაში გადაყვანის შესაძლებლობა მაშინ ღრმად გავაანალიზეთ და დღესაც ვთვლი, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ. იგი უკვე 100 კილოს იწონიდა და ერთთავად წონის დაკლებაზე უწევდა მუშაობა. ისიც ფაქტია, მძიმე წონაში მას ბევრად უკეთესი შედეგები აქვს.

**ბექა ლობჟანიძე, მთელი სეზონის მანძილზე მიღწეული წარმატებებით კმაყოფილი, მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლით მეტად უკმაყოფილოა.**

- წელს ყველაფერი კარგად მიმდიოდა. მსოფლიო ჩემპიონატამდე გამართული იმ ხუთი შეჯიბრებიდან, რომელშიც საქართველოს ნაკრებმა მიიღო მონაწილეობა ხელცარიელი არცერთხელ დავრჩენილვარ. მინსკსა და კიევში მესამე ადგილზე გავედი, ბაქოსა და პრალაში ვერცხლი მოვიპოვე, ხოლო ერევანში ჩემპიონი გავხდი, თუმცა რა თქმა უნდა მთავარი მსოფლიოს ჩემპიონატზე მიღწეული შედეგია და სამწუხაროდ იქ პირველივე ბრძოლა წავაგე. მართალია ბულგარელი მოკრივე პულევი, ვისთანაც დავმარცხდი, შარშანწინდელი მსოფლიოს პრიზიორი და შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის ფინალისტია, მაგრამ არც ესაა გასასამართლებელი საბუთი, ჩიკაგოში ჩემი გამოსვლით უკმაყოფილო ვარ. ვთვლი, რომ ფორმის პიკზე ჩეხეთში ვიყავი, სადაც საყოველთაო შეფასებით უსამართლოდ წამართვეს პირველი ადგილი.

ლიცენზიის მოსაპოვებლად კიდევ დაგვრჩა ორი შეჯიბრება და შანსი, მაგრამ ახლა გაცილებით ძნელი იქნება მიზნის შესრულება, თუმცა არა შეუძლებელი.

**ვასილ ბალახაძე**
**გორიდან**

ანონსი

**რაგბი**
**საქართველოს ჩემპიონატი**
18 ნოემბერი, კვირა.
სინათლე, 15:00.
გადასასვლელი მატჩი
**არმაზი-აკადემია**
19 ნოემბერი, ორშაბათი.
შევარდენი, 15:00.
შესარჩევი ფინალი
**ლიგამუსი-ყოჩები**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# იანვარში სპურსი შეიცვლება



ჩემპიონობის შენარჩუნება რომ ამ სანუკვარი შედეგის დაფიქსირებზე რთულია, აღნიშნული მიმოხილვის გარეშეც ცნობილია და ამას არც უშუალოდ დღევანდელი სუპერმატჩის გზნხილვა სჭირდება. უბრალოდ, ამერიკაში ლამის აქსიომად იქცა, რომ თუ "სან Aანტონიო სპურსი" ჩემპიონი ხდება, შემდეგ წელს გაპირველების შანსები თითქმის ნულის ტოლია. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო წინა ოთხ ჯერზე.

წლევანდელი რეგულარულის დაწყებამდე **გრეგ პოპოვიჩმა** შარშანდელი საჩემპიონო შემადგენლობიდან ბარე 12 კაცი შეინარჩუნა და ამით ვეტერანებს სრული ნდობა გამოუცხადა. ლოიალობა ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი თანამგზავრი კია, მაგრამ ბევრი სპეციალისტი სკეპტიკურად აფასებდა ტეხასელთა საამსეზონო ჩემპიონობის შანსებს და საქმე მხოლოდ მანმადე ნახსენებ სტატისტიკაში არ იყო.

"სპურსის"საშუალო ასაკი ლიგაში ყველაზე მაღალია და რამდენიოც არ უნდა ისაუბრონ იმაზე, რომ ფლეი ოფში უმთავრესი გამოცდილებაა, ვეჭვობთ, წლევანდელი "სპურსი" შარშან მიღწეულს შეწვდეს.

გუნდმა წელლს მეორე მატჩი ჩაატრა უშუალო კონკურენტთან და თანაგრანდთან და მეორეჯერაც წააგო. "ჰიუსტონთან" მარცხის მიზეზი ფარზე პირწმინდად წაგებული ჯახი იყო, "დალას მავერიქსმა" კი თანაშტატელს უბრალოდ, ასაკით, ანუ სისწრაფითა და გამძლეობით აჯობა.

"დალასის" წარმატებაში რამდენიმე მოტამაშემ თანაბარი როლი ითამაშა, თუმცა გადამწყვეტი ორი გაქცევა გუნდს **ჯოშ ჰოვარდმა** გააკეთებინა. პირველ ნახევარში ჯოშის აქტიურობით მასპინძლებმა ჯერ 17:1 (!) გადაურბინეს მეტოქეს, მერე კი 11:0 მოიგეს სამწუთიანი მონაკვეთი და დარჩენილ დროში "სპურს" 10 და მეტქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა უწევდა.

"დალასმა" კარგად ამოკეტა **ტონი პარკერი**, რომელსაც პერიოდულად ერთბაშად ორი მეურვეც კი ედგა გვერდში. **დევინ ჰარისმა** და იმავე ჰოვარდმა ტონის ფარქვეშეთში რეიდები შეუზღუდეს და სტუმართა ვარსკვლავმა საბოლოოდ, 11-დან 10 სროლა ვერ გამოიყენა.

*"ჯერ სეზონის სტარტია და ნებისმიერ შემთხვევაში, ბევრი სამუშაო გვაქვს შესასრულებელი. დასახვეწია გუნდური თამაში და რაც მთავარია, დაცვა, სადაც ისე სოლიდურად ვერ გამოვიყურებით, როგორც ადრე. "დალასი" კი ჩვენი ერთ-ერთი მთავარი კონკურენტია და ეს აღნიშნულ შეხვედრამდეც ყველამ იცოდა. ვარ თუ არა იმედგაცრუებული საკუთარი გამოსვლით? გააფუჭეთ ამდენი სროლა და თუ კმაყოფილი დარჩებით, მაგრად გამიკვირდება"*, - განაცხადა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე პარკერმა.

ჰოვარდმა ზემოთ ნახსენებ ორ გაქცევაში 13 ქულა დააგროვა, პარკერმა კი რაც ჩასაგდები იყო, ყველაფერი გააფუჭა. სოლირებდა ჰარისი, რომელმაც თავისი 18 ქულიდან 14, მეორე მეოთხედში გააკეთა, "სპურსი" კი პირველ 2 წუთს თუ არ ჩავთვლით, მთელი პირველი ნახევარი მეტოქეს 8 ქულაზე ახლოს ვერ გაეკარა.

"სპურს" აღნიშნულ შეხვედრამდე ზედიზედ 4 გამარჯვება მოეპოვებინა, მაგრამ ამჯერად ვერც მათმა "ფარულმა იარაღმა" **ბრიუს ბოუენმა** გაისროლა და ვერც **ფრანსისკო ელსონმა** და **ფაბრიციო ობერტომ** მოახერხეს მასპინძელთა სამწამიანის რეიდიების ალკვეთა.

გამარჯვების მიუხედავად, **დირკ ნოვიცკი**, რომელმაც დიდი შესვენების შემდეგ მხოლოდ 3 ქულა გააკეთა, ჩემპიონობის ფავორიტად მაინც "სპურს" მიიჩნევს.

პოპოვიჩმა კი ხაზი გაუსვა იმას, რომ იანვარში მის გუნდში მინიმუმ, ერთი ახალწვეული მაინც იქნება, თუმცა ვის და რის ხარჯზე, გრეგს ამის შესახებ ხმა არ დაუძრავს.

■ ■ ■

გადავინაცვლოთ ფინიქსში, სადაც არიზონელები რეგულარულის ფავორიტად შერაცხულს, მერე კი აუტსაიდერებში გადავარდნილ "ბულზს" ხვდებოდნენ.

"სანზსში" გადასვლის შემდეგ, ბებერმა **გრანტ ჰილმა** ისე მოუმატა და იმდენად მოტივირებულია, რომ გუნდის წარმატებას უკვე მეტწილად სწორედ ამ წესიერი და დამსახურებული ვეტერანის თამაში წყვეტს.

მორბენალ "ფინიქსში", სადაც **სტივ ნეშს** პასის გაკეთება ნებისმიერ დროს და ნებისმიერი გუნდის წინააღმდეგ ერთნაირი სიიოლით შეუძლია, ჰილი ფრთის ამპლუაზე დგას, მაგრამ რიგ მომენტებში ფლეიმექერობას მას აკისრია და ორმაგი მეურვეობისას, **შონ მერიონს** მეტოქის მაღლების აყვანაში სწორედ გრანტი ეხმარება.

ჰილმა წინა შეხვედრაში, "ნიუ იორკთან" 21 ქულის გაკეთების მერე, ამჯერად სამით მეტი დააგროვა, თუმცა ბოლოს თამაშისა და ბრძოლის იშტაზე მოსულ "ბულზს" მერიონმა ჩაუყარა. შონმა უკანასკნელ 4 წუთში 13 ქულა დააგროვა და პერიმეტრიდანაც იყოჩაღა და შიგნიდანაც ივარგა.

"ბულზი" მესამე მეოტხედში 13 ქულას აგებდა, მაგრამ **ლუოლ დენგის** აქტიურობით გაათანაბრა ანგარიში, თუმცა ბოლოსკენ მეტი ცივსისხლიანობა მასპინძლებმა გამოავლინეს.

"ჩიკაგოს" მთავარმა მწვრთნელმა **სკოტ სქაილზმა** ძირითადში ცვლილება მოახდინა და ნიჭიერი, მაგრამ არასტაბილური **ტაირუს ტომასის** ნაცვლად, მძიმე ფორვარდად გამოცდილი არგენტინელი **ანდრეს ნოჩიონი** დააყენა. გუნდმა მეშვიდე მატჩში მეექვსე მარცხი განიცადა, თუმცა სქაილზმა აღნიშნა, როქირებით კმაყოფილი ვარ და მომდევნო მატჩებშიც იგივეს გავაკეთებო. ვნახოთ, რა და როგორ იქნება, თუმცა აღნიშნული შეხვედრის დაწყებამდეც დაირხა ხმები ილინოისში დენგის, ბენ გორდონისა და **ბენ უოლასის** ნაცვლად **კრის მიმისა** და მთავარი ლეიკერსელის, **კობი ბრაიანტის** გადასვლის შესახებ. სხვათა შორის, უოლასმა მიმდინარე რეგულარულში პირველად მოახერხა მატჩის 10 მოხსნით დასრულება, რაც წინა წლებში "დიდი ბენისთვის" ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

**დალასი-სან ანტონიო 105:92**

33:18, 26:22, 21:30, 25:22

**დალასი:** ჯოშ ჰოვარდი (23 ქ. 6 მ. 3 ჩ), დ. ჰარისი (18 ქ. 5 პ), ტერი (18 ქ), ნოვიცკი (17 ქ. 8 მ. 5 პ. 4 დ), სტექჰაუზი (10 ქ).

**სან ანტონიო:** ჯინობილი (25 ქ. 9 მ. 7 პ. 3 ჩ), დანკანი (24 ქ. 5 მ), ბ. ბერი (11 ქ).

**ფინიქსი-ჩიკაგო 112:102**

26:22, 30:24, 19:29, 37:27

**ფინიქსი:** ბარბოსა (25 ქ. 2 ჩ), გ. ჰილი (24 ქ. 2 ჩ), მერიონი (21 ქ. 9 მ. 2 ჩ. 2 დ), ა. სტაუდმაიერი (14 ქ. 6 მ. 6 დ), ნეში (10 ქ. 15 პ. 4 ჩ), დიაო (10 ქ. 7 მ).

**ჩიკაგო:** გორდონი (24 ქ), დენგი (23 ქ. 9 მ. 2 დ), ნოჩიონი (18 ქ. 7 მ), ჰაინრიხი (17 ქ. 7 პ. 2 ჩ), ბ. უოლასი (5 ქ. 10 მ).

## ჩოგბურთი

ვარსკვლავი

# მარტინას უკრაინელი ბოიფრენდი ჰყოლია

### ჰინგისი და ალექსანდრე ცხენებმა დააახლოვეს

აქტიური სპორტიდან სკანდალურად წასვლის შემდეგ, შვეიცარიელი **მარტინა ჰინგისი** კარგა ხანი არ ჩანდა საზოგადოების წინაშე. ორი დღის წინ კი, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი უკრაინის დედაქალაქ კიევში გამოჩნდა და როგორც იქაური პრესა წერს, კიეველ ბავშვებს მასტერ-კლასიც ჩაუტარა.

ჰინგისის უკრაინაში ჩასვლა შემთხვევითი არ ყოფილა. მართალია, პრესასთან საუბრისას ამ ახალ ამბავს არ ამხელს, მაგრამ უკვე ბევრისთვის ცნობილია, რომ 27 წლის შვეიცარიელის ბოი-ფრენდი გახლავთ ვინმე **ალექსანდრ ონიშჩენკო**. ეს 37 წლის უკრაინელი ქვეყნის ცხენოსნობის ფედერაციის პრეზიდენტია. სხვათა შორის, საქვეყნოდ ცნობილია მარტინას ცხენებისადმი სიყვარული და შეყვარებულების გაცნობაც სწორედ ამ კუთხით მოხდა.

„ლელოს" მკითხველებს, ალბათ, ემახსოვრებათ სექტემბერში ჰინგისის გაუჩინარების ამბავი, როცა ის არც პრესის წინაშე გამოჩენილა და სარეკლამო გადაღებებიც გააცდინა. მაშინ შვეიცარიული პრესა წერდა, რომ მარტინა მორიგი ტრავმის გამო დეპრესიაში იყო და მისი გაუჩინარებაც ამით აიხსნა. დღეს კი ირკვევა, რომ ჰინგისმა და ონიშჩენკომ მთელი ეს პერიოდი ესპანეთის პროვინცია ანდალუზიაში გაატარეს, სადაც თავისუფალი დროის დიდ ნაწილი ცხენოსნობით იჯერეს გული.

აქვე შეგახსენებთ იმასაც, რომ საკმაოდ დიდი ხანი, ბულვარული პრესა ბევრს წერდა ჰინგისისა და ჩეხი ჩოგბურთელის, **რადეკ შტეპანეკის** რომანზე. უფრო მეტიც, წყვილს ქორწილის თარიღიც კი ჰქონდა შეთანხმებული, მაგრამ ზაფხულში მათ განწყვიტეს კავშირი.

ჩოგბურთი

### ტარპიშჩევის არჩევანი

როგორც ცნობილია, 30 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე ამერიკის ქალაქ პორტლენდში დევისის თასის ფინალი გაიმართება, რომელშიც ადგილობრივი ნაკრები რუსეთის გუნდს დაუკავშირდება.

რუსების კაპიტანმა **შამილ ტარპიშჩევმა** დაასახელა იმ ჩოგბურთელების ვინაობა, რომლებიც სულ მალე ამერიკაში გაემგზავრებიან. განაცხადში მოხვდნენ **ნიკოლაი დავიდენკო, მიხაილ იუჟნი, იგორ ანდრეევი და დმიტრი ტურსუნოვი**. გარდა ამისა, პორტლენდში ჩავა **მარატ საფინიც**, რომელიც არ აპირებდა ფინალში თამაშს, მაგრამ ტარპიშჩევმა მას სათადარიგო მოთამაშის როლი არგუნა.

უკვე ცნობილია ამერიკელთა შემადგენლობაც. მასპინძლები თავიანთ საუკეთესო ჩოგბურთელებს დაახვედრებენ რუსებს. ესენი არიან: **ენდი როდიკი, ჯეიმს ბლეიკი და ძმები, ბობ და მაიკ ბრაიანები**. როგორც იცით, ბრაიანების დუეტი საუკეთესოა ATP-ის ტურში.

კალათბურთი

### მაკგრეიდი მალე დაბრუნდება

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, „ჰიუსტონ როკეტსის" ლიდერმა **ტრეისი მაკგრეიდიმ** იდაყვის ტრავმა მიიღო და სავარაუდოდ, დაახლოებით ერთი კვირით გამოეთიშა აქტიურ კალათბურთს.

მაგრამ გუშინ გაირკვა, რომ ტი-მაკი უახლოეს ხანში შეძლებს მოედანზე დაბრუნებას. სამედიცინო გამოკვლევამ აჩვენა, რომ კალათბურთელს სერიოზული დაზიანება არ აქვს. მართალია, ექიმები ტრეისის ვადაზე ადრე დაბრუნებას არ ურჩევენ, მაგრამ მაკგრეიდი მზად არის უახლოეს ტურში ჩაერთოს თამაშში.

### ჟალგირისმა ცენტრი დაიმატა

კაუნასის „ჟალგირისმა" NBA-ის ყოფილ მოთამაშესთან, ცენტრალურ თავდამსხმელ **მაიკლ ბრედლისთან** (208 სმ, 28 წლის) გააფორმა კონტრაქტი.

ამ კალათბურთელმა სეზონის დასაწყისი გერმანიის „ალბაში" გაატარა, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში კი, „ფილადელფიას", „ორლანდოს" და „ტორონტოს" ღირსებას იცავდა.

შარშან ბრედლი ესპანეთის ჩემპიონატში „ბრუესას" რიგებში თამაშობდა და საშუალოდ მატჩში 13.1 ქულას და 8.4 მოხსნას აგროვებდა.

ბრედლიმ ლიტვურ კლუბში ტანოკა ბერდი უნდა შეცვალოს, რომელმაც გასულ კვირას დატოვა „ჟალგირისი" და ისრაელში გადავიდა.

## ევროლიგა. I ჯგუფური ეტაპი. IV ტური

### A ჯგუფი

**ცსკა-ოლიმპიაკოსი 88:79**

22:23, 23:17, 16:22, 27:17

**ცსკა:** შიშკაუსკასი (24 ქ. 2 ჩ), ლენგდონი (21 ქ. 5 პ. 4 მ), პაპალუკასი (14 ქ. 4 პ), გორე (7 ქ. 6 მ. 5 პ. 2 დ).

**ოლიმპიაკოსი:** ლ. გრირი (27 ქ. 5 პ), მ. ჯექსონი (22 ქ. 7 მ), ტეოდოშიჩი (8 ქ. 7 მ. 4 პ).

**ვირტუსი-პროკომი 75:87**

10:17, 21:27, 16:19, 28:24

**ვირტუსი:** ჰოლანდი (22 ქ. 5 მ. 3 პ), სპენსერი (22 ქ. 4 მ. 2 დ), ა. ანდერსონი (13 ქ. 7 მ).

**პროკომი:** სლანინა (28 ქ), ვან დენ შპიგელი (27 ქ. 14 მ. 3 ჩ), ვაგნერი (22 ქ. 5 მ), მასიულისი (1 ქ. 9 მ).

**ჟალგირისი-ოლიმპია 91:72**

25:22, 29:20, 16:17, 21:13

**ჟალგირისი:** მ. ბრაუნი (28 ქ. 5 მ. 5 პ. 4 ჩ), სალენგა (17 ქ. 2 ჩ), კოლინზი (17 ქ. 8 პ. 4 მ), მასიულისი (12 ქ).

**ოლიმპია:** მილიჩი (21 ქ. 11 მ), ტეილორი (18 ქ), ბეილი (13 ქ. 4 პ. 3 ჩ).

**ტაუ-მონტეპასკი 76:61**

21:13, 17:17, 15:16, 23:15

**ტაუ:** მაკდონალდი (18 ქ. 8 მ), რაკოჩევიჩი (14 ქ), სპლიტერი (12 ქ. 4 მ), ტელეტოვიჩი (7 ქ. 13 მ).

**მონტეპასკი:** სატო (14 ქ. 6 მ), მაკინტაირი (13 ქ. 4 მ. 4 პ. 3 ჩ).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ტაუ | 3-1 | +53 |
| 2. ცსკა | 3-1 | +30 |
| 3. მონტეპასკი | 2-2 | +34 |
| 4. ოლიმპიაკოსი | 2-2 | +15 |
| 5. ჟალგირისი | 2-2 | -2 |
| 6. ოლიმპია | 2-2 | -36 |
| 7. პროკომი | 1-3 | -33 |
| 8. ვირტუსი | 1-3 | -61 |

### B ჯგუფი

**ლიეტუვოს რიტასი-არისი 77:70**

25:15, 17:16, 19:16, 16:23

**ლიეტუვოს რიტასი:** პეტრავიჩუსი (22 ქ. 6 მ), პრაისი (15 ქ. 7 პ), ედსონი (11 ქ. 5 მ. 2 ჩ), ნილსენი (11 ქ. 7 მ. 4 პ).

**არისი:** მასეი (19 ქ. 6 მ), ბ. რაიტი (12 ქ).

**ეფესი-ლე მანი 66:63**

13:25, 20:11, 7:15, 26:12

**ეფეს პილზენი:** ნიკოლასი (21 ქ. 4 მ), ერდოგანი (13 ქ. 6 მ. 4 პ), ვუდსი (12 ქ. 11 მ. 2 ჩ).

**ლე მანი:** ბოგდანოვიჩი (21 ქ. 3 მ), კლენსი (11 ქ. 10 მ), კოფი (10 ქ. 6 მ. 2 ჩ).

**უნიკახა-მაკაბი 93:70**

21:16, 24:20, 20:21, 28:13

**უნიკახა:** ჰეისლიპი (19 ქ. 3 პ. 3 ჩ), კაბეზასი (21 ქ. 6 მ), გაბრიელი (16 ქ. 5 მ), ნდონგი (14 ქ. 8 მ), ველში (11 ქ. 5 მ. 3 პ), როდრიგესი (10 ქ. 4 პ).

**მაკაბი:** ფაიზერი (15 ქ. 4 მ), ბინუმი (14 ქ. 4 პ), ბატისტა (9 ქ. 6 მ).

**ციბონა-მილანი 100:91**

26:25, 27:21, 27:21, 20:24

**ციბონა:** აიუსო (30 ქ. 3 პ), ჰოსკინი (18 ქ. 8 მ), უორენი (13 ქ), მულაომეროვიჩი (12 ქ. 5 პ).

**მილანი:** სესეი (24 ქ. 5 მ), გალინარი (20 ქ), უოტსონი (13 ქ. 8 მ. 3 ჩ), ბულერი (12 ქ. 3 პ), ბუკერი (9 ქ. 7 პ).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ლიეტუვოს რიტასი | 4-0 | +38 |
| 2. უნიკახა | 3-1 | +66 |
| 3. არისი | 3-1 | +4 |
| 4. ეფეს პილზენი | 2-2 | -1 |
| 5. ციბონა | 2-2 | -25 |
| 6. მაკაბი | 2-2 | -32 |
| 7. ლე მანი | 0-4 | -15 |
| 8. მილანი | 0-4 | -35 |

### C ჯგუფი

**პანათინაიკოსი-ბარსელონა 76:66**

19:15, 17:22, 20:10, 20:19

**პანათინაიკ:** დიამანტიდისი (15 ქ. 7 მ. 5 ჩ. 3 დ), იასიკიავიჩუსი (13 ქ. 4 პ), ცარცარისი (11 ქ).

**ბარსელონა:** კასუნი (16 ქ. 6 მ), მორანდაისი (14 ქ. 4 მ), ლაკოვიჩი (13 ქ. 2 ჩ).

**რომა-ბამბერგი 81:57**

19:10, 22:15, 23:24, 17:8

**რომა:** უკიჩი (15 ქ. 4 ჩ), სტეფანსონი (14 ქ. 2 ჩ), ე. ლორბეკი (12 ქ. 11 მ. 3 ჩ), ფუჩკა (10 ქ. 7 მ), რეი (10 ქ).

**ბამბერგი:** დ. გრინი (16 ქ), ოკულაჯა (11 ქ. 10 მ. 2 ჩ), სუპუტი (11 ქ).

**რეალი-პარტიზანი 75:64**

20:11, 13:10, 26:21, 16:22

**რეალი:** ბალოკი (15 ქ), მუმბრუ (11 ქ. 9 მ. 2 ჩ), ლოპესი (10 ქ. 2 ჩ), პაპადოპულოსი (9 ქ. 7 მ), ფ. რეიესი (7 ქ. 11 მ. 3 პ).

**პარტიზანი:** პალასიო (24 ქ. 2 ჩ), კეჩმანი (14 ქ. 5 მ. 2 ჩ), ველიკოვიჩი (13 ქ. 5 მ).

**რუანი-ფენერბახჩე 90:97**

33:24, 21:25, 12:20, 24:28

**რუანი:** სალიერსი (40 ქ. 6 მ), ჰესი (22 ქ. 9 მ. 4 პ), კაზალონი (11 ქ. 4 მ).

**ფენერბახჩე:** სოლომონი (23 ქ. 7 პ. 5 მ), სავასი (12 ქ. 6 მ), თურქჯანი (12 ქ. 5 მ), კაანი (12 ქ), ონანი (10 ქ), ჯ.-უაითი (10 ქ).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. რეალი | 4-0 | +35 |
| 2. პანათინაიკოსი | 4-0 | +22 |
| 3. ბარსელონა | 2-2 | +8 |
| 4. ფენერბახჩე | 2-2 | +3 |
| 5. პარტიზანი | 2-2 | -11 |
| 6. რომა | 1-3 | -4 |
| 7. რუანი | 1-3 | -11 |
| 8. ბამბერგი | 0-4 | -42 |

მასტერსის თასი

# ნახევარფინალში კორტზე გასვლამდე

შანხაიში მიმდინარე მასტერსის თასზე დასრულდა ჯგუფური ეტაპი, რომელმაც ოთხივე ნახევარფინალისტის ვინაობა გამოავლინა. ფინალის საგზურისთვის ბრძოლას გააგრძელებენ: წითელი ჯგუფიდან მსოფლიოს პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი როჯერ ფედერერი და ამერიკელი ენდი როდიკი, ოქროს ჯგუფიდან კი ესპანელები – მსოფლიოს მეორე ჩოგანი რაფაელ ნადალი და დავიდ ფერერი.

გუშინ ნახევარფინალის საგზურს დაეუფლნენ ფედერერი და როდიკი. უფრო სწორედ, ამერიკელს ეს საგზური მანამდეც განაღდებული ჰქონდა, შვეიცარიელმა კი ჯგუფური ეტაპი მანამ გაიარა, სანამ ბოლო მატჩის სათამაშოდ კორტზე გამოვიდოდა. საქმე მას რუსმა ნიკოლაი დავიდენკომ გაუკეთა, რომელმაც მარცხი აგემა ჩილელ ფერნანდო გონსალესს. შეგახსენებთ, რომ ამ უკანასკნელმა პირველ ტურში მოულოდნელი მარცხი აწვნია ფედერერს, თუმცა ამის შემდეგ ორივე თამაში წააგო და ტურნირსაც დაემშვიდობა. თავის მხრივ, წინა ორი თამაში დავიდენკოსაც წაგებული ჰქონდა, რის გამოც მასაც დაკარგული ჰქონდა მომდევნო ეტაპზე თამაშის შანსი.

როდიკთან შეხვედრა ფედერერს რომც წაეგო (ნებისმიერი ანგარიშით), ის ნახევარფინალში მაინც გავიდოდა, რადგან ერთ შემთხვევაში, მას უპირატესობას დავიდენკოსთან მოგებული თამაში ანიჭებდა, გონსალესს კი მოგებული და წაგებული სეტების უარესი ბალანსი აქვს, რის გამოც, მასთან ურთიერთშეხვედრის გათვალისწინება საჭირო არ იქნებოდა.

ფედერერმა როდიკი იოლად დაამარცხა. იყო მომენტები, როდესაც ამერიკელი ემოციების დაოკებას ვერ ახერხებდა, რასაც მისი ერთი ჩოგანი შეეწირა. თამაში რომ წააგო, როდიკი უმალ ბადესთან გაჩნდა და გამარჯვებულს მილოცვის შემდეგ მიახალა – შემდეგში უფრო ძლიერი ვიქნებიო! ვინ იცის, იქნებ ფორტუნამ ისინი ფინალშიც შეახვედროს ერთმანეთს. ოღონდ, ამისათვის ორივეს ჯერ ესპანური ბარიერი ექნება გადასალახავი. ფედერერმა ნადალს უნდა მოუგოს, როდიკმა კი ფერერს.

"ჩვენს ამ შეხვედრას დიდ მნიშვნელობას ნუ მიანიჭებთ. ჩვენ ორივენი მომდევნო ეტაპზე გასულები ვიყავით და ამდენად, მოტივაციაც ალბათ ნაკლები გვქონდა. მოხარული ვარ, რომ ახლა რაფასთან თამაში მიწევს. რატომ? იმიტომ, რომ თუ მასაც მოვუგე, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ კარგ ფორმაში ვარ. და თუ ასეა, მაშინ ფინალშიც მთავარი ფავორიტი მე ვიქნები", - ამბობს ფედერერი, ვისაც მასტერსის თასი სამჯერ აქვს მოგებული.

აღსანიშნავია, რომ გუშინდელ შეხვედრამდე, ფედერერს როდიკი 14-ჯერ დაუმარცხებია, მისგან კი ერთადერთი მარცხი უგემნია. ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა. თამაშის მსვლელობისას, როდიკს არაფერი ეტყობოდა, რომ მეორედ დაამარცხებდა შვეიცარიელს, ვინც ოთხი სეზონია, ჩემპიონთა რბოლას ცხრილის სათავეში ასრულებს.

მათი შეხვედრა თავიდანვე ფედერერის აშკარა უპირატესობით წარიმართა. შვეიცარიელმა პირველი სეტი 33 წუთში მოიგო. მაგრამ თუ ამერიკელი პირველ სეტში თავისი სერვისგეიმების მოგებას მაინც ახერხებდა, მეორეში ესეც აღარ გამოსდიოდა. ფედერერს ყველაფერი შესანიშნავად გამოსდიოდა. შეცდომებიც იმ პირველ შეხვედრას დაუტოვა, რომელშიც გონსალესთან დამარცხდა. ჰოდა, მეორე სეტის დასაწყისში ორი ბრეიკის აღება შეძლო (რითაც 4:0 დაწინაურდა), შეხვედრა კი 61 წუთში გამარჯვებით დაასრულა.

როდიკმა ჩოგანი სწორედ მაშინ გაიმეტა, როდესაც მეორე სეტში ფედერერმა ეორე ბრეიკი აილო და პრაქტიკულად გადაწყვიტა შეხვედრის ბედი. "როცა 6:4, 4:0-ს აგებ და შენს წინ ფედერერი დგას, აცნობიერებ, რომ თამაშის მოგების შანსები მინიმალურია. თანაც, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ჩემთან თამაშისას ყოველთვის საუკეთესო ფორმაშია ხოლმე. ეს კი, ცოტა არ იყოს, გამაღიზიანებლად მოქმედებს", - თავი იმართლა როდიკმა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### ATP

#### მასტერსის თასი

შანხაი (ჩინეთი).

ქერქვეშა ტარაფლექსი

საპრიზო ფონდი: 4 450 000 დოლარი

#### წითელი ჯგუფი

როჯერ ფედერერი (შვეი, 1)-ენდი როდიკი (აშშ, 5) 6:4, 6:2

ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4)-ფერნანდო გონსალესი (ჩილე, 7) 6:4, 6:3

| | თ | მ | წ | ს-ბალ |
|---|---|---|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი | 3 | 2 | 1 | 5-2 |
| 2. ენდი როდიკი | 3 | 2 | 1 | 4-3 |
| 3. ნ. დავიდენკო | 3 | 1 | 2 | 3-4 |
| 4. ფერ. გონსალესი | 3 | 1 | 2 | 2-5 |

#### ოქროს ჯგუფი

| | თ | მ | წ | ს-ბალ |
|---|---|---|---|---|
| 1. დავიდ ფერერი | 3 | 3 | 0 | 6-1 |
| 2. რაფაელ ნადალი | 3 | 2 | 1 | 5-3 |
| 3. რიშარ გასკე | 3 | 1 | 2 | 3-4 |
| 4. ნოვაკ ჯოკოვიჩი | 3 | 0 | 3 | 0-6 |

#### ნახევარფინალები

როჯერ ფედერერი (შვეი, 1)-რაფაელ ნადალი (ესპ, 2)

დავიდ ფერერი (ესპ, 6)-ენდი როდიკი (აშშ, 5)

## ჰოკეი

### NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-ტორონტო 5:2**

2:1, 1:1, 2:0

გოლები: 1:0 სავარი-4 (გ. მიურეი-6), 1:1 უელვუდი-3 (მაკეიბი-4, ტ. კაბერლე-8), 2:1 შტურმი-8 (ვიდემანი-2, კესელი-5), 3:1 მეტროპოლიტი-3 (შეფერი-6, ბოჩენსკი-1), 3:2 პონიკაროვსკი-7 (სუნდინი-17, ანტროპოვი-9), 4:2 შეფერი-2 (მეტროპოლიტი-3, ხარა-8), 5:2 შეფერი-3 (ბოჩენსკი-2, სავარი-13).

**ფილადელფია-რეინჯერსი 3:4 (ბ)**

1:1, 1:1, 1:1, 0:0

გოლები: 1:0 დაუდი- 2 (კოუტი-1, ტოლპეკო-1), 1:1 ტიუტინი-2 (გომესი-9, ეივერი-4), 1:2 შენეჰანი-6 (გომესი-10, ეივერი-5), 2:2 ბრიერი-7 (მ. რიჩარდსი-11), 2:3 პრუხა-2 (დრური-9), 3:3 ტოლპეკო-1 (ჯ. სმიტი-2, კუკონენი-2).

ბულიტები გაიტანეს: შენეჰანი (რეინჯერსი).

**ოტავა-ბაფალო 3:2**

2:1, 1:0, 0:1

გოლები: 1:0 ალფრედსონი-14 (ფიშერი-9, ჰიტლი-12), 1:1 ჰეხტი-5 (პრატი-1), 2:1 ალფრედსონი-15 (რედენი-7, ჰიტლი-13), 3:1 დონოვანი-3 (ფიშერი-10, შუბერტი-3), 3:2 დ. რუა-6 (პომინვილი-7, კოტალიკი-6).

**პიტსბურგი-აილენდერსი 3:2**

1:1, 2:1, 0:0

გოლები: 0:1 კომრი-6 (ვიტი-3, ჰანტერი-4), 1:1 გონჩარი-5 (მალკინი-18, მ-ა. ფლერი-1), 2:1 სიკორა-8 (მალკინი-19, გონჩარი-13), 2:2 ვაშიჩეკი-6 (ყერვე-6, ბერგენჰაიმი-3), 3:2 ლარაკი-1 (კროსბი-18).

**ფლორიდა-ვაშინგტონი 2:1**

1:0, 1:1, 0:0

გოლები: 1:0 ზედნიკი-7 (მტუმპელი-7, სალეი-5), 2:0 კრეპსი-2, 2:1 ოვეჩკინი-12 (ნიულანდერი-12, პოტიე-7).

**ნეშვილი-ჩიკაგო 5:4 (ო)**

1:0, 0:3, 3:1, 1:0

გოლები: 1:0 არნოტი-7 (ერატი-12, ჟიდლიცკი-7), 1:1 ტოევზი-8, 1:2 ვიშნიევსკი-5 (ვანდერმეერი-4, ჯეისონ უილიამსი-11), 1:3 შარპი-7 (კეიტი-4), 2:3 რადულოვი-4 (ფიდლერი-6, ლეგვანდი-10), 3:3 ფიდლერი-5 (ლეგვანდი-11, რადულოვი-9), 4:3 ბონკი-7 (რადულოვი-10, ჰამჰუისი-7), 4:4 ჯეისონ უილიამსი-7 (კეინი-15), 5:4 ერატი-5 (ბონკი-2, დე ვრისი-6).

**ედმონტონი-მინესოტა 2:4**

0:1, 2:2, 0:1

გოლები: 0:1 სკოულა-1 (ბელანჟე-7, რადივოევიჩი-6), 1:1 სტოლი-2 (ჰემსკი-8), 2:1 სტოლი-3, 2:2 გაბორიკი-5 (ბელანჟე-8, პერიში-3), 2:3 ფოსტერი-2 (ბუშარი-10, ბელანჟე-9), 2:4 პერიში-7 (გაბორიკი-10, ბელანჟე-10).

**ფინიქსი-სან ხოსე 0:6**

0:2, 0:1, 0:3

გოლები: 0:1 რიონიკი-6, 0:2 რისმილერი-1 (მარლო-5, დ. მიურეი-3), 0:3 პაველსკი-4 (ბერნიე-3, ერჰოფი-8), 0:4 პაველსკი-5 (მარლო-6, ერჰოფი-9), 0:5 სეტოგუჩი-7 (ჯ. ტორნტონი-16), 0:6 ბერნიე-4 (მარლო-7, რისმილერი-2).

**ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი 3:6**

1:0, 1:2, 1:4

გოლები: 1:0 კოპიტარი-8 (კამალერი-6, რ. ბლეიკი-5), 1:1 პერი-10 (კუნიტცი-6, გეტცლაფი-13), 2:1 დ. ბრაუნი-8 (კოპიტარი-10, კამალერი-7), 2:2 პერი-11 (კუნიტცი-7), 2:3 გეტცლაფი-7 (კუნიტცი-8, პერი-7), 2:4 მეი-2 (ე. მაკდონალდი-8), 2:5 პალსონი-2 (რ. ნიდერმაიერი-3, მოენი-1), 3:5 ო'სალივანი-4 (მოულსონი-1, ფროლოვი-15), 3:6 რ. ნიდერმაიერი-2 (პრონგერი-14).

## TV სპორტი

### 17 ნოემბერი. შაბათი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-მარსელი.
15:10 საფეხბურთო კლუბი.
16:00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
16:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:50 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-ალლუმი. ბეშიქთაში-ლივერპული.
18:55 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უელსი-ირლანდია (LIVE).
20:55 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. შოტლანდია-იტალია (LIVE).
22:55 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. მაკედონია-ხორვატია (LIVE).
01:55 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ჩეხეთი-სლოვაკეთი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

08:58 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-რეინჯერსი.
09:53 სპორტდოსიე. ვინდსერფინგი.
10:19 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
10:32 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ცსკა-ოლიმპიაკოსი.
12:15 ჩემი სპორტი.
12:45 რეტრო-ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. 1988 წელი. ინგლისი-ჰოლანდია.
14:30 წყლის სამყარო. ტელეჟურნალი.
15:00 სპორტის სამყარო.
15:30 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
16:00 ჩოგბურთი. PEOPLEnet CUP. 1\2 ფინალი (LIVE).
20:01 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. ტამპა ბეი-ვაშინგტონი.
21:47 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. შოტლანდია-იტალია (LIVE).
00:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. პოლონეთი-ბელგია.
02:02 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ნორვეგია-თურქეთი.
03:47 სპორტის ისტორია.
04:00 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-ჩიკაგო (LIVE).
06:37 სპორტდოსიე. ვინდსერფინგი.
07:02 რეტრო-ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. 1988 წელი. ინგლისი-ჰოლანდია.

#### EUROSPORT

11:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ირლანდია.
12:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. რუსეთი-ინგლისი.
13:15 ციგაობა. მსოფლიო თასი. ორადგილიანი. ლეიკ-პლესიდი. აშშ.
13:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
14:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. საფრანგეთი-ლიტვა.
14:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. პორტუგალია-პოლონეთი.
15:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. რუსეთი-ინგლისი.
17:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
18:00 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-უკრაინა. პორტუგალია (LIVE).
19:30 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. პორტუგალია-იტალია. პორტუგალია.
20:00 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. სერბეთი-რუსეთი. პორტუგალია (LIVE).
21:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
21:45 მულტისპორტი.
22:15 ფიგურული სრიალი. საჩვენებელი გამოსვლები. ინგლოშტადტი. გერმანია.
00:00 პროფესიული კრივი. ჩეხეთი (LIVE).
02:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
03:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ირლანდია.
03:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. მაკაოს გრან-პრი.
04:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. მაკაოს გრან-პრი.(LIVE).
04:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ფორმულა 3-ში. მაკაოს გრან-პრი (LIVE).
05:15 ავტოსპორტი. პორშეს თასი. მაკაოს გრან-პრი (LIVE).
06:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. მაკაოს გრან-პრი. I ცდა.

#### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 მოტორბოლა. მაკაოს გრან-პრი.
13:45 მულტისპორტი.
04:17 კალათბურთი. ევროპული ლიგა. ჟურნალი.
14:45 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. V ტური. კილი (გერმანია)-მონპელიე (საფრანგეთი).
15:30 ახალი ამბები.
16:00 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. პორტუგალია-იტალია. პორტუგალია.
17:00 მოტორბოლა. მაკაოს გრან-პრი.
18:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
19:00 ახალი ამბები.
19:15 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ვიბორგი (დანია)-ჰამბურგი (გერმანია) (LIVE).
20:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. საფრანგეთი-ლიტვა.
21:30 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-უკრაინა. პორტუგალია.
22:30 ახალი ამბები.
23:00 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. სერბეთი-რუსეთი. პორტუგალია.
00:00 სუპერკროსი. მილანი. იტალია.
01:00 მოტორბოლა. მაკაოს გრან-პრი (LIVE).
02:00 ახალი ამბები.
02:15 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ვიბორგი (დანია)-ჰამბურგი (გერმანია).
03:15 ახალი ამბები.

### 18 ნოემბერი. კვირა

#### რუსთავი 2

18:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

11:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. შოტლანდია-იტალია.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. მაკედონია-ხორვატია.
15:10 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ნორვეგია-თურქეთი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 ტოქ-შოუ - 2:1.
18:00 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-ალლუმი. ბეშიქთაში-ლივერპული.
19:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:10 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ჩეხეთი-სლოვაკეთი.
22:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. შოტლანდია-იტალია.
23:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:05 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უელსი-ირლანდია (LIVE).

#### SPORT 1 (უკრაინა)

08:45 სპორტდოსიე. გოლფი.
09:12 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. ტამპა ბეი-ვაშინგტონი.
11:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ნორვეგია-თურქეთი.
12:47 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგის ჟურნალი.
13:16 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
13:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უელსი-ირლანდია.
15:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
16:00 ჩოგბურთი. PEOPLEnet CUP. ფინალი (LIVE).
18:02 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-ლუქსემბურგი.
19:45 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-ჩიკაგო.
21:31 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
21:58 ჩოგბურთი. PEOPLEnet CUP. წყვილები. ფინალი (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი.
02:00 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. მიმოხილვა.
02:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უელსი-ირლანდია.
04:17 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგის ჟურნალი.
04:46 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
05:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-ლუქსემბურგი.
07:02 სპორტდოსიე. გოლფი.
07:30 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. მიმოხილვა.

#### EUROSPORT

09:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. მაკაოს გრან-პრი. II ცდა (LIVE).
10:00 მოტორბოლა. მაკაოს გრან-პრი.
11:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. მაკაოს გრან-პრი. II ცდა.
11:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ფორმულა 3-ში. მაკაოს გრან-პრი.
12:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ირლანდია.
13:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. მაკაოს გრან-პრი. II ცდა.
14:00 ციგაობა. მსოფლიო თასი. მამაკაცები. II ცდა. ლეიკ-პლესიდი. აშშ.
15:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. შოტლანდია-იტალია.
16:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უელსი-ირლანდია.
16:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ნორვეგია-თურქეთი.
17:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-ლუქსემბურგი.
18:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
19:30 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. იტალია-რუმინეთი. პორტუგალია (LIVE).
21:00 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. პორტუგალია.
21:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
21:30 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. პორტუგალია-ჩეხეთი. პორტუგალია (LIVE).
23:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. შოტლანდია-იტალია.
00:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ნორვეგია-თურქეთი.
01:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-ლუქსემბურგი.
01:45 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
02:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ირლანდია.
02:30 პროფესიული კრივი. ჩეხეთი (LIVE).
03:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
04:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ირლანდია.

#### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
14:00 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ვიბორგი (დანია)-ჰამბურგი (გერმანია).
15:00 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-უკრაინა. პორტუგალია.
16:00 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. სერბეთი-რუსეთი. პორტუგალია.
17:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ირლანდია.
18:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. მაკაოს გრან-პრი. II ცდა.
18:45 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ვიბორგი (დანია)-ჰამბურგი (გერმანია).
19:30 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. IV ტური.
21:00 კალათბურთი. ევროპული ლიგა. რეგულარული სეზონი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. მაკაოს გრან-პრი. II ცდა.
00:00 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. V ტური. გუმერსბახი (გერმანია)-რეიკიავიკი (ისლანდია).
01:00 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. პორტუგალია-ჩეხეთი. პორტუგალია.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
03:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ევრო 2009

##### UNDER 21

| | |
|---|---|
| იტალია-აზერბაიჯანი | 5:0 |
| ჩერნოგორია-ირლანდია | 1:0 |
| ინგლისი-ბულგარეთი | 2:0 |
| ესპანეთი-პოლონეთი | 3:0 |
| ჰოლანდია-მაკედონია | 1:0 |
| ლიტვა-დანია | 0:3 |
| კვიპროსი-სლოვაკეთი | 1:2 |
| ავსტრია-ბელგია | 3:2 |
| ბელარუსი-სან მარინო | 6:0 |
| ჩრ.ირლანდია-ლუქსემბურგი | 5:0 |
| რუმინეთი-მალტა | 4:0 |

##### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ავსტრია-ინგლისი | 0:1 |
| საფრანგეთი-მაროკო | 2:2 |
| გერმანია (U 21)-ისლანდია (U 21) | 3:0 |

#### ინგლისი

##### I ლიგა

| | |
|---|---|
| სუონსი-ჰადერსფილდი | 0:1 |

#### გერმანია

##### რეგიონალლიგა (სამ)

| | |
|---|---|
| ბაიერნი II-ბურგჰაუზენი | 1:1 |
| ზიგენი-აალენი | 1:1 |

#### ჰოლანდია

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| კამბური-ჰაარლემი | 1:2 |
| ეინდჰოვენი II-იგლზი | 2:0 |
| ომნიუორლდი-ვოლენდამი | 1:1 |
| ცვოლე-დორდრეხტი | 1:1 |
| მაასტრიხტი-დენ ბოში | 2:1 |
| როსენდალი-ემენი | 4:0 |
| ტელსტარი-ფორტუნა | 4:1 |
| ტოპ ოსი-ვაალვიკი | 2:2 |
| ვეენდამი-ჰელმონდი | 0:1 |

#### პორტუგალიის თასი

| | |
|---|---|
| პენაფიელი-ვარზიმი | 1:0 |

#### შოტლანდია

##### III დივიზიონი

| | |
|---|---|
| არბროტი-სტრანრარი | 2:2 |

#### შვეიცარია

##### ჩელენჯლიგა

| | |
|---|---|
| ჩამი-გოსაუ | 3:2 |

#### პოლონეთი

##### ლიგის თასი

| | |
|---|---|
| ოდრა-ზაგლებე | 3:1 |

### მინი-ფეხბურთი

#### ევროპის ჩემპიონატი

| | |
|---|---|
| პორტუგალია-იტალია | 0:0 |
| ჩეხეთი-რუმინეთი | 4:8 |

### კალათბურთი

#### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| ვილერბანი-ჰავრი | 89:81 |
| პსჟ-პო ორტეზი | 81:62 |

### ჰოკეი

#### რუსეთი

| | | |
|---|---|---|
| ამური-მეტალურგი (მ) | | 4:5 |
| მეტალურგი (ნ)-ს. იულაევი | | 1:2 |
| ავანგარდი-სკა | | 3:4 |
| სიბირი-ლადა | | 3:1 |
| სევერსტალი-ტორპედო | | 1:3 |
| ვიტიაზი-ტრაქტორი | | 3:5 |
| დინამო-ნეფტეხიმიკი | | 3:2 |
| ლოკომოტივი-ცსკა | | 0:3 |
| სპარტაკი-ხიმიკი | 4:4 დ.დ | 5:4 |
| მედ-აკ ბარსი | | 0:3 |

#### გერმანია

| | | |
|---|---|---|
| აუგსბურგი-იზერლონი | 2:2 პენ. | 2:3 |
| ჰამბურგი-ჰანოვერი | | 3:5 |
| დიუსელდორფი-მანჰაიმი | | 3:4 |
| კიოლნი-ვოლფსბურგი | | 3:1 |
| კრეფელდი-ფრანკფურტი | | 5:2 |
| ნიურნბერგი-დუისბურგი | | 3:1 |

#### სლოვაკეთი

| | | |
|---|---|---|
| ჟილინა-კოშიცე | | 3:6 |
| მიკულაში-პოპრადი | | 1:2 |
| ნიტრა-ზვოლენი | 3:3 დ.დ | 3:4 |
| სკალიცა-მარტინი | | 0:2 |
| სლოვანი-ტრენჩინი | | 7:5 |

#### ჩეხეთი

| | | |
|---|---|---|
| ვიტკოვიცე-კარლოვი ვარი | | 4:2 |
| ზლინი-პარდუბიცე | | 4:0 |
| კლადნო-ბუდეიოვიცე | | 1:3 |
| სლავია-ლიტვინოვი | | 7:1 |
| სპარტა-სლოვანი | | 1:2 |
| ლიბერეცი-ზნოიმო | 0:0 პენ. | 1:0 |

#### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ლუგანო-დავოსი | 5:3 |
| რაპერსვილი-ბაზელი | 7:2 |
| ფრიბურგი-ცუგი | 2:5 |

### ჩოგბურთი

#### ATP. შანხაი

გონსალესი-დავიდენკო 4:6, 3:6

ფედერერი-როდიკი 6:4, 6:2

ინტერვიუ ანა ივანოვიჩთან

# ანდრე და შტეფი შესანიშნავი ადამიანები არიან



**სერბი** ანა ივანოვიჩი გასული სეზონის ერთ-ერთი მთავარი გმირი გახდა. მან წელი მეოთხე ჩოგანის რანგში დაასრულა, 2007 წელს 49 მატჩი მოიგო და 16 წააგო. სერბმა გაიმარჯვა ბერლინის, ლოს ანჯელესისა და ლუქსემბურგის ტურნირებზე, გავიდა ტოკიოსა და როლან გაროსის ფინალში და ითამაშა უიმბლდონისა და ამელია აილენდის ნახევარფინალებში. სეზონი ივანოვიჩმა მადრიდში, წლის შემაჯამებელი ტურნირის ნახევარფინალში გასვლით ჩაამთავრა. სხვათა შორის, სწორედ ესპანეთის დედაქალაქში შეუსრულდა მას 20 წელი.

20 წლის ივანოვიჩს WTA-ს რეიტინგში თავბრუდამხვევი პროგრესი ჰქონდა და მადრიდის შემაჯამებელ ტურნირს მეოთხე ჩოგანის რანგში შეხვდა. მან თავის თანამემამულეებთან - **ელენა იანკოვიჩთან და ნოვაკ ჯოკოვიჩთან** ერთად, მსოფლიო სპორტულ სამყაროს ახალი საჩოგბურთო ქვეყანა გააცნო, რომელსაც სერბეთი ჰქვია. ივანოვიჩი თავის ბუნებრივ სილამაზესა და ქალურობას, შესანიშნავად უხამებს კორტზე ძალასა და დამაჯერებლობას.

*„ახლა სულ უფრო და უფრო მეტ დამაჯერებლობას ვგრძნობ, ბოლო პერიოდში ჩემი თამაში შესამჩნევად გაუმჯობესდა“,* - აცხადებს ინტერვიუში სერბი ჩოგბურთელი.

ძლიერი მოწოდებისა და ტურში ერთ-ერთი საუკეთესო ფორჰენდის მქონე ივანოვიჩმა, განსაკუთრებულ წინსვლას ამ სეზონში მიაღწია. *„ეს შესანიშნავი გრძნობაა! უკვე შემდეგ, როცა კარგად დავფიქრდი, მივხვდი, თუ რამხელა წარმატებას მივაღწიე. მსოფლიოს რამდენიმე წამყვანი ჩოგბურთელის დამარცხება შევძელი. ბოლო დროს აშკარად გავიზარდე და ახლა შემიძლია საკუთარი ემოციების გაკონტროლება. უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ ასეთ ფენომენალურ შედეგებს მივაღწიე“,* - ამბობს სერბი ვარსკვლავი.

განსაკუთრებულ წარმატებას ივანოვიჩმა როლან გაროსზე მიაღწია, როცა მეოთხედფინალში **სვეტლანა კუზნეცოვა** დაამარცხა, ხოლო ნახევარფინალში ბრწყინვალე სტილში მოუგო **მარია შარაპოვას** და პირველად კარიერაში „დიდი სლემის“ ტურნირის ფინალში გავიდა. სერბმა ფინალურ დაძაბულობას (ან იქნებ **ჟუსტინ ანენის** ავტორიტეტს?) ვერ გაუძლო, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის წარმატებით გამოსულიყო უიმბლდონზე. თანაც არა მარტო კორტზე, სადაც ის ნახევარფინალში მოხვდა, არამედ მოედნის მიღმაც. **ანა კურნიკოვასა და გაბრიელა საბატინის** შემდეგ, ბრიტანული გაზეთები ახალ გმირს ეძებენ და ანამ new darling of Centre Court-ის ტიტული მოიპოვა. სერბის იმიჯზე დადებითად იმოქმედა იმანაც, რომ უიმბლდონის დღეებში, ივანოვიჩი პრინცესა **დაიანას** ხსოვნისადმი მიძღვნილ კონცერტს დაესწრო, რითაც მან ინგლისელების გული საბოლოოდ დაიპყრო. ნორჩ ლამაზმანს ინტერნეტში და სხვა უამრავ გამოკითხვაშიც დაუჭირეს მხარი. 184 სანტიმეტრი სიმაღლის ანა ერთნაირად ლამაზია კორტზე ჩოგნით ხელში და აგრეთვე **სტელა მაკარტნის** კაბით მოედნის მიღმა. მაგრამ ანაზე ვერ იტყვი, რომ მისი სპორტული მიღწევები ჩამორჩება მის კორტსმიღმა პოპულარობასთან, როგორც ეს იმავე კურნიკოვას შემთხვევაში იყო.

ანამ თავისი პირველი ტიტული 2006 წელს მოიპოვა, როცა კანადის ღია პირველობაზე აჯობა ყველას. მაგრამ გასულ სეზონში, მისი თამაში არასტაბილურობით გამოირჩეოდა. სამაგიეროდ, მიმდინარე წელს, მან თავისი დამაჯერებელი თამაშით უკვე მოასწრო ჩოგბურთის მოყვარულთა გულების დაპყრობა და როგორც ჩანს, მიღწეულით დაკმაყოფილებას არ აპირებს. მისი სიტყვებით, ის არამარტო ფიზიკურად, არამედ მორალურადაც ძლიერი გახდა.

*„სადღაც გულის სიღრმეში ვგრძნობ ამას. ბერლინში გამარჯვებამ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უდიდესი დახმარება გამიწია. კორტზე უფრო მშვიდად და დამაჯერებლად ვგრძნობ თავს, ჩემს თამაშს ეტყობა ფიქრი, უფრო დაკვირვებულიც გავხდი. ხანდახან ჩნდება ერთგვარი თვითდაჯერებულობა და სწორედ ამ დროს ვკარგავ რითმს, ეს კი ნამდვილი პროფესიონალისთვის დაუშვებელია“,* - აღიარებს ივანოვიჩი.

მისი სიტყვებით, როლან გაროსის ფინალში ჟუსტინ ანენთან წაგება, სწორედ კონცენტრაციის დაკარგვამ გამოიწვია: *„მატჩის მსვლელობისას ვფიქრობდი, რომ ცოტა მაკლია „დიდი სლემის“ ტურნირის მოსაგებად. ამის გამო ძალიან აღგზნებული ვიყავი, ემოციებს ვერ ვუმკლავდებოდი და ამან, ბუნებრივია ცუდი სამსახური გამიწია. მაგრამ ამ მარცხისგან სწორი დასკვნები გავაკეთე და იმედი მაქვს, მომავალში მსგავს შეცდომებს აღარ გავიმეორებ“.*

ამ სეზონში, ივანოვიჩი ტრავმამაც შეაწუხა. ის ძალიან ამაყი იმით, რომ უიმბლდონის ნახევარფინალში გავიდა, მაგრამ იქ მარცხენა მუხლის დასაწანი ტრავმის გამო ვერ შეძლო სრული ძალით თამაში. ამავე დაზიანების გამო, სერბი იძულებული იყო საკუთარი განაცხადი გამოეტანა სტენფორდისა და სან დიეგოს ტურნირებიდან. ანას ტრიუმფალური დაბრუნება ლოს ანჯელესის ტურნირზე შედგა, სადაც მან რუსი **ნადია პეტროვა** დაამარცხა.

*„ხანდახან ვნერვიულობ იმის გამო, რასაც წელს მივაღწიე. პირველი ათეულში მოხვედრა - ბოლო დრომდე ეს იყო ჩემი მთავარი მიზანი. მაგრამ ახლა ვგრძნობ, რომ ჩემი თამაში მართლაც ძალიან მაღალ დონეს შეესაბამება. უკვე საუკეთესო ხუთეულიც არ არის ჩემი შესაძლებლობების ზღვარი. მაგრამ არ შეიძლება მუდმივად ამაზე ფიქრი, სჯობს თამაშზე მოვახდინო კონცენტრაცია. დაე, ყველაფერი თავისი დინებით წავიდეს“,* - ამატებს ანა.

დღეისათვის, ანასთვის პრობლემას არ წარმოადგენს იმ 500 ათასი დოლარის დაბრუნება, რომელიც თავის დროზე, შვეიცარიელმა ბიზნესმენმა ჩადო მასში. ივანოვიჩი ბაზელში ცხოვრობს, ისვენებს იტალიაში, ვარჯიშობს ესპანეთში და ყველანაირი რომანტიკული ხასიათის კითხვებზე ასეთ პასუხს იძლევა: „არა, ამისთვის ჯერ დრო არ მაქვს. ეს ყველაფერი მომავალში იქნება!“ ისევე როგორც, დიდი გამარჯვებები.

საინტერესოა, რომ მადრიდის ტურნირამდე თავისი ბოლო მატჩი, ივანოვიჩმა თვით **ანდრე აგასის** წინააღმდეგ გამართა. თავისი ბიოგრაფიის ამ ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ეპიზოდზე ის თავად გვიყვება თავისივე ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით:

*„წინასწარ ისე იყო დაგეგმილი, რომ მე ანდრე აგასისთან წყვილში საქველმოქმედო მატჩი უნდა გამემართა გორან ივანიშევიჩისა და ჟუსტინ ანენის წინააღმდეგ. ამის ნაცვლად, აგასის წინააღმდეგ ერთეულთა შეხვედრის ჩატარება მომიწია!!! რთულია გადმოვცე ის, რასაც მაშინ ვგრძნობდი. ძალიან აღელვებული ვიყავი. ბავშვობაში ანდრე ხომ ჩემი კუმირი იყო. მატჩის წინ ძალიან ვინერვიულე, მაგრამ გრძნობების მოთოკვა შევძელი და ცუდად არ მითამაშია.*

*ეს იყო ტაი ბრეიკი, რომელიც მან 7:4 მოიგო. თამაშის დონე საკმაოდ მაღალი გახლდათ, მართალია ეს საგამოფენო მატჩი იყო, მაგრამ საქმეს საკმაოდ სერიოზულად მოვეკიდეთ. მხიარულიც იყო და საინტერესოც, რადგან ის ბურთს ძალიან ძლიერად ურტყამდა, ისე არა, როგორც ამას ჩემი ქალი მოწინააღმდეგეები აკეთებენ.*

*ანდრე ძალიან მეგობრული ადამიანი აღმოჩნდა. რამდენიმე შესანიშნავი რჩევა მომცა, რაც მომავალში აუცილებლად გამომადგება. ურთიერთობაში შტეფი გრაფიც არაჩვეულებრივი ადამიანია. ერთად ვისადილეთ და დრო მშვენივრად გავატარეთ. შესანიშნავი წყვილია და ძალიან მინდა მათთან ურთიერთობის გაგრძელება“.*

## ფორმულა 1

მსოფლიო ჩემპიონატი

# ფორმულა ერთი ჩემპიონს ელოდება

**მეტისმეტად** გაჭიანურდა "მაკლარენის" საჩივრის განხილვა, რომელზეც ფორმულა ერთის გასული სეზონის ჩემპიონის თინაობა საბოლოოდ უნდა გაირკვეს. თუ საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) მოტორ სპორტის სააპელაციო სასამართლო აპელაციას დააკმაყოფილებს და სეზონის ბოლო ეტაპის, ბრაზილიის დიდი პრიზის საბოლოო კლასიფიკაციიდან მოხსნის სამ პილოტს, რომელთა მანქანებიც არ შეესაბამებოდა ტექნიკურ რეგლამენტს, მაშინ ჩემპიონად "მაკლარენის" ბრიტანელი პილოტი **ლუის ჰემილტონი** გამოცხადდება.



FIA-ს საარბიტრაჟო სასამართლოს სხდომა "მაკლარენის" აპელაციას განიხილავს

თუმცა, არის ვარიანტი, რომლის მიხედვითაც, ჩემპიონის წოდებას შეინარჩუნებს "ფერარის" ფინელი **კიმი რაიკონენი**, ვინც ბრაზილიური რბოლის შემდეგ, ერთი ქულით გადაასწრო თავის ორ მეტოქეს - ჰემილტონსა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, ესპანელ **ფერნანდო ალონსოს**.

შეგახსენებთ საქმის ვითარებას: ბრაზილიის დიდი პრიზის შემდეგ, სტიუარდებმა აღმოაჩინეს, რომ მეოთხემეექვსე ადგილებზე გასული პილოტების – გერმანელი **ნიკო როსბერგის** (უილიამს-ტოიოტა), პოლონელი **რობერტ კუბიცას** (ბეემვე ზაუბერი) და გერმანელი **ნიკ ჰაიდფელდის** (ბეემვე ზაუბერი) ბოლიდებში საწვავს დასაშვებზე დაბალი ტემპერატურა ჰქონდა. მაგრამ იმავე სტიუარდებმა ამ სამი პილოტის დისკვალიფიცირება და აქედან გამომდინარე, რბოლის შედეგის შეცვლა ვერ გარისკეს.

"მაკლარენმა" ბრაზილიაშივე გამოაცხადა, რომ რბოლის შედეგს გაასაჩივრებდა. იქვე ჰემილტონმა განაცხადა, სასამართლოში ჩემპიონატის მოგება ჩემი საქმე არაა, მირჩევნია, ჩემპიონი ტრასაზე გავხდეო. აპელაციის გამო გარკვეულ უხერხულობას "მაკლარენის" ხელმძღვანელობაც გრძნობს, თუმცა გუნდის შეფი **რონ დენისი** თავის ასე იმართლებს - ჩემთვის მთავარი ისაა, რომ კანონი უნდა კანონობდეს, თორემ სასამართლოში ტიტულის მოპოვება არც მე მინდაო.

ასეა თუ ისე, რეალურად წარმოიშვა ჩემპიონის შეცვლის საშიშროება. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სააპელაციო სასამართლოს გუშინდელი სხდომის შესვენებისას, ფორმულა ერთის კომერციულ უფლებათა გამგებელმა **ბერნი ეკლსტოუნმა** განაცხადა, თუ ჩემპიონი შეიცვლება, თანამდებობას დავტოვებო.

სასამართლოს სხდომა ჩვენი დროით პირველ საათზე დაიწყო და გადაწყვეტილება 11 საათზეც კი არ იყო მიღებული. სასამართლო და მისი ოთხი მსაჯული ერთგვარ პატურ სიტუაციაშია. ერთის მხრივ, ტექნიკური რეგლამენტი დაირღვა და კანონი აღსრულებას მოითხოვს. მეორეს მხრივ, თავადა დაზარალებულ(ებ)იც აღიარებ(ენ)ს, რომ სასამართლოში გაჩემპიონება არ სურთ.

თუმცა, გუშინვე გაჟღერდა სიტუაციიდან გამოსვლის ერთი საინტერესო საშუალება. "ბეემვე ზაუბერის" და "უილიამსის" ადვოკატები აცხადებენ, რომ "მაკლარენის" აპელაცია ასაჩივრებს არა რბოლის შედეგს, არამედ სტიუარდების გადაწყვეტილებას. ამგვარად, გამოსავალი შეიძლება გახდეს გუნდების დაჯარიმება, რბოლის შედეგი კი შეიძლება უცვლელი დარჩეს. მეორე ვერსიით, ზემოთ ნახსენები სამი პილოტი რბოლიდან რომც მოიხსნას, ჰემილტონს მაინც მეშვიდე ადგილზე დატოვებენ, რაც ჩემპიონატის საბოლოო კლასიფიკაციაში არაფერს შეცვლის.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოგა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოკა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე)
გივი ვეშაპიძე
ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 19 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ სპორტთან

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ლელოს მთავარი რედაქტორები
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-84)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

მისამართი:
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა